საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

GIOC
საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია
Georgian International Oil Corporation
შეიძინეთ მხოლოდ ამ ნიშნით!

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. №96 (3137) ოთხშაბათი, 14 აპრილი, 1999 წელი. ფასი შეთანხმებით.

„საქართველოს აღდგომას თვით უზენაესი ინებებს, თუ ჩვენ თავად ვიშრომებთ, ვილვაწებთ და გავირჯებით მაღალი რწმენისა და ეროვნული თვითშეგნების შესაბამისად“

საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის 12 აპრილის რადიოინტერვიუ

— გასულ კვირას სიმბოლურად დაემთხვა ერთმანეთს 9 აპრილის მეათე წლისთავი და ქრისტეს აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული... — ჟურნალისტის **ნატო ონიანის** თხოვნით, ამ თემაზე საუბრით დაიწყო თავისი ტრადიციული ორშაბათის რადიოინტერვიუ საქართველოს პრეზიდენტმა **ედუარდ შევარდნაძემ:**

— გასული პარასკევი — ყოველი ქრისტიანისთვის უმძიმესი, უდიდესი ტკივილით აღსავსე დღე — საქართველოში დაემთხვა 9 აპრილის ეროვნული ტრაგედიის 10 წლისთავს.

ამ დამთხვევამ კიდევ ერთხელ დაადასტურა ურღვეობა ერთობისა, რომელმაც საუკუნეთა განმავლობაში შეგვანარჩუნებინა ეროვნული მეობა და სახელმწიფოებრივი ენერგია.

იხ. მე-2 გვ.

ყრილობა

ძლიერი გლეხი ძლიერი სოფელია, ძლიერი სოფელი ძლიერი საქართველოა

ფერმერთა და გლეხთა საკრედიტო კავშირების
I ყრილობა

გუშინ ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში ფერმერთა და გლეხთა საკრედიტო კავშირების წევრთა I ყრილობა გაიმართა, რომელიც გახსნა და ვრცელი მოხსენება გააკეთა სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრმა ბაკურ გულუამ.

ქვეყანაში მიღწეულმა სოციალურ-პოლიტიკურმა სტაბილურობამ, დემოკრატიული საფუძვლების დამკვიდრებამ დასაბამი მისცა რეფორმების რეალურ პროცესს აგრარულ, სამრეწველო და სასურსათო კომპლექსებში.

სოფლად განხორციელებული რეფორმების შედეგად, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების დიდი უმეტესობის კერძო საკუთრებაში გადაცემამ და აგრარული სექტორის საწარმოთა პრივატიზებამ რეალურად წარმოქმნა კერძო მესაკუთრეთა ფენა და შექმნა წინაპირობები საკრედიტო კავშირების შესაქმნელად საქართველოში.

არავისთვის დასამალი არ არის, რომ ჩვენს ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებაში მნიშვნელოვან როლს საერთაშორისო ორგანიზაციები ასრულებენ. საქართველოს პრეზიდენტის, მსოფლიო ბანკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდის, გაეროს სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდის (**IAD**), **TACIS**-ის რეგიონალური აგრარული რეფორმის პროექტისა და საფრანგეთის

იხ. მე-3 გვ.

მადლი

სააღდგომო შეხვედრა საქართველოს პარლამენტში

სამახსოვრო ფოტო პარლამენტის თავმჯდომარესთან.

უკვე ტრადიციად იქცა აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული პარლამენტში საქველმოქმედო დარბაზობით აღინიშნება. ამ დღეს აქ მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვებს იწვევენ.

პარლამენტის წევრების, აპარატის თანამშრომლების, ჟურნალისტების შემოწირულობებით და საერთაშორისო ასოციაცია „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ პრეზიდენტის ნანული შევარდნაძის პირადი თანადგომით პარლამენტში გაიმართა ზეიმი, რომელიც დიდხანს სასიამოვნო მოგონებად გაყვებათ საქართველოს სხვადასხვა რაიონებიდან ჩამოსულ ბავშვებს და მათ აღმზრდელებს.

„დღეს პარლამენტი თქვენი სახლია და მხოლოდ თქვენ ადგენთ თამაშის წესებს. მინდა იცოდეთ, რომ ყოველი თქვენგანი ქართული სახელმწიფოს, მისი მთავრობის და მთლიანად საზოგადოების უპირველესი საზრუნავი და იმედია“, — ამ სიტყვებით მიმართა სტუმრებს პარლამენტის თავმჯდომარემ ზურაბ ჟვანიამ და ბრწყინვალე დღესასწაული მიულოცა.

ქალბატონი ნანული შევარდნაძე ბავშვებთან.

დამსწრე საზოგადოება დალოცა და აკურთხა მეუფე დანიელმა. სტუმრებს დიდი სითბოთი მიესალმა და ბრწყინვალე დღესასწაული მიულოცა ქალბატონმა ნანული შევარდნაძემ, რომელმაც პარლამენტის წევრებთან ერთად თავად უმასპინძლა პატარებს და მათთან ერთად დაესწრო საზეიმო წარმოდგენას.

ზურაბ ჟვანიამ და ნანული შევარდნაძემ ბავშვებს სააღდგომო საჩუქრები, ხოლო იმპროვიზებულ კონკურსში გამარჯვებულ პატარებს სპეციალური პრიზები გადასცეს.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს საბავშვო თეატრისა და სახელმწიფო ცირკის მსახიობების წვლილი ამ ზეიმის მოწყობაში. მათ ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე წარუდგინეს ბავშვებს თავიანთი ხელოვნება და დაუვიწყარი შთაბეჭდილებები დაუტოვეს. აღინიშნა სადაზღვევო კომპანიების „ნობათისა“ და „იმედი ელ“-ის მხარდაჭერა საქველმოქმედო ღონისძიების ორგანიზებაში.

პარლამენტის პრესსამსახური.

პრეზიდენტი

ქართულმა ენამ ენობრივ ასპარეზზე პოზიციები უნდა განიმტკიცოს

ამა თუ იმ ენის განვითარების ჭეშმარიტი დონის ერთგვარი საზომი და ობიექტური განმსაზღვრელი მისი ლექსიკოგრაფიის სფეროში მიღწეული მონაპოვრები და აუცილებელ და ძირითად ლექსიკონთა სისტემაა. ამას ადასტურებს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა განვითარების დღევანდელი დონე. სწორედ დროის მოთხოვნებმა დააყენა თანამედროვე ქართველოლოგიის წინაშე ლექსიკოლოგია-ლექსიკოგრაფიის მიმართულებით ძალისხმევის კონცენტრირება. და, თუმცა, სამწუხაროდ, ხშირ შემთხვევაში ჯეროვნად გამოჩენილ ენათმეცნიერთა მიერ შემუშავებული ესოდენ საჭირო სხვადასხვა ტიპის ლექსიკონებიც არ გამოიყენება, საუკუნეთა წიაღში აღმოცენებულმა ქართულმა ენამ განვითარებულ ერთა შორის ენობრივ ასპარეზზე თავისი პოზიციები კიდევ უფრო უნდა განიმტკიცოს. ამ უმთავრესი ამოცანის განხორციელებას ემსახურება ქართული ენის სახელმწიფო პროგრამა, რომელიც ამ ეტაპზე, გარკვეულ ობიექტურ გარემოებათა გამო, მხოლოდ ერთი სფეროს — ლექსიკოლოგიური განაკვეთის — სრულყოფისთვის იქნება მიმართული.

13 აპრილს, დედაენის დღის დღესასწაულის წინ, საქართველოს პრეზიდენტთან არსებულმა სახელმწიფო ენის მუდმივმა სახელმწიფო კომისიამ ერთხელ კიდევ შეაჯამა ქართული ენის კვლევის, შენარჩუნებისა და განვითარების მიმართულებით გაწეული მუშაობა, რომლის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის მომზადებაც არის. პროგრამა შვიდწლიანია და პირველ ეტაპზე ორ ძირითად მიმართულებას — ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის ხელახალ

იხ. მე-3 გვ.

დაჯილდოება

საქართველოს პრეზიდენტის

განკარგულება

1999 წლის 13 აპრილი ქ. თბილისი

ი. ალავიძის ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენით დაჯილდოების შესახებ

შეიარაღებულ ბოროტმოქმედთა დაკავებისას გამოჩენილი მამაცობის, თავდადებისა და მაღალი პროფესიონალიზმისათვის ქ. თბილისის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს უფროსი, პოლიციის გენერალ-მაიორი **იოსებ ალავიძე** დაჯილდოვდეს ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენით.

ე. შევარდნაძე.

საქართველოს პრეზიდენტის

განკარგულება

1999 წლის 8 აპრილი ქ. თბილისი

საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სისტემაში მომუშავე მედიკოსთა ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვაში შეტანილი პირადი წვლილისათვის, ჯანდაცვის სისტემის რეორიენტაციის პროცესში აქტიური და ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის ღირსების ორდენით დაჯილდოვდნენ საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სისტემაში მომუშავე მედიკოსები:

ალექსანდრე ბოკუჩავა — თბილისის №1 კლინიკური საავადმყოფოს ნევროლოგიური კლინიკის დირექტორის მოადგილე სამკურნალო დარგში; **ნიკოლოზ გურგენიძე** — ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე; **გიორგი დანელია** — კონსტანტინე ჩაჩავას სახელობის მეანობა-გინეკოლოგიისა და პერინატალური პათოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის პათოლოგიური ანატომიის განყოფილების გამგე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე; **გაიოზ ვადაჭკორია** — რესპუბლიკური ენდოკრინოლოგიური დისპანსერის მთავარი ექიმი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, საქართველოს დამსახურებული ექიმი; **გურამ ვამაკიძე** — რუსთავის ფსიქონევროლოგიური დისპანსერის მთავარი ექიმი; **ბესიკ იამპოლი** — დამწერობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დირექტორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; **რევაზ კაპანაძე** — მიხეილ წინამძღვრიშვილის სახელობის კლინიკური და ექსპერიმენტული კარდიოლოგიის ინსტიტუტის პათოლოგიური ანატომიის განყოფილების გამგე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე; **ოთარ ლეონიძე** — ქუთაისის სამხარეო კლინიკური საავადმყოფოს ტრავმატოლოგიის განყოფილების გამგე; **ანგელინა ლომთაძე** — თბილისის მიხეილ ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის კლინიკის მედდა; **გულნარა (დოდო) მელია** — იმერეთის ჯანდაცვის მართვის სამხარეო დეპარტამენტის დირექტორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; **ვალენტინა შელიავა** — თბილისის კლინიკური პათოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის ბიოფსიური და ოპერაციული მასალის კვლევის განყოფილების გამგე, საქართველოს დამსახურებული ექიმი; **თეიმურაზ ჩიგოგიძე** — თბილისის ალექსანდრე წულუკიძის სახელობის უროლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

ე. შევარდნაძე.

ინფორმაცია

შავი ზღვის რეგიონი – 21-ე საუკუნის პრიორიტეტები და პერსპექტივები

შავი ზღვის რეგიონის სამართლებრივი, ვაჭრობის, უშიშროებისა და ეკოლოგიური განვითარების საკითხებს იხილავენ კონფერენციაზე — „შავი ზღვის რეგიონი 21-ე საუკუნის პრიორიტეტები და პერსპექტივა“, რომელიც დაიწყო სამშაბათს საქართველოს სახალხო დამცველის ოფისში.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობენ სპეციალისტები ბულგარეთიდან, თურქეთიდან, რუმინეთიდან, რუსეთიდან, საქართველოდან და უკრაინიდან, აგრეთვე აზერბაიჯანიდან და ამერიკის შეერთებული შტატებიდან. მათ იმსჯელეს ბუნებრივი გაზის, ნავთობის, სატრანსპორტო დერეფნების სამართლებრივი სტატუსის, აგრეთვე ქვეყნებს შორის შეთანხმებების თაობაზე.

ელდარ შენგელაია ასლან აბაშიძის განცხადებით შეურაცხყოფილია

შეურაცხყოფად აღიქვამს საქართველოს მოქალაქეთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე ელდარ შენგელაია აჭარის ლიდერის ასლან აბაშიძის განცხადებას იმის თაობაზე, რომ მოქალაქეთა კავშირში წევრობა სამარცხვინოა. როგორც პრაიმ-ნიუსს ელდარ შენგელაიამ უთხრა, მოქალაქეთა კავშირმა თავის დროზე ბევრი რამ გააკეთა საქართველოში ფართომასშტაბიანი კონფრონტაციისა და სამოქალაქო ომის ასაცილებლად.

„საქართველოში არ არსებობს პოლიტიკური ძალა, რომელსაც მეტის მიღწევა შეუძლია, — განაცხადა ელდარ შენგელაიამ, — ბევრს ავიწყდება, რომ ჩვენი ქვეყანა ევროსაბჭოს წევრი გახდა და მისი ტერიტორიის გავლით უკვე დაიწყო კასპიის ნავთობის ტრანსპორტირება“, — თქვა მან.

მოქალაქეთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილის თქმით, გასაკვირი არ არის, რომ საქართველოს არაკეთილმოსურნეებმა ორჯერ მოაწყვეს თავდასხმა ქვეყნის პრეზიდენტზე და შესაძლოა მომავალშიც შეეცადონ მდგომარეობის დესტაბილიზაციას. „აბაშიძემ იმაზეც უნდა იფიქროს, რომ ეს ადამიანები შეიძლება აჭარასაც მისწვდნენ, რადგან ისინი ზოგადად მთელი საქართველოს მტრები არიან“.

ორშაბათს გამართულ პრესკონფერენციაზე აჭარის ლიდერმა ასლან აბაშიძემ განაცხადა, რომ საქართველოში გარკვეული ძალები ხელოვნურად ამძაფრებენ სიტუაციას, როდესაც შევარდნაძეზე მოსალოდნელი თავდასხმის შესახებ აცხადებენ.

რიჩარდ მორნინგსტარი საქართველოს ეწვევა

აშშ პრეზიდენტისა და სახელმწიფო მდივნის საგანგებო მრჩეველი კასპიის ენერგორესურსების საკითხებში რიჩარდ მორნინგსტარი 16 აპრილს ოფიციალური ვიზიტით ეწვევა საქართველოს, აცნობეს პრაიმ-ნიუსს საქართველოს პარლამენტიდან.

მორნინგსტარი შეხვდება საქართველოს აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენლებს. იგი სიტყვით გამოვა პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის მიერ 16 აპრილისთვის დაგეგმილ საჯარო მოსმენებში თემაზე — „ნავთობსადენი და რეგიონული უსაფრთხოება“.

დაგეგმილია რიჩარდ მორნინგსტარის გამგზავრება სუფსაში 17 აპრილს, სადაც გაიმართება ბაქო-სუფსის ნავთობსადენის ოფიციალური გახსნა.

იუგოსლავიის გაკვეთილი აფხაზეთისათვის

იუგოსლავიის მიერთებას რუსეთ-ბელორუსიის კავშირთან საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობების კომიტეტის თავმჯდომარე კახა ჩიტაია არარეალურად მიიჩნევს.

იუგოსლავიის პარლამენტმა ორშაბათს მიიღო გადაწყვეტილება რუსეთ-ბელორუსიის კავშირთან შეერთების თაობაზე. როგორც ჩიტაიამ პრაიმ-ნიუსთან საუბარში განაცხადა, საერთაშორისო პოლიტიკაში ამგვარი გადაწყვეტილებები მხოლოდ უშუალოდ მონაწილე ქვეყნების ნებასურვილზე არ არის დამოკიდებული.

ჩიტაიას მიაჩნია, რომ იუგოსლავიის პრეზიდენტი სლობოდან მილოშევიჩი და მისი მომხრეების პოლიტიკური ჯგუფი, რომლებიც უგულებელყოფენ საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებს, სათანადოდ უნდა დაისაჯონ. „რამდენადაც რთული უნდა იყოს, მსოფლიოში აუცილებლად უნდა შეიქმნას მშვიდობის იძულებით დამყარების მექანიზმი“, — თქვა მან.

ჩიტაიას აზრით, იგივე მექანიზმი უნდა ამუშავდეს აფხაზეთის პრობლემასთან მიმართებაშიც: „ნებისმიერი ლიდერი, რომელიც ახორციელებს ეთნიკურ წმენდას და სეპარატისტულ საფუძველზე დაყრდნობით იწყებს ადამიანის უფლებების დარღვევას, სათანადოდ უნდა დაისაჯოს“.

პურის ქარხნები არ უნდა გაჩერდეს

თბილისის № 6 პურის ქარხნის (სააქციო საზოგადოება „პური არსობისა“) სიმძლავრეთა 50 პროცენტი დღეიდან ფუნქციონირებას შეწყვეტს — უთხრა პრაიმ-ნიუსს ქარხნის დირექტორმა, პურის მრეწველთა კავშირის პრეზიდენტმა ვიტალი კვინიხიძემ. მისი თქმით, საწარმოს 9 საცხობიდან ოთხი გაჩერდება, რის შედეგადაც 80 თანამშრომელი უხელფასო შვებულებაში გავა.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: საქინფორმმა, პრაიმ-ნიუსმა.

მეზობლებთან

დაკრისტალებული შთაბეჭდილებები წარმოსახვის პრიზმაში

I. აგრემანი საქართველოს პარლამენტის დელეგაციისთვის

„ზვართნოცის“ აეროპორტში შეხვედრის დროს.

თვითმფრინავმა სომხეთის ცაზე დააღწია თავი ღრუბლების ტყვეობას. ილუმინატორიდან დანახულმა პაოსის მიწამ პირველივე შთაბეჭდილება გამიჩინა — სასიამოვნო სანახავი იყო სუფთად მოვლილი მიწის ნაკვეთები. ჩემი ეს შთაბეჭდილება ჩასვლის საღამოსვე გავუზიარე ახალქალაქის გამგებელს გენრი მურადიანს, მან კი თავი უხმოდ დამიქნია და გულთბილად გაიღიმა.

„ზვართნოცის“ აეროპორტში დამხვდურთა სახეები ცხადყოფს, რომ აგრემანი მიღებული გვაქვს. კარგად ვიცი, რასაც ნიშნავს აგრემანი, ამიტომ ნუ შემისწორებთ ჟურნალისტურ რემინისცენციას. ისიც ვიცი, რომ საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერის ვახტანგ ყოლბაიას ხელმძღვანელობით ერევანში ჩამოსულ საპარლამენტო დელეგაციას აგრემანი არ სჭირდება, რადგან სომხეთის ეროვნული კრების თავმჯდომარის მოადგილესთან იური ბახშიანთან და სომეხ პარლამენტარებთან ერთად დაგვხვდნენ უკვე აგრემანმიღებული (ეს აუცილებელია!) ჩვენი ერევნელი ელჩი ნიკო ნიკოლოზიშვილი და დესპანები ზურაბ ჩიკვილაძე და თემურ გორგილაძე.

საქართველოს პარლამენტისა და სომხეთის რესპუბლიკის ეროვნული კრების ორმხრივი თანამშრომლობის საპარლამენტთაშორისო კომისიის მესამე სხდომას ერევანი მასპინძლობს.

იხ. მე-3 გვ.

ყურადღება, აქციზური მარკები!

მიმდინარე წლის 20 მარტიდან აკრძალულია არამარკირებული ალკოჰოლიანი სასმელების გაყიდვა, 30 მარტიდან — თამბაქოს ნაწარმის!

აქციზური მარკები უზრუნველყოფს ბიუჯეტის შევსებას, ჯანსაღი კონკურენციის პირობების ჩამოყალიბებას, ხელს უშლის კონტრაბანდული და ფალსიფიცირებული პროდუქციის გამოჩენას ბაზარზე.

აქციზური მარკის სავალდებულო დართვას დაქვემდებარებული საქონლის აქციზური მარკის გარეშე გამოშვება, რეალიზაცია ან შენახვა ისჯება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობით ვადით 1-დან 10 წლამდე.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს აქციზური მარკების სამსახური აგრძელებს დადგენილი წესით აქციზური მარკების რეალიზაციას შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი № 14.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო;
საქართველოს სახელმწიფო საგადასახადო დეპარტამენტი.

ფინანსები

ლარის კურსი

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 1999 წლის 14 აპრილიდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსები:

გირვანქა სტერლინგი	1	3.5820 ლარი
გერმანული მარკა	1	1.2283 ლარი
აშშ დოლარი	1	2.2200 ლარი
ფრანგული ფრანკი	1	0.3662 ლარი
თურქული ლირა	10,000	0.0588 ლარი
რუსული რუბლი	1	0.0857 ლარი.

უკანასკნელ საათს

გუშინ ოსლოში გამართულ მოლაპარაკებაზე აშშ სახელმწიფო მდივანმა მადლენ ოლბრაიტმა ვერ დაარწმუნა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი იგორ ივანოვი, რუსეთი ჩაბმულიყო საერთაშორისო ძალების ფორმირებაში ლტოლვილთა დაცვის მიზნით ნატოს ავიადარტყმების შეწყვეტის შემდეგ. თუმცა, შეთანხმდნენ კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარების ძირითად პრინციპებზე.

გუშინ გენერალმა უესლი კლარკმა პენტაგონს კიდევ 300 თვითმფრინავი მოსთხოვა იუგოსლავიაზე საჰაერო თავდასხმებისთვის.

კოსოვოს განმათავისუფლებელ არმიასთან 4-დღიანი შეტაკებების შემდეგ, გუშინ დილით ალბანეთის სოფელ კამენიცაში შეჭრილმა იუგოსლავიის ჯარმა წუხელ დატოვა ეს სოფელი, რომლის 3 ათასამდე მცხოვრებმა მიატოვა საკუთარი სახლები.

დღეს

ამინდი

დასავლეთ საქართველოში

ღრუბლიანი ამინდი, წვიმა, მაღალ მთაში თოვლი, სუსტი ქარი.

ბარში: ღამით +3+8;
დღისით +12+17.
მთაში: ღამით +1+6; დღისით +5+10.
მაღალ მთაში: ღამით -2+3;
დღისით +1+6.

აღმოსავლეთ საქართველოში

ცვალებადი მოღრუბლულობა, ზოგან ხანმოკლე წვიმა და ელჭექი.

ბარში: ღამით +4+9;
დღისით +13+18.
მთაში: ღამით: +1+6;
დღისით +6+11.
მაღალ მთაში: ღამით -3+2;
დღისით +2+7.

თბილისში

ცვალებადი მოღრუბლულობა. ხანმოკლე წვიმა ელჭექით.

ღამით +7+9; დღისით +16+18.

საქართველოს ჰიდრომეტცენტრი.

სიტუაცია

აკაკი ელიავამ სუფსის ნავთობტერმინალზე თავდასხმა დროებით გადაიფიქრა

მას ხელისუფლება არ მოსწონს, თუმცა, კვლავ მზად არის ემსახუროს

„სიურპრიზი“, რომელიც უშიშროების სამინისტრომ ჟურნალისტებს მოუმზადა

12 აპრილს ქუთაისში სამართალდამცავი ორგანოების პასუხისმგებელ პირთა შეხვედრა უნდა გამართულიყო. ამ ღონისძიების გასაშუქებლად რამდენიმე ჟურნალისტი დასავლეთ საქართველოში გავემგზავრეთ. თუმცა, არცერთმა დაზუსტებით არ ვიცოდით, კონკრეტულად რა სახის შეხვედრა იქნებოდა და რა საკითხები განიხილებოდა. რა თქმა უნდა, არსებობდა ვარაუდი, რომ სამართალდამცველთა ქუთაისში თავმოყრა 17 აპრილს სუფსის ნავთობტერმინალის გახსნის საზეიმო ცერემონიის უსაფრთხოების საკითხებთან იქნებოდა დაკავშირებული.

ამავე დროს, როგორც ცნობილია, 19 ოქტომბრის სენაკის აჯანყების მეთაური აკაკი ელიავა, რომელიც დღემდე სამეგრელოს ტყეებს აფარებს თავს, 17 აპრილს სუფსაზე თავდასხმით იმუქრებოდა.

იხ. მე-3 გვ.

„საქართველოს აღდგომას თვით უზენაესი ინებებს, თუ ჩვენ თავად ვიშრომებთ, ვიღვაწებთ და გავირჯებით მაღალი რწმენისა და ეროვნული თვითშეგნების შესაბამისად“

(პირველი გვერდიდან)

9 აპრილს, ქრისტეს ჯვარცმის დღეს, მოჰყვა ბრწყინვალე აღდგომა იესო ქრისტესი. ამით თითქოს უფალიც მიგვანიშნებს ჩვენი ქვეყნის ისტორიის ერთ-ერთი უმძიმესი პერიოდის დასრულების მოახლოებას.

მართლაც, განვლილი 10 წელი უდიდესი განცდების, სისხლისღვრისა და ცრემლის ეპოქა იყო, რასაც თან სდევდა სამართლიანი სწრაფვა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისადმი.

ეს 10 წელი აღსავსეა გმირობითაც, და იმავდროულად, ღალატით, ერთგულებითა და მზაკვრობითაც, საზოგადოების ერთი ნაწილის ზნეობრივად დაცემის და, იმავდროულად, ერის საუკეთესო შვილთა ზნეობრივი ამაღლების, ჭეშმარიტი გმირობის მაგალითებით.

იყო სამინელი სიდუხჭირე, ეკონომიკური და ფინანსური კრიზისი, რომელთა შედეგი დღემდე არ არის დაძლეული, მაგრამ ეს ეტაპი დასასრულს უახლოვდება. ურთულესი ქართული ათწლეული მთავრდება არანაკლებ მძიმე და წინააღმდეგობრივ მეოცე საუკუნესთან ერთად.

გასულ კვირას ქრისტე კვლავ აღდგა მეოცე საუკუნეში რწმენად, ძალად და იმედად განახლებისა, ახალი სიცოცხლისა.

21-ე საუკუნეში, მესამე ათასწლეულში, უფლის მარადიული სიცოცხლისა და აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს ახალი საქართველო შეეგებება.

იწყება ახალი ეპოქა, რომელშიც საბოლოოდ დავძლევთ ეროვნული ნიჰილიზმის, ურწმუნოებისა და ეჭვის მომაკვდინებელ მანკს. უფალი ჩვენთანაა, მამასადამე, ჩვენი ქვეყნის ბედი ჩვენ ხელთ არის.

უპირველესად, უნდა დავსვათ კითხვა: ვართ თუ არა დღეს, 9 აპრილიდან ათი წლის შემდეგ, ზნეობრივად უფრო განწმენდილნი?

საბოლოოდ უფალი განსჯის, მაგრამ, ვფიქრობ, განვლილ ათწლეულში განცდილმა ტანჯვა-წამებამ, ტკივილმა, უდიდესმა დანაკარგმა ნამდვილად განწმინდა საქართველო, ქართველი საზოგადოება, თითოეული ჩვენგანი მრავალი უკეთურობისაგან. სწორედ ამიტომ მიმაჩნია სიმბოლურად ეს დამთხვევა, რათა საბოლოოდ გავიხედოთ ღვთის, უფლის, მომავლის, სულიერებისა და ზნეობისაკენ და ამ გზით მივაღწიოთ ეროვნულ და სამოქალაქო თანხმობას.

ყველა სირთულეს, რა თქმა უნდა, ერთბაშად ვერ დავძლევთ, მაგრამ მთავარია გვქონდეს სწორი ზნეობრივი ორიენტირი. ამ შემთხვევაში საქართველოს აღდგომას თვით უზენაესი ინებებს, თუ ჩვენ თავად ვიშრომებთ, ვიღვაწებთ და გავირჯებით მაღალი რწმენისა და ეროვნული თვითშეგნების შესაბამისად.

დღეს ხსოვნის დღეა. ჩვენი მიცვალებულების, ჩვენი წინაპრების, სამშობლოსათვის დაღუპული გმირების საფლავებთან მისვლა პირველი და უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი გახდება ახალი ათწლეულის, საუკუნისა და ათასწლეულის გზაზე.

ეს ნაბიჯი ურთიერთმიტევებით, ურთიერთსიყვარულით, შემწყნარებლობით, მოთმინებით, თავმდაბლობით, ღვთისმოშიშობით, ჩვენი სამშობლოს უკვდავების ურყევი რწმენით უნდა გადავდგათ. ყველაფერი უნდა ვიღონოთ ბოროტების დაძლევისა და სიკეთის დამკვიდრებისათვის.

— გასულ კვირაში კვლავ აქტუალური იყო ჩვენი ქვეყნისადმი საგარეო დახმარების თემა. საქართველოსადმი დახმარება, თუნდაც უცხოური ინვესტიციების სახით, რაც საკონსულტაციო საბჭოს სხდომაზე გამოვლინდა, თანდათანობით ფართოვდება. ეს დადასტურდა იმავე ამერიკის საელჩოსა და იუსაიდის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მონაწილეობით მთავრობის ერთობლივ სხდომაზეც. და, მაინც, საკვანძო პრობლემად კვლავ საბიუჯეტო შემოსავალი რჩება. პირველი წარმატების ფონზე რა ვითარებაა აპრილის პირველი დეკადის მიწურულს?

— სემინარები, კონფერენციები, ერთობლივი სხდომები საქართველოს მეგობარი დონორი ქვეყნების წარმომადგენლებთან, საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების ექსპერტებთან ერთად ჩვენთვის უაღრესად მნიშვნელოვანია, უპირველესად, იმ კონკრეტული დახმარების გამო, რომელსაც კვლავინდებურად ვიღებთ დასავლეთისაგან. თუმცა, ამ დახმარებით მსოფლიო დემოკრატიული თანამეგობრობა, უწინარესად, ისეთი ქვეყნები, როგორიც არის განსაკუთრებით ამერიკის შეერთებული შტატები, დიდი ბრიტანეთი, გერმანია, იაპონია, საფრანგეთი, ნიდერლანდი, საქართველოსადმი და, გნებავთ, საქართველოს ხელისუფლებისადმი თავიანთ პოლიტიკურ მხარდაჭერასაც ადასტურებენ.

გასულ კვირას კრწანისში გაიმართა კონფერენცია თემაზე: „საქართველო და საერთაშორისო თანამეგობრობა, თანამშრომლობის შედეგები და პერსპექტივები“, რომელშიც მონაწილეობდნენ მსოფლიო ბანკის წარმომადგენლები, უფრო სწორად, გარკვეული აზრით, მათი ეგიდითაც მოეწყო. კონფერენციას ორი ძირითადი მიზანი ჰქონდა: შეგვეჯამებინა ერთობლივად გაწეული მუშაობის შედეგები და განგვესაზღვრა სამომავლო თანამშრომლობის პრიორიტეტები.

დახმარებამ, რომელიც საქართველომ მიიღო 1992 წლიდან დღემდე — ჰუმანიტარული ტვირთების, ტექნიკური თანადგომის, შეღავათიანი კრედიტებისა და გრანტების სახით, მილიარდ-ნახევარი დოლარი შეადგინა, რამაც საშუალება მოგვცა, ასე თუ ისე, ფეხზე დაგვეყენებინა ბოლო ათწლეულში ნგრევისა და ომის შედეგად განადგურებული ეკონომიკა და შეგვექმნა ახალი ეკონომიკური სისტემის საფუძველი.

დახმარება კვლავაც გაგრძელდება, მაგრამ ამჯერად მისი მიზანი სისტემური და ინსტიტუციური სრულყოფა იქნება.

ამ თვალსაზრისით პრიორიტეტული დარგებია ენერგეტიკა, ტრანსპორტი, სოფლის მეურნეობა, გადამამუშავებელი მრეწველობა, კავშირგაბმულობა, ტურიზმი, და, რა თქმა უნდა, სოციალური სფერო — ჯანმრთელობის დაცვა, განათლება და სხვა. იმავდროულად ჩვენი უცხოელი პარტნიორები მიესალმებიან კორუფციის წინააღმდეგ უკომპრომისო და დაუნდობელი ბრძოლის გაჩაღებას, რომელიც დაიწყო და რომლის ტემპიც თანდათანობით გაძლიერდება.

ეს პრიორიტეტები დადასტურდა საქართველოს მთავრობის, ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოსა და ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მონაწილეობით ხუთშაბათს გამართულ ერთობლივ სხდომაზე.

საკონსულტაციო საბჭოს შეკრებაზე კი განვიხილეთ მსოფლიო ბანკის ახალი პროექტები. მათ შორის უმნიშვნელოვანესია სატყეო მეურნეობის განვითარების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს 37 მილიონი დოლარის ინვესტირებას სატყეო მეურნეობისა და საქართველოს ტყეების განვითარებაში; სოფლის მეურნეობის — ირიგაციისა და დრენაჟის ძალიან მნიშვნელოვანი პროექტი, რომელიც თავისი მასშტაბით საბჭოთა პერიოდში კოლხეთის დაბლობზე, და არა მარტო კოლხეთის დაბლობზე, განხორციელებულ გრანდიოზულ სამუშაოთა ტოლფასია; განათლების სისტემის გარდაქმნის პროექტი — ეს გარკვეული სიახლეა, და მთლიანობაში 60 მილიონი დოლარის ინვესტირებას ითვალისწინებს.

მიუხედავად ამისა, რაოდენ უხვიც უნდა იყოს საერთაშორისო ორგანიზაციებისა და დონორი ქვეყნების დახმარება, უმთავრესი ყურადღება საკუთარი რესურსებისა და რეზერვების გამოყენებას უნდა მივაქციოთ. ვგულისხმობ აღრიცხვის მოწესრიგებას, ჩრდილოვანი ეკონომიკის აღმოფხვრას, აქციზური მარკების შემოღებისა და გამოყენების წესების განუხრელ დაცვას, კონტრაბანდის აღკვეთას (მერამდენედ ვლაპარაკობ ამის შესახებ), რაც საშუალებას მოგვცემს გავზარდოთ ბიუჯეტის შემოსავალი და მთლიანად გადავწყვიტოთ ხელფასების, პენსიების, დახმარების დროულად გაცემის პრობლემა, გადავწყვიტოთ ერთხელ და სამუდამოდ. აქვე უნდა ითქვას, რომ გარდატეხის მიღწევა შეუძლებელი იქნება, თუ კიდევ უფრო არ გაძლიერდა ბრძოლა როგორც კორუმპირებული მოხელეების, ასევე კორუმპირებული ბიზნესმენების წინააღმდეგ, რომლებიც არ იხდიან გადასახადებს, კონტრაბანდული და აღურიცხავი პროდუქციით ისქელებენ ჯიბეს.

მართლაც გამოჩნდა საფინანსო-საბიუჯეტო კრიზისიდან გამოსვლის პირველი სიმპტომები. შესრულდა პარლამენტის მიერ დამტკიცებული საბიუჯეტო შემოსავლის პირველი კვარტალის ძირითადი პარამეტრები. ახლა მთავარია, შევინარჩუნოთ და გავაძლიეროთ აღებული ტემპი, რათა კეთილისმყოფელი ტენდენცია მეორე კვარტალშიც შევინარჩუნოთ და გავაძლიეროთ.

მე მივესალმები იმ ღონისძიებებს, რომლებსაც ბატონი ვაჟა ლორთქიფანიძე თავის სხვა კოლეგებთან ერთად ახორციელებს, და საგანგებო სამუშაო ჯგუფის სხდომაზე თითქმის ყოველდღიურად ხდება შეჯამება იმისა, რაც უკვე შესრულდა, რაც გაკეთდა და რაც გასაკეთებელია.

და, ბოლოს, შეუძლებელია ხაზგასმით არ აღინიშნოს, რომ უმძიმესი ფინანსური მდგომარეობის მიუხედავად, ხელისუფლებამ გასულ წელს მთელ რიგ რეგიონებში, კერძოდ, იმერეთის მხარეში არსებული პრობლემების გადასაჭრელად შეძლო გამოენახა მილიონ 800 ათასი ლარი. ამ თანხის დიდი ნაწილი ტყიბულ-ჭიათურა-ზესტაფონის კომპლექსში არსებული პრობლემების დაძლევას მოხმარდა, რის შედეგადაც როგორც ზესტაფონში, ასევე ჭიათურაში უკვე იგრძნობა გარკვეული წინსვლა და ეს ტენდენცია გაძლიერდება საფინანსო-საბიუჯეტო კრიზისის დაძლევის პარალელურად.

სხვა რეგიონებშიც ბევრი რამ შეიცვალა. მაგალითად, რუსთავში უკვე სტაბილურად ამუშავდა ქიმიური კომბინატი — ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი გიგანტი. ძალიან სერიოზულად ემზადებიან საწარმოო სამუშაოებისათვის რუსთაველი მეტალურგები. ბევრი რამ გაკეთდა მადნეულში და ასე შემდეგ და ასე შემდეგ.

— გასულ კვირას მსოფლიოს ყურადღების ცენტრში, რა თქმა უნდა, ბალკანეთის ნახევარკუნძულზე შექმნილი უკვე თითქმის კატასტროფული ხასიათის ვითარება იყო. ამერიკის კონგრესი პრეზიდენტ კლინტონს მიმართავს განიხილოს იუგოსლავიაში სახმელეთო ჯარების გამოყენების შესაძლებლობა. ამერიკელი სენატორები აცხადებენ, რომ ამერიკელი ხალხი მზად უნდა იყოს დიდი მსხვერპლის გასაღებად ბალკანეთში სამართლიანი მშვიდობის დამყარებისათვის. ამ ფონზე იუგოსლავია სამხედრო-სტრატეგიულ კავშირს სთავაზობს რუსეთ-ბელორუსიის კავშირს. მოსკოვში კი დასავლეთის ქვეყნებისათვის ბირთვული ქობინების ხელახალი დამიზნების თაობაზეც ლაპარაკობენ. და რუსეთში, ესეც, ალბათ, თვალშისაცემია, იზრდება ხელისუფლებაში მემარცხენე რადიკალთა მოსვლის საფრთხე...

— საქართველოს პრეზიდენტის პოზიცია იუგოსლავიის მოვლენებთან დაკავშირებით ცნობილია. მე ეს პოზიცია უკვე ჩამოვაყალიბე, არაერთხელ გამოვთქვი, და რამდენადაც ვიცი, იგი საკმაოდ ფართოდ გაშუქდა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით ჩვენს ქვეყანაში და ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთაც.

მრავალ ქვეყანაში ეს პოზიცია შეაფასეს როგორც გაწონასწორებული, ობიექტური, რეალისტური და სამართლიანი, და არა მგონია, მისი განმეორება საჭირო იყოს.

რაც შეეხება ეგრეთ წოდებულ სამთა კავშირს, მხედველობაში მაქვს რუსეთი, ბელორუსია და იუგოსლავია, ფაქტობრივად პრეზიდენტმა ელცინმა ამ წინადადებას უკვე უპასუხა.

ჩემი აზრით, ეს უფრო ჰიპოთეზური, თეორიული შესაძლებლობაა და არა პრაქტიკულად განხორციელებადი კონცეფცია. სხვათა შორის, უკრაინის ხელმძღვანელობამაც დაახლოებით ასეთივე შეფასება მისცა ამ ვარიანტს.

დიდი ხმაური იყო ბირთვული იარაღის თაობაზეც. დარწმუნებული ვარ, რუსეთის ხელისუფლება და, რაღა თქმა უნდა, პირველ რიგში, პრეზიდენტი ელცინი არ გადადგამენ ისეთ ნაბიჯს, რომელიც მთელ პლანეტას დააბრუნებს წარსულ ეპოქაში, — როცა კაცობრიობამ ბეწვის ხიდზე გაიარა.

ეს ხიდი ყველამ ერთად გავნვლეთ და უკან მიხედვაც კი უნდა გვზარავდეს.

რაც შეეხება მემარცხენეებისა და სხვების, უფრო სწორად ექსტრემისტული რადიკალიზმის გააქტიურებას, ვფიქრობ, რუს ხალხს, რუსეთში მცხოვრებ ყველა ხალხს ეყოფათ სიბრძნე, გააკეთონ ის არჩევანი, რომელიც მათი ქვეყნისა და კაცობრიობის სასარგებლო იქნება.

— თქვენ როგორ ფიქრობთ, აფხაზეთის პროცესის მოწესრიგებაზე რა გავლენას მოახდენს კოსოვოს მოვლენები?

— კოსოვოს ტრაგედია (კიდევ ერთხელ მინდა გავუსვა ხაზი ამ ამბავს) ეთნიკური წმენდისა და გენოციდის ფაქტის ხანგრძლივი უგულებელყოფის შედეგია, რაც სერიოზული გაკვეთილი უნდა გახდეს აფხაზეთში კონფლიქტის სწრაფად და სამართლიანად მოგვარების თვალსაზრისით.

კოსოვოში განვითარებული მოვლენები უეჭველად იმაზეც მიუთითებს, რამდენად საშიშია ეგრეთ წოდებული „გაყინული კონფლიქტი“ ან „დაკონსერვებული კონფლიქტი“.

ასეთი კონფლიქტი მთვლემარე ვულკანს ჰგავს, რომელიც ყოველ წუთს შეიძლება სისხლად და ცრემლად ამოიფრქვეს.

ამიტომ, მე ყველას მოვუწოდებ, ვინც ჩართულია აფხაზეთის სამშვიდობო პროცესში, მათ შორის შუამავლებს, მეგობარ ქვეყნებს და, რა თქმა უნდა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციას:

ბატონებო, უნდა დაგვაფიქროს ბალკანეთის ტრაგედიამ! ახალი ძალით, მეტი მიზანსწრაფულობით განვაახლოთ მოლაპარაკების პროცესი აფხაზეთში კონფლიქტთან დაკავშირებით.

რუსეთს კი ნამდვილად აქვს უნიკალური შანსი, ახლა, აი, ამ ფონზე, ხელი შეუწყოს მის მეზობლად, უშუალოდ რუსეთის საზღვართან არსებული კონფლიქტური კერის აღმოფხვრას. ვფიქრობ, ეს დიდი კაპიტალი იქნებოდა რუსეთისათვის, მისი საგარეო პოლიტიკისათვის და თანამეგობრობისთვისაც.

სხვათა შორის, მე ყურადღება მივაქციე ჩემი პატივცემული კოლეგის, ყაზახეთის პრეზიდენტის ნურსულთან ნაზარბაევის განცხადებას მოსკოვის სამიტის შემდეგ. მისი თქმით, მთავარი მიზეზი იმისა, თუ რატომ შეიკავა მან თავი სამიტზე იუგოსლავიის შესახებ ერთობლივი განცხადების მხარდაჭერისაგან, სწორედ ეს მომენტი გახლდათ: დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობამ (უპირველესად რუსეთმა, რომლის განსაკუთრებული როლი თანამეგობრობაში ჩვენ ეჭვქვეშ არასდროს დაგვიყენებია) — ჯერ ის კონფლიქტები უნდა გადაწყვიტოს, რომლებიც უშუალოდ თანამეგობრობის სივრცეში ანუ რუსეთის საზღვრებთან წარმოიშვა. ასეთივე აზრი განავითარა უზბეკეთის პრეზიდენტმა ისლამ კარიმოვმა. ასეთივე აზრი განავითარეს უკრაინისა და აზერბაიჯანის პრეზიდენტებმა, სხვებმა და სხვებმა.

წინააღმდეგ შემთხვევაში, უფრო შორს მიმავალი, ასე ვთქვათ, პრეტენზიები, ცოტა არ იყოს არალოგიკურ და არადამაჯერებელ შთაბეჭდილებას ტოვებს.

— და, ბოლო კითხვა. 17 აპრილი ჩვენი ქვეყნისათვის მართლაც მნიშვნელოვანი დღეა. სუფსიდან ნავთობით დატვირთული პირველი ტანკერი გავა ამ დღეს — გაიხსნება ფოთი-ვარნა-ბათუმი-ილიჩოვსკის საბორნე გადასასვლელი...

— სუფსის ტერმინალზე, ასე ვთქვათ, „გენერალური რეპეტიცია“ უკვე გაიმართა. კასპიის ნავთობის დასავლეთის მიმართულება იდეალურ მდგომარეობაშია. ამ დღეებში საზეიმოდ აღინიშნება ეს დიდი მოვლენა, დიდი აბრეშუმის გზის გრანდიოზული პროექტი აქტიური რეალიზაციის ფაზაში შედის. სამწუხაროდ, ფოთისა და სუფსაში ვერ ვიწვევთ ამ აქციაზე დასწრების ყველა მსურველს, მათ შორის, ყველა სახელმწიფოთა მეთაურებს, ჩემს მეგობრებს, რომლებმაც ზეიმში მონაწილეობის სურვილი გამოთქვეს. ჩვენი შესაძლებლობანი, მათ შორის ფინანსურიც, ჯერჯერობით კვლავ შეზღუდულია. ვფიქრობ, მეგობრები გაგვიგებენ.

საქართველო არაერთხელ გახდება უფრო დიდი და შთამბეჭდავი საერთაშორისო პროექტების განხორციელების მოსწრე. შემდგომ ქვეყნის შესაძლებლობანიც გაცილებით მეტი იქნება და ღონისძიებებიც მასშტაბურ და, მე ვიტყოდი, გრანდიოზულ ხასიათს მიიღებს.

ჩემს ხალხს კი ვულოცავ ამ დიდ მოვლენას და მინდა კიდევ ერთხელ შევახსენოთ დასავლეთის მარშრუტის „დაკანონებაში“ ის განსაკუთრებული როლი, რომელიც ჰეიდარ ალიევმა შეასრულა. ასევე უნდა აღინიშნოს აზერბაიჯანის კონსორციუმისა და იქ გაერთიანებული კომპანიების აქტიური მხარდაჭერა. ეს რომ არა, რა თქმა უნდა, ეს პროექტი არ შედგებოდა.

თქვენ უკვე ახსენეთ, მე კიდევ ერთხელ გავუსვამ ხაზს: ამოქმედდება ფოთი-ილიჩოვსკის საბორნე-სარკინიგზო გადასასვლელი. არა მარტო ფოთი-ილიჩოვსკი, იგი ფაქტობრივად იმუშავებს მთელი შავი ზღვის არეალში, მას ექნება მიმოსვლა ვარნასთან, ბურგასთან, რუმინეთის ნავსადგურებთან, უწინარესად, კონსტანცასთან, თურქეთის ნავსადგურებთან, და, რა თქმა უნდა, ნოვოროსიისკთანაც. ეს პროექტი გახლავთ საქართველოსა და უკრაინის ერთობლივი პროექტი. ამიტომაც, ალბათ, ჩვენ ამჯერად უპირატესობას ვანიჭებთ ჩვენი მეგობრების ჰეიდარ ალიევისა და ლეონიდ კუჩმას სტუმრობას, რადგანაც ეს ერთობლივი პროექტებია, მათთან ერთად შესრულებული პროექტებია. სამწუხაროდ, სხვა პრეზიდენტებს, რომლებმაც სურვილი გამოთქვეს, არ ექნებათ ჩამოსვლის საშუალება.

ფოთში ასევე მზად არის საქართველო-უზბეკეთის ერთობლივი საწარმო — ბამბის ტერმინალი. შესანიშნავი, ძალიან დიდი მოცულობის საწარმოა.

ყველაფერი ეს შემოსავალია, ხალხის კეთილდღეობისათვის გადადგმული ნაბიჯებია, ეს ახალი სამუშაო ადგილები და ქვეყნის აღმავლობის მაუწყებელია.

საქინფორმი.

სამხრივ სამხედრო წვრთნებზე დივერსიული ჯგუფების ლოკალიზების და განადგურების ოპერაცია დამუშავდება

პირობითი დივერსიული ჯგუფების მიერ ნავთობსადენის აფეთქება, დივერსანტების ლოკალიზება და მათი განადგურება სამხრივი (საქართველო, უკრაინა, აზერბაიჯანი) სამხედრო სწავლებების ძირითად სცენარს წარმოადგენს, — აცნობა პრაიმ-ნიუსს წვრთნებში მონაწილე ქართული ოცეულის ხელმძღვანელმა, უფროსმა ლეიტენანტმა ზაზა ჩხაიძემ.

სამშაბათს ქართველმა და აზერბაიჯანელმა სამხედროებმა სწავლების გეგმით გათვალისწინებული ადგილმდებარეობის მესწავლის ოპერაცია ჩაატარეს.

სწავლებების ოფიციალური გახსნის ცერემონიალი, რომელიც სამშაბათს უნდა გამართულიყო, ოთხშაბათისთვის გადაიდო, რადგან უკრაინელი სამხედროები თბილისში მხოლოდ სამშაბათს დილით ჩამოვიდნენ.

სწავლებების პერიოდში, რომელიც 16 აპრილამდე გასტანს, სამი ქვეყნის 90 ჯარისკაცი იაღლუჯას პოლიგონზე კარვებში იცხოვრებს.

უკრაინული მხრიდან წვრთნებში მილსადენის დაცვის ბრიგადის ოცეული, აზერბაიჯანის მხრიდან — აზერბაიჯანის სამშვიდობო ბატალიონის ოცეული, ხოლო საქართველოდან, კოჯრის არასაომარ ოპერაციათა მოსამზადებელი სასწავლო ცენტრის ოცეული მიიღებს მონაწილეობას.

როგორც პრაიმ-ნიუსს აზერბაიჯანის ოცეულის მეთაურმა, მაიორმა ილგარ-მამედ ჰუსეინ-ოღლი აგაევმა უთხრა, წვრთნის დროს დამუშავდება მილსადენის დაცვითი ხასიათის ღონისძიებები.

სამხედრო „თამაშების“ ძირითადი სცენარი ითვალისწინებს პირობითი დივერსიული ჯგუფის მიერ პირობითი მილსადენის გარკვეული მონაკვეთის აფეთქებას და ექსტრემალურ ვითარებაში ოცეულების ურთიერთმოქმედებას.

წვრთნას საქართველოს შეიარაღებული ძალების გენშტაბის უფროსი, გენერალ-მაიორი ჯონი ფირცხალაიშვილი ხელმძღვანელობს. სამხედროებს საკვებით საქართველოს თავდაცვის სამინისტრო უზრუნველყოფს.

დღეიდან იაღლუჯაზე მოსამზადებელი ხასიათის სხვადასხვა ოპერაციები გაიმართება, რომლის შემდეგაც 16 აპრილს დაგეგმილი საჩვენებელი სამხედრო „თამაშისთვის“ კონკრეტული სცენარი შეირჩევა.

ასლან აბაშიძე უკმაყოფილოა

ასლან აბაშიძეზე შესაძლო ტერაქტების მოკვლევისათვის სახელმწიფო უშიშროების საგამოძიებო სამსახურის გამომძიებლები ბათუმში იმიტომ არ ჩავიდნენ, რომ აჭარიდან უარი მიიღეს, — აცნობეს პრაიმ-ნიუსს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროში. აჭარის ლიდერმა ასლან აბაშიძემ 1999 წლის 18 მარტს სახელმწიფო უშიშროების მინისტრს ვახტანგ ქუთათელაძეს გადასცა ვიდეოკასეტა, სადაც ვინმე ომარ კედელაშვილი, აცხადებდა, რომ მას დავალებული ჰქონდა ასლან აბაშიძის ლიკვიდაცია.

ამასთან დაკავშირებით, უშიშროების მინისტრის თბილისში დაბრუნებისთანავე უშიშროების საგამოძიებო სამსახურში მოკვლევა დაიწყო. ასლან აბაშიძემ უკმაყოფილება გამოთქვა თბილისელი გამომძიებლების მიმართ იმის გამო, რომ ისინი მოკვლევისათვის ბათუმში არ ჩავიდნენ.

პარლამენტს ელექტროენერგიის მიწოდება შეუწყდება?

საქართველოს პარლამენტის დავალიანება ენერგოგამანაწილებელი კომპანია „ეი-ი-ეს თელასის“ მიმართ, თუ 15 აპრილის 18 საათამდე არ დაიფარება, საკანონმდებლო ორგანოს ელექტროენერგიის მიწოდება შეუწყდება. ამის შესახებ უთხრა პრაიმ-ნიუსს „ეი-ი-ეს თელასის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერმა ვათა ჯორჯიკიამ. მისი თქმით, პარლამენტის დავალიანება მიმდინარე წლის იანვრიდან 1 აპრილამდე 47 ათასს ლარს შეადგენს.

ინფორმაციები მოგვაწოდა პრაიმ-ნიუსმა.

პრეზიდენტი

გონიერი კაცი კეთილი საქმის წინააღმდეგი არ უნდა იყოს

ასე სჯერა საქართველოს პრეზიდენტს, და ვერ წარმოუდგენია ქვეყნისთვის უზარმაზარი შენაძენის — სუფსის ტერმინალის ამოქმედებას რომელიმე ჭკუათმყოფელმა ქართველმა კაცმა შეუშალოს ხელი.

თუმცა ვინმემ ეს კიდეც რომ მოინდომოს, არ გამოუვა, რადგან საქართველოს დღეს ჰყავს სათანადო ძალები, რომლებსაც თავისუფლად შეუძლიათ, ასეთი ღონისძიებების დროს უსაფრთხოება უზრუნველყონ.

იციან ეს სულ ახლახან ტყიდან ადგილნაცვალმა ელიავამ და მისმა თანამოაზრეებმა, მაგრამ ხმა მაინც დააგდეს: 17 აპრილს გაგიუფერულებთო. ერთი შეხედვით, ეს არცაა გასაკვირი, რადგან, ფრაზას კვლავ საქართველოს პრეზიდენტს დავესესხები, ტყეში გაჭრილ კაცს ქვეყანა მართლაც მისი მხარდამჭერი ჰგონია, მაგრამ ეს ასე რომ არ არის?

დავანებოთ ელიავას თავი, რომელსაც ხელისუფლებამ თავის დროზე ბევრი რამ გაუკეთა იმისათვის, რომ იგი საქართველოს აქტიურ მშენებელთა შორის ყოფილიყო, მაგრამ... არ შერჩა კვდელს ცერცვი... თუმცა სახელმწიფო გონიერია და, როგორც საქართველოს პრეზიდენტმა ორშაბათის ბრიფინგზე აღნიშნა, არ არის მოუგვარებელი ეს პრობლემა. უფრო რთული და ძნელი პრობლემები დაუძლევია ჩვენს ქვეყანას ამ ბოლო წლებში.

დღეს საქართველოს პრეზიდენტს უსაფრთხოების უფრო გლობალური პრობლემა — თანამედროვე უსაფრთხოების მექანიზმების არასრულყოფილება აღელვებს, რადგან სჯერა: უსაფრთხოების გარანტიების გარეშე ჩვენი პლანეტა მუდმივი კონფლიქტების ხანძრით იქნება მოცული. ამის თაობაზე, მას არაერთხელ უთქვამს მსოფლიოს საზოგადოების იმ ნაწილის გასაგონად, რომელსაც ეს ეხება, მაგრამ ჯერჯერობით სანუგეშო არაფერი ჩანს...

ერთხელ კიდევ ამის თაობაზე აპრილის ბოლოს ნატოს სამიტზე იტყვის ედუარდ შევარდნაძე და, როგორც მან ბრიფინგზე აღნიშნა, მისი გამოსვლისა თუ კოლეგებთან საუბრის ცენტრალური თემა სწორედ თანამედროვე უსაფრთხოების მექანიზმების სრულყოფა იქნება.

რა აზრის არის საქართველოს პრეზიდენტი ჩვენს ტერიტორიაზე რუსეთის სამხედრო ბაზების ყოფნასთან დაკავშირებით? იუგოსლავიაში განვითარებული მოვლენების ფონზე, ხომ არ დადგა ხელსაყრელი მომენტი უფრო მკვეთრად გამოვხატოთ ჩვენი პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით?

სახელმწიფოს მეთაურს მიაჩნია, რომ ყველაფერს თავისი დრო აქვს და დღესდღეობით არ არის იმის საფუძველი, რომ რაღაც კორექტივები შევიტანოთ ამ საკითხებში. მით უფრო მაშინ, როცა ხელმოსაწერად მზადდება ძალიან მნიშვნელოვანი ხელშეკრულება: ევროპაში, განსაკუთრებით ცენტრალურ აზიასა და აღმოსავლეთ ევროპაში რუსეთის ტერიტორიაზე და, რა თქმა უნდა, საქართველოში შეიარაღების შემცირების თაობაზე. როგორც ცნობილია, ამ მოლაპარაკებებში, თავის დროზე ედუარდ შევარდნაძეც მონაწილეობდა და შეთანხმებაც მიღწეული იყო, მაგრამ შემდეგ იმ ცვლილებებთან დაკავშირებით, რომელიც ცივი ომის დამთავრებას მოჰყვა, მოლაპარაკებების ხელახალი რაუნდების მოწყობა გახდა საჭირო.

შეიარაღების ამ შემცირებას საქართველოს პრეზიდენტი უმნიშვნელოვანეს და რადიკალურს უწოდებს, რადგან უწინარეს ყოვლისა, იგი გამოიწვევს მძიმე ტექნიკის, ტანკების, ჯავშნიანი მანქანებისა და სხვა შეიარაღების სერიოზულ შემცირებას საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებულ რუსეთის ბაზებში და არა მარტო საქართველოში, არამედ ევროპაში, უკრაინაში, ბელორუსიაში, აღმოსავლეთ ევროპასა და სხვა ქვეყნებში.

— ეს პროცესი უნდა დამთავრდეს და, ალბათ, საქართველო-რუსეთის მოლაპარაკების დროს ბევრი რამ გაირკვევა. თუნდაც ის, თუ რომელი ბაზა დარჩება, რომელი არა, რა ნაწილი, რა შემადგენლობით. აწი, ბევრი რამ სწორედ საქართველო-რუსეთის მოლაპარაკებებზე იქნება დამოკიდებული.

დღეს კი, ამ საკითხის რაღაც განსაკუთრებული გამწვავება საჭიროდ არ მიმაჩნია. და ეს მანამ, სანამ სრულად არ განხორციელდება ის მოლაპარაკებები, რომელთა საბოლოო ხელშეკრულების პროექტი, ფაქტობრივად, მზად არის, — დასძინა პრეზიდენტმა.

რა თქმა უნდა, საქართველოში დღეს არსებულ სხვა მწვავე პრობლემებზეც იყო საუბარი ბრიფინგზე. კერძოდ: აქციზური მარკები და სიგარეტი, კორუფცია და სამართლებრივი რეფორმა...

არის თუ არა უკონტროლო სიგარეტის ამოღების მექანიზმი? ხომ არ არის საშიშროება ბათუმი გადაიქცეს იმ ზონად, სადაც შეიძლება შემოვიდეს უკონტროლო სიგარეტი და იგი იოლად გადავიდეს გადამყიდველთა ხელში?

— როცა აქციზური მარკების შემოღების საკითხს განვიხილავდით და ვთქვი, რომ ყოველ მოვლენას აქვს რაღაც უკუჩვენება, სწორედ სპეკულაციის განვითარებას ვგულისხმობდი. ამიტომაც ხელისუფლება სათანადო ზომებს იღებს ყოველგვარი არაკანონიერი არხის გადასაკეტად. გამზადებულია კანონპროექტის სქემაც და თუ საჭირო იქნება, ვფიქრობ, პარლამენტი მზად არის მიიღოს იგი.

რაც შეეხება ბათუმს, მე იქ განსაკუთრებულ საფრთხეს არ ვხედავ. თუ საქმეს არ მივხედავთ, ლეგალური თუ არალეგალური ზონები შეიძლება ფოთშიც შეიქმნას, ახალციხეშიც, წითელ ხიდთან და სხვაგანაც. წესრიგი ყველგან უნდა იყოს, მათ შორის ბათუმშიც.

კორუფციასთან გადამწყვეტი ბრძოლა უნდა დაიწყოს და იგი უმსხვერპლოდ არ ჩაივლის, — ეს საქართველოს პრეზიდენტის სიტყვებია. უნდა მოვიაზროთ თუ არა მსხვერპლში ყოფილი ჩინოვნიკები, რომლებმაც უკვე საკმაოდ გამდიდრებულებმა დატოვეს სახელმწიფო სტრუქტურები?

— დღეს ამ საქმეში ასე თუ ისე, ჩაბმულია ათასობით ადამიანი. ეს იმ მოვლენებმა მოიტანეს, საქართველოში რომ განვითარდა თავის დროზე. ამიტომ ჩვენი მოვალეობაა, რაც შეიძლება ნაკლები მსხვერპლით, მაგრამ ყველაზე უფრო კორუმპირებული ადამიანების დასჯით განვახორციელოთ ეს პროცესი.

როგორც საქართველოს პრეზიდენტმა აღნიშნა, ბოლო თვეებში ათასზე მეტი სისხლის სამართლის საქმეა აღძრული კორუფციასთან დაკავშირებით. არიან თუ არა მათ შორის ბობოლა კორუმპირებულები? უპასუხებს, რომ არიან, მაგრამ ჯერჯერობით არც მთლად საჯაროდ და მსოფლიოში ცნობილები.

სისხლის სამართლის საქმის აღძვრა ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ კორუმპირებული ელემენტი დაისაჯა, — ასე მიაჩნია საქართველოს პრეზიდენტს და განმარტავს, რომ სწორედ ასეთი საქმიანობის ანალიზისათვის შეიქმნა ახლახან ის სამუშაო ჯგუფი, რომელსაც იუსტიციის მინისტრი ლადო ჭანტურია უხელმძღვანელებს. მან ხელისუფლებას, პრეზიდენტს თავისი დასკვნები უნდა შესთავაზოს. მისი წევრები ძირითადად მეთოდოლოგიური მუშაობით, პრობლემების წამოწევით, კანონების მომზადებით და სხვა ანალოგიური საქმიანობით იქნებიან დაკავებული. შემდეგი ნაბიჯი კი, ალბათ, პარლამენტის მიერ კორუფციასთან ბრძოლის თაობაზე მიღებული კანონი იქნება, რომლის პროექტი კარგა ხანია მომზადებულია.

საქართველოს პრეზიდენტს აუცილებლად მიაჩნია, კორუფციასთან ბრძოლის სპეციალიზებული სამსახურის შექმნა, სადაც იქნება ძალიან მაღალი ანაზღაურება, განსაკუთრებული უფლებები და ა. შ.

— მართალია, დღევანდელი საბიუჯეტო კრიზისის პირობებში ეს ცოტა რთული გასაკეთებელია, მაგრამ მაინც უნდა გაკეთდეს. ჩვენ ამისთვის მზად ვართ, — აცხადებს იგი, თუმცა იმასაც დასძენს, რომ ამ საქმეს თავს ვერ მოვაბამთ მანამ, სანამ სასამართლო რეფორმას ბოლომდე არ მივიყვანთ.

საქართველოს პრეზიდენტს რეფორმის შედეგად მოსული მოსამართლეების დიდი იმედი აქვს, რომელთა შერჩევა განსაკუთრებული პასუხისმგებლობით მიმდინარეობს და აცხადებს, რომ მნიშვნელოვანი ღონისძიებები ხორციელდება იმისთვის, რომ მოსამართლეთა ანაზღაურება იყოს შესაბამისი. მართალია, ჯერჯერობით იდეალურ დონეზე ეს არ იქნება, მაგრამ მომავალში ყოველწლიურად მათი ხელფასებისთვის სერიოზული სახსრები იქნება გათვალისწინებული. ამავე დროს სასამართლო რეფორმას მსოფლიო ბანკი დააფინანსებს, ეს კი საკმაოდ დიდი თანხებია.

— სასამართლო უნდა იყოს ის ფილტრი, რომელიც კორუმპირებულთაგან საზოგადოების გაწმენდაში დაგვეხმარება, — ასეთია საქართველოს პრეზიდენტის მრწამსი, რომელმაც ბრიფინგზე თავისი პოზიცია გამოხატა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა გამოცდების თაობაზე.

— მე არ მიმაჩნია სწორად, რომ მოეწყოს უზენაესი სასამართლოს წევრთა გამოცდები. რატომ? უზენაესი სასამართლოს წევრი პრეზიდენტმა უნდა წარუდგინოს პარლამენტს, ეს პროცესი კი, თავისთავად ითხოვს შერჩევის პროცესს, გულისხმობს ადამიანის შესწავლას როგორც პროფესიონალიზმის თვალსაზრისით, ასევე მორალურ-ზნეობრივი თვალთახედვით. თუნდაც კორუმპირებულობის მხრივ.

მე მაქვს ყველა საშუალება და ბერკეტი იმისათვის, რომ ეს სათანადოდ შევისწავლო. ამის გარდა კანდიდატმა პრეზიდენტთან მისვლამდე სერიოზული გასაუბრება უნდა გაიაროს. ჩემს მიერ პარლამენტში მათი წარდგენის შემდეგ კი, საკომიტეტო მოსმენა. ჩემი აზრით: ეს უფრო მაღალი რანგის და მკაცრი გამოცდაა ვიდრე, როგორიც გნებავთ, საგამოცდო კომისია.

საქართველოს პრეზიდენტს მიაჩნია, რომ უზენაესი სასამართლოს წევრობის კანდიდატებად, რა თქმა უნდა, შეირჩევიან ის ადამიანები, რომლებმაც გამოცდები უკვე ჩააბარეს, და არა მხოლოდ ისინი, შეიძლება იყვნენ უნივერსიტეტის ცნობილი მეცნიერები, საზოგადოებისათვის ცნობილი პიროვნებები, მათ მოიწვევენ და თუ თანახმა იქნებიან, არავითარი გამოცდა არ სჭირდებათ, პირიქით, ამ რანგის მოღვაწეთათვის შეიძლება დამამცირებელიც კი იყოს გამოცდების მოწყობა.

— ჩემი პოზიცია ასეთია, როგორი იქნება პარლამენტის გადაწყვეტილება ვნახოთ, — აცხადებს პრეზიდენტი.

უზენაესი სასამართლოს შესახებ კანონპროექტი მომზადებულია. იგი იუსტიციის საბჭოზე განხილული და მიღებულია. საქართველოს პრეზიდენტის პოზიციაც ცნობილია. იგი აზრს კვლავ იმ შემთხვევაში გამოთქვამს, თუ კანონმდებელთა გადაწყვეტილება არ იქნება იმ კანონპროექტის შესაბამისი, რომელიც პრეზიდენტს შეაქვს პარლამენტში.

და, ბოლოს, დღის წესრიგიდან მოუხსნელი თემა: არჩევნები. მოხდება თუ არა არჩევნებში მოქალაქეთა კავშირისა და ოპოზიციის შეთანხმება და გაერთიანება ან ერთ ბლოკად, ან თანამშრომლობის თვალსაზრისით?

— ეს ჩემი გადასაწყვეტი არ არის, — აცხადებს ედუარდ შევარდნაძე, — ეს გარემოებამ უნდა განაპირობოს. თვით მთავარმა საბჭომ, სათათბირომ, ბოლოს და ბოლოს, ყრილობამ.

მე უფრო მხედველობაში მაქვს თანამშრომლობა იმ პატრიოტულ-ეროვნულ, პოლიტიკურ ძალებთან, რომელთათვისაც უმთავრესი საზრუნავი და ამოცანა ქვეყნის დამოუკიდებლობა, მისი გარანტიები, ეროვნული და სამოქალაქო თანხმობაა.

მე ვთქვი, რომ თუ ამ ძირეულ დებულებებში ერთმანეთს ვეთანხმებით, ეს ნიშნავს, რომ საარჩევნო კამპანია შედარებით კორექტულად უნდა წარიმართოს. ჩვენ შეიძლება ვიყოთ ერთ ბლოკში, შეიძლება არ ვიყოთ, მაგრამ თანამშრომლობა საარჩევნო კამპანიის პროცესში სავსებით შესაძლებელია, — ასე სჯერა საქართველოს პრეზიდენტს.

რუსუდან ლორთქიფანიძე.

ყრილობა

ძლიერი გლეხი ძლიერი სოფელია, ძლიერი სოფელი ძლიერი საქართველოა

(პირველი გვერდიდან)

მთავრობის ერთსულოვანი დახმარებით დღეისათვის ჩვენს ქვეყანაში 180-მდე გლეხთა და ფერმერთა საკრედიტო კავშირი მოქმედებს, რომელიც 12 ათასამდე წევრს აერთიანებს. მათ შორის აფხაზეთიდან და ცხინვალიდან დევნილი მოსახლეობისათვის შექმნილია 34 კავშირი, რომლებშიც 1000-ზე მეტი ოჯახია გაერთიანებული.

საქართველოში მოქმედი ეს მესამე ტიპის საკრედიტო კავშირი სრულიად განსხვავებული მოდელია. აქ საპაიო კაპიტალი სიმბოლური 5 ლარია, ხოლო სადამფუძნებლო გრანტი თითოეულ წევრზე 165 ლარია, რომელიც საფრანგეთის მთავრობის საჩუქარია.

საკრედიტო კავშირის მიზანია სასოფლო-სამეურნეო და სხვა სახის საჭიროებისათვის ხელმისაწვდომი ფულადი კრედიტის მეშვეობით ხელი შეუწყოს კავშირის წევრთა მეურნეობის განვითარებას და გაუადვილოს გლეხებს თავისუფალი ფულადი სახსრების დაზოგვა და დაგროვება.

საქართველოს ოდითგანვე მიწათმოქმედთა ქვეყნად იცნობენ, სადაც მევენახეობა და მეხილეობაც არანაკლებად ყოფილა განვითარებული. იგი თანდათან იბრუნებს თავის ფუნქციას, ცდილობს რა ცივილური გზით თავი დააღწიოს კრიზისს და მომხმარებელი ქვეყნის სტატუსიდან ძლიერ განვითარებულ ქვეყანათა რიგში ჩადგეს.

დღეს მართალია გაუჭირდა სოფელს და ამასთან გაუჭირდა მთლიან საქართველოსაც, მაგრამ სულაც არ არის შორს ის დრო, როცა ქვეყნის აგრარული რეფორმა სრულიად შეისხამს ფრთებს, მაშინ კი ნამდვილად გაძლიერდება სოფელი და ეს ერთიანი განუყოფელი საქართველოს ძლიერებაც იქნება.

ყრილობის მუშაობა შეაჯამა და ვრცელი სიტყვა წარმოთქვა საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ.

ყრილობის მიმდინარეობის შესახებ სრულ ანგარიშს მალე შემოგთავაზებთ.

ნაზი იმნაიშვილი,
როლანდ ბასილაშვილი.

პრეზიდენტი

ქართულმა ენამ ენობრივ ასპარეზზე პოზიციები უნდა განიმტკიცოს

(პირველი გვერდიდან)

მომზადებასა და ქართული ენის ისტორიულ-ეტიმოლოგიური ლექსიკონის შედგენას გულისხმობს. ეს უკანასკნელი, როგორც პროგრამის ავტორები აცხადებენ, იქნება ქართველოლოგიის განვითარების ერთი მნიშვნელოვანი ეტაპის დამაგვირგვინებელი ნაშრომი, რომელშიც თავს მოიყრის ქართული ფილოლოგიის ყველა არსებითი მონაპოვარი და რომელიც თვალნათლივ წარმოადგენს ქართული ენის განვითარების ხანგრძლივსა და რთულ ისტორიას.

კომისიამ განიხილა კანონპროექტი სახელმწიფო ენის შესახებ. კომისიის წევრთა საერთო აზრით, კანონპროექტი ჯერ კიდევ მოითხოვს დახვეწას და ცალკეული დეტალების დაზუსტებას. იმისათვის, რომ მთავრობის სხდომას განსახილველად მაქსიმალურად სრულყოფილი დოკუმენტი წარედგინოს, საქართველოს პრეზიდენტის აზრით, მასზე მუშაობა ერთობლივად უნდა გააგრძელონ იუსტიციის სამინისტრომ და ენის სახელმწიფო პალატამ. რაც მთავარია, პროექტი სრულად უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კონსტიტუციის ძირითად დებულებებს, რადგან „ეს არის უზენაესი კანონი, რომლის არც ერთი სიტყვა ეჭვქვეშ არ უნდა დადგეს“.

კომისიამ ერთსულოვნად დაუჭირა მხარი წინადადებას გაზეთ „ქართული ენის“ დაარსების შესახებ.

პრეზიდენტის პრესსამსახური — საქინფორმი.

მეზობლებთან

დაკრისტალებული შთაბეჭდილებები წარმოსახვის პრიზმაში

1. აგრემანი საქართველოს პარლამენტის დელეგაციისთვის

(პირველი გვერდიდან)

საპარლამენტო დელეგაციის ერევანში ჩასვლას უსწრებდა სომხეთის ეროვნული კრების თავმჯდომარის ხოსროვ არუთინიანის ინიციატივა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ეგიდით ამიერკავკასიის სამი რესპუბლიკის პარლამენტთა ხელმძღვანელების შეხვედრის შესახებ, რასაც კმაყოფილებით გამოეხმაურა ასამბლეის თავმჯდომარე ლორდ რასელ ჯონსტონი და სტრასბურგში მიიწვია სომხეთის, საქართველოს და აზერბაიჯანის საკანონმდებლო ორგანოების ხელმძღვანელები.

სტრასბურგი, 1999 წლის 15 მარტი.

ჩვენი გაზეთი უკვე იუწყებოდა, რომ სომხეთის რესპუბლიკის ეროვნული კრების თავმჯდომარის ხოსროვ არუთინიანის, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ზურაბ ჟვანიას და აზერბაიჯანის მილი-მეჯლისის თავმჯდომარის მურთუზ ალესკეროვის მონაწილეობით და ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის თავმჯდომარის ლორდ რასელ ჯონსტონის ხელმძღვანელობით 15 მარტს გაიმართა მათი შეხვედრა სტრასბურგში, ევროკავშირის შენობაში. განიხილეს ამიერკავკასიის სამი რესპუბლიკის საპარლამენტო რეგიონალური თანამშრომლობის პერსპექტივა, პირველად ბოლო 12 წლის განმავლობაში პანევროპული ორგანიზაციის ეგიდით ერთმანეთს პირისპირ შეხვდნენ სომხეთის და აზერბაიჯანის ესოდენ მაღალი რანგის წარმომადგენლები.

„ევროპის საბჭოში გაწევრიანებაზე მოთხოვნის გაკეთებისას, სომხეთმა, აზერბაიჯანმა და საქართველომ ნათლად გამოხატეს ნება, გახდნენ ევროპული დემოკრატიული ოჯახის შემადგენელი ნაწილი და გაიზიარონ და დაიცვან ევროპული ღირებულებები. გჯერა, რომ ეს საპარლამენტო ინიციატივა ხელს შეუწყობს ჩვენი დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერებას, აგრეთვე, რეგიონში კონფლიქტების მოგვარებას და დაგეხმარება ჩვენი ქვეყნების ევროპის საბჭოს სტრუქტურების სრულ ინტეგრაციაში საპარლამენტო ასამბლეის ყველა შესაბამისი დადგენილების გათვალისწინებით“. ეს ვრცელი ფრაგმენტი სტრასბურგის ერთობლივი დეკლარაციიდან იმიტომაც მოვიხმე, რომ მკითხველისთვის კიდევ უფრო საგრძნობი გახდეს ხოსროვ არუთინიანის სიტყვები, — აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს პარლამენტების სპიკერთა ერთობლივმა განცხადებამ დააფიქსირა, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია რეგიონალური თანამშრომლობა და რეგიონში ნდობისა და მშვიდობის ატმოსფეროს ფორმირება.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანია „შეხვედრის ყველაზე რთულ მომენტებში მთავარი მედიატორი და ორივე მხარის მეგობარი იყო“. ეს სიტყვები ლორდ რასელ ჯონსტონს ეკუთვნის და უნდა ვერწმუნოთ, რადგან სტრასბურგის შეხვედრები დახურულ კარს მიღმა მიმდინარეობდა და პირველი პირების გარდა, არავინ ესწრებოდა. ხოსროვ არუთინიანი კი, უკვე ერევანში, კმაყოფილებით და მადლიერებით აღნიშნავდა ზურაბ ჟვანიას დიდ დამსახურებას. აღნიშნავდა არა ერთხელ, არამედ — მრავალჯერ.

აი, რატომ ვამბობ, რომ საქართველოს საპარლამენტო დელეგაციას აგრემანი არ სჭირდება სომხეთში.

* * *

როგორც ქირურგიული ოპერაციის შემდეგ ვერ ეგუება ორგანიზმი სხეულის მოკვეთილი ნაწილის დაკარგვას, ისე ვერ ურიგდება აზერბაიჯანი ყარაბაღის წართმევას, ვერ შეჰგუებია სისხლიან დანაკარგს, საქართველო კი ისეა დაკავშირებული კავკასიის ორგანიზმთან „სისხლის მიმოქცევით“, რომ მაქსიმალურად ცდილობს რეაგირება მოახდინოს კავკასიაში მომხდარ, მიმდინარე თუ მოსალოდნელ კონფლიქტებზე.

ამიტომაც არის, რომ საქართველოს პრეზიდენტი ხაზგასმით ამბობს: „სამხრეთ კავკასიაში მშვიდობასა და სტაბილურობას ალტერნატივა არა აქვს, და, ვფიქრობ, ეს ყველამ კარგად უნდა გაიგოს. ამ აზრს ყველა გონიერი კავკასიელი, და არა მარტო კავკასიელი პოლიტიკოსი იზიარებს. თუმცა, ისიც ფაქტია, რომ ზოგიერთ ქვეყანაში არიან ძალები, რომლებიც ჩვენი რეგიონის სახელმწიფოებში მუდმივი დაძაბულობის შენარჩუნებას ცდილობენ“.

რაკი პრეზიდენტი არ აკონკრეტებს და მხოლოდ მინიშნებით იფარგლება, არც მე დავარქმევ სახელს იმ „ზოგიერთ ქვეყანას“. იმას კი ვიტყვი, რომ ამ ალტერნატივო მშვიდობას მხოლოდ ისევ კავკასიის სახელმწიფოთა ლიდერები თუ დაუდებენ სათავეს, თორემ „არასტაბილურობის ახალ კერათა შექმნა-აღმოცენება მომაკვდინებელია თავად იმათთვის, ვინც ამგვარ მეთოდებს თავისი კავკასიური პოლიტიკის ქვაკუთხედად აქციეს“ (ედუარდ შევარდნაძე). ისინი, ვინც კავკასიაში „მეგობრულად“ გვმტრობენ, როგორმე შეეცდებიან თავიანთი სახელმწიფოს მომაკვდავი სხეულის რეანიმირებას, საქართველოსთვის კი კავკასიის რესპუბლიკებს შორის მედიატორის ფუნქცია თავად ამ რესპუბლიკებისთვისაც მისაღებია. სასურველიც. და — აუცილებელიც.

* * *

ესეც ჩვენი დელეგაციის ერევანში სტუმრობას უსწრებდა.

სომხეთისა და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრები ვართან ოსკანიანი და ირაკლი მენაღარიშვილი მიესალმნენ აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს პარლამენტთა მეთაურების სტრასბურგის შეხვედრის შედეგებს. ეს მათ განაცხადეს ერევანში რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროში გამართულ პრესკონფერენციაზე.

— ეს არის მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც დიდად შეუწყობს ხელს რეგიონში თანამშრომლობის ხელსაყრელი ატმოსფეროს შექმნას, — განაცხადა ვართან ოსკანიანმა. ირაკლი მენაღარიშვილმა დიდმნიშვნელოვნად მიიჩნია სტრასბურგის შეხვედრა და მისი შედეგების მიხედვით ერთობლივი დეკლარაციის მიღება. — კავკასიის ქვეყნების მისწრაფება ევროპაში ინტეგრირებისათვის, დიდ შესაძლებლობას ქმნის, რათა განიხილონ სხვადასხვა საკითხთა გადაწყვეტის გზები, — თქვა მან.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს დიდად ემედება ლუქსემბურგში ამიერკავკასიის სამი სახელმწიფოს მეთაურთა მომავალი შეხვედრა, რომელიც, როგორც მან თქვა, ახალ იმპულსს შესძენს ამ ქვეყნების ურთიერთგაგების განვითარებას.

იხ. მე-4 გვ.

ღირსეული

რისკი — საშუალება, რომელსაც მიზანი ითხოვს

დედაქალაქის შერიფობამდე

1995 წელი. სექტემბერი. თბილისი. საბურთალოს პოლიციის უფროსის კაბინეტი. ერთ-ერთი შეიარაღებული ფორმირების ლიდერის, — რომელსაც მალე ქალაქი უნდა დაეტოვებინა, — დაკავება დიდ რისკთან იყო დაკავშირებული. კაბინეტში შედის სოსო ალავიძე და დანაშაულში, ეჭვმიტანილი ხელბორკილით გამოჰყავს.

1995 წელი. გახმაურებული ბორჯომის საქმე. 5 მოქალაქის მკვლელობა. სოსო ალავიძე ბორჯომშია...

და კიდევ: გაცილებით თავზეხელაღებული დამნაშავეები და გაცილებით რისკიანი ისტორიები დამნაშავეებთან ბრძოლაში. სოსო ალავიძე ამაზე დუმს და კატეგორიულად მოითხოვს, არ დავაფიქსიროთ.

დედაქალაქის შერიფობის პირველი წელი

1996 წელი. თბილისი. აბასთუმნის ქუჩა. საცხოვრებელ სახლში შეიარაღებული პირი მძევლად იყვანს ხანდაზმულ ქალბატონს და აყენებს ულტიმატუმს. ქალაქის ცენტრში შეკრებილი ხალხის ასობით მზერა ელის შედეგს — რით დასრულდება ყველაფერი? ქალაქის პოლიციაში სულ რამდენიმე თვის დანიშნულია სოსო ალავიძე. შერიფი პირდაპირ შედის ყაჩაღთან. მძევალს ათავისუფლებენ.

დედაქალაქის შერიფობის მესამე წელი

1999 წლის 1 აპრილი. თბილისი. შირაქის ქუჩა. საცხოვრებელ ბინაში შეიარაღებულ პირებს მძევლად ჰყავთ აყვანილი 18 წლის გიორგი ჩხეიძე. მობილიზებულია ქალაქის გარნიზონი. თავდამსხმელები ითხოვენ საბერძნეთის საელჩოში მისვლას. მობილურ ტელეფონს, უსაფრთხოების გარანტიას. ბინიდან რამდენიმეჯერ გაისმის გასროლის ხმაც.

დედაქალაქის პოლიციის უფროსი სოსო ალავიძე: — ჩვენი მიზანი იყო ოპერაცია უსისხლოდ დამთავრებულიყო. ამან განაპირობა, როგორმე დიალოგით მიგვეღწია შედეგისთვის.

ფრაგმენტი ვიდეოკასეტაზე დაფიქსირებული დიალოგიდან:

ერთ-ერთი თავდამსხმელი: — გამოვალ იარაღით.

სოსო ალავიძე: — ხომ გითხარით, იარაღით ვერ გამოხვალ. გპირდები, მარტო შემოვალ, დაგელაპარაკები. რაც მისაღები იქნება, მივიღებ, რაც არ შემეძლება, არ შეგპირდები. გამიღე, კარები... არავინ არ გესვრის, რატომ უნდა გესროლონ... შენ ახლა პანიკაში ხარ... ნუ გეშინია. ყველას სიცოცხლე ძვირფასია, მარტო სიკვდილს არაფერი ეშველება. შემომიშვი. სწორად გამიგე. არ დაიხოცებით, არავინ არ შემოვა, მე ვარ აქ ხელმძღვანელი, მე გაძლევ გარანტიას. გონს მოეგე, ნორმალურად დამელაპარაკე, მომისმინე... იარაღი არ ამიღია, გამიღე კარი. თუ მესვრი, ალალი იყოს შენზე, მაგრამ არა ვარ სასროლი... არ არის ლაპარაკი გაშვებაზე, სიცოცხლეზეა ლაპარაკი... ნუ ძაბავ სიტუაციას, ნუ მაყვირებ აქედან... შემომიშვი, კაცურად გეუბნები არ მინდა სისხლის დაღვრა. რამდენჯერ ისროლეთ მანდედან, აქედან არავის უსვრია... მესმის, შენ დაძაბული ხარ, არ დაიმძიმო დანაშაული. დავუსვათ წერტილი, ვნახოთ ერთმანეთი. თუ სროლა გინდა, აქა ვარ, გააღე და მესროლე, თუ არა და შემომიშვი.

კარები იღება. ყაჩაღებთან პირისპირ უიარაღოდ შედის დედაქალაქის შერიფი. 40-წუთიანი დიალოგის შემდეგ სადარბაზოდან ორი თავდამსხმელით გამოდის და სამმართველოში მიჰყავს ისინი.

— ბატონო სოსო, მსგავსი რისკი ადრეც გაგიწევიათ, მაგრამ არ გახმაურებულა. ხომ არ ვიფიქროთ, რომ თანამდებობა თავისთავად რეზონანსის პირდაპირპროპორციულია?

— რისკი, საერთოდ, ჩემი ბუნების თანამდევია და არა — თანამდებობის. მსგავსი შემთხვევები სხვა დროსაც ყოფილა, მაგრამ ნუ დაარქმევთ ამას მხოლოდ რისკს. ეს არის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულება.

— თქვენი გაბედულება ბევრმა ვერ ან არ დაიჯერა და ისიც ითქვა, „ჩაწყობილი“ იყო, თორემ უიარაღოდ რად შევიდოდაო.

— (იცინის) კი, მეც შევიტყვე. გასაკვირი არაფერია, ჩვენ ხომ ისეთ ქვეყანაში ვცხოვრობთ, სადაც პრეზიდენტზე თავდასხმას, მავანი თავად პრეზიდენტს აბრალებდა. შირაქის ქუჩაზე მომხდარ ფაქტს რაც შეეხება, მე ისეთს არაფერს შევპირებივარ, რასაც ვერ გავაკეთებდი. იმათაც არ უნდა დავუკარგო, — სამართლებრივადაც და კაცურადაც თავიანთი ხვედრი შეიმსუბუქეს. ვერც ერთი ქვეყნის პოლიტიკა ვერ გაართმევს თავს თავის ფუნქციას, თუ თითოეული მოქალაქე არ იგრძნობს პასუხისმგებლობას. დღეს ამაზე დგას სახელმწიფო. ჩვენთან კი მოქალაქეობრივ პასუხისმგებლობას „ჩაშვებასთან“ აიგივებენ. მივესალმები, თუკი ინფორმაციის მოტანა მოქალაქეობრივი ვალდებულების რანგში აღიქმება, თუკი საზოგადოება საამისოდ ერთსულოვანი იქნება. ჩვენის მხრივ კი ოპერატიულად მივიღებთ ყველა ზომას.

— ბატონო სოსო, ბოლო დროს დედაქალაქში პოლიციელთა სიმრავლეს მიტინგებისა და თავყრილობების დროს, განსხვავებულად მოაზროვნეთა წინააღმდეგ ერთგვარ დამსჯელ ოპერაციად აღიქვამენ.

— საქართველოს სხვა რეგიონებთან შედარებით თბილისი პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩევა. ამდენად, გასაკვირი არ უნდა იყოს, პოლიციასაც მეტი აქტიურობის გამოჩენა რომ სჭირდება. რაც შეეხება იმას, პოლიციის გააქტიურება სადამსჯელო ოპერაციებად აღიქმება თუ არა, გიპასუხებთ არაერთხელ გაკეთებული განცხადებით: ხელისუფლების მიერ დადგენილია კონკრეტული ადგილები მიტინგების, მანიფესტაციების და სხვა პოლიტიკური აქციებისთვის. არ ყოფილა შემთხვევა, როცა რომელიმე პოლიტიკურმა დაჯგუფებამ ნებადართულ ადგილას გამართა აქცია და იგი პოლიციამ შეზღუდა ან დაშალა. ხოლო როცა ესა თუ ის პოლიტიკური დაჯგუფება იკრიბება კანონით აკრძალულ ადგილებში, ამ შემთხვევაში პოლიცია მოქმედებს კანონით დადგენილი წესებით — ასეთი მიტინგი თუ მსვლელობა აღიკვეთება. ამდენად, პოლიციის მიერ ფიზიკური ძალის გამოყენება არ შეიძლება უკანონოდ მივიჩნიოთ. სხვა საკითხია, რამდენად მართლზომიერი იყო ძალის გამოყენების აუცილებლობა ამა თუ იმ კონკრეტულ შემთხვევაში.

13 აპრილს დედაქალაქის პოლიციის უფროსი, გენერალ-მაიორი იოსებ ალავიძე საქართველოს პრეზიდენტმა ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენით დააჯილდოვა. ვულოცავთ! ვუსურვებთ უსისხლო ოპერაციებს და გვინდა გაგვიმყარდეს რწმენა, რომ პოლიციას სიტუაციის მართვა კვლავაც შეუძლია.

ნინო ახალაძე.

P. S. და მაინც, ნახევრადხუმრობით: ვფიქრობ, ამგვარი გაბედულებისთვის, „ზედმეტი“ რისკისთვის, თუნდაც მას მიზანი ითხოვდეს, ჯილდოსთან ერთად „შერიფი“ დისციპლინარულ სასჯელსაც იმსახურებს. მაგრამ მოდით, რახან „უფროსი ყოველთვის მართალია“, დავემორჩილოთ და ვუსურვოთ იღბლიანობა, რადგან ასეთი მიზანი, ყოველთვის ამართლებს რისკს.

სოსო ალავიძისნაირი პოლიციელი ქვეყნის სახეა

გორგასლის ორდენი „ფოჩიანი კანფეტების“ ფონზე

აბა, რა ამბავი ატყდება დღეს სოსო ალავიძის „მტრების“ ბანაკში? — ამიტომ ვაამჟღავნებდით მის „კორუმპირებულობასო“, საირმის გორაზე ასაშენებელ სრა სასახლესო, ლაგოდეხის ზღაპრულ მამულებსო, სიმამრის „მილიონებს“ და ამ მილიონების კანონიერ მემკვიდრეებს, „ოქროს სათამაშოებში“ ყელამდე ჩაფლულ, სამ პაწია ალავიძეს (ღმერთმა ამრავლოთ), რომ ვახტანგ გორგასლის მეორე ხარისხის ორდენით დაეჯილდოებინათო?..

თქვენ კი ამხელდით, მეგობრებო, მაგრამ ყველაფერი რომ ტყუილი გამოდგა? თუმცაღა, ზედმეტად ნუ ინერვიულებთ, ახლა ფირფიტა ამოატრიალეთ და სხვა კუთხიდან „შეუტიეთ“, იქნებ, თემურ მღებრიშვილის (თქვენ მასაც ძალიან ახლოს იცნობთ) „ფოჩიან კანფეტებს“ მაინც გამოჰკრათ ხელი. თბილისის „ომონის“ კოლორიტული შეფი ხომ პოლიციის „მრისხანე“ კრიტიკოსებს ბოლო ხანს კანფეტებით ასაჩუქრებს...

სოსო ალავიძის საქმიანობას ჯერ რუსთავის, შემდეგ კი თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსის პოსტზე კარგა ხანია ვაკვირდები. როგორც რიგით მოქალაქეს და ჟურნალისტს მიხარია, რომ ეს ახალგაზრდა, რაინდი კაცი ერთ-ერთი ნათელი წერტილია ქართული პოლიციის ჭირ-ვარამით, დადებით-უარყოფითით, მტერ-მოყვრით სავსე მრავალათასიან კოლექტივში. ვიცნობ მის პროფესიონალებით სავსე სამეგობრო-სანათესაოს და როცა ალავიძეების ოჯახზე გაუთავებლად იბეჭდებოდა ცალმხრივი, გამაღიზიანებელი, უსუსური პასკვილები, ყოველთვის დიდი ვაჟა მახსენდებოდა — „ცუდას რად უნდა მტერობა“... თვით სოსო კი არასოდეს გამოსულა წონასწორობიდან.

— პოლიციელებს დითირამბებს იშვიათად ან საერთოდ არ გვიძღვნიან. ეს სამართლიანიცაა. ეკონომიკურად შეჭირვებულ ქვეყანაში ხალხს აღიზიანებს ზოგიერთი ჩვენი უღირსი თანამშრომლის გამომწვევი მოქმედება. თვეობით უხელფასო პოლიციელი სხვაზე უკეთ არ უნდა ცხოვრობდეს. პოლიციელი მართლაც ქვეყნის სახეა და მასაც საკუთარი ხალხის, საკუთარი ქვეყნის ტკივილი უნდა „ეწეროს“ გულის ფიცარზე — მითხრა ამას წინათ სოსო ალავიძემ.

ვახტანგ გორგასლის მეორე ხარისხის ორდენი უდიდეს აღიარებად, მომავალში მისი და მისი კოლეგების უკეთ მუშაობის ავანსად მიაჩნია დედაქალაქის უპირველეს პოლიციელს.

დარწმუნებული ვარ საოცრად [illegible]ლიანი, თავმდაბალი პოლი[illegible] ნერალი, ქვეყნის პატრიო[illegible] თით საჩვენებელი ოჯახის [illegible] სო ალავიძე ღმერთის შეწ[illegible] და მეგობრების დახმარებით, ხვალ უკეთ იმუშავებს.

სპარტაკ ძოგულია.

სიტუაცია

აკაკი ელიავამ სუფსის ნავთობტერმინალზე თავდასხმა დროებით გადაიფიქრა

(პირველი გვერდიდან)

ამიტომ, ბუნებრივია, საქართველოს სპეცსამსახურები ყველაფერს გააკეთებენ, რათა 17 აპრილს დაგეგმილმა გრანდიოზულმა ღონისძიებამ მშვიდობიანად ჩაიაროს, ანუ სავსებით შესაძლებელია, რომ 17 აპრილამდე აკაკი ელიავას „გაუვნებელყოფის“ ოპერაცია განხორციელებულიყო. მითუმეტეს, რომ ქართულმა სამართალდამცავებმა მთავრობის ერთ-ერთ ბოლო სხდომაზე პრეზიდენტისაგან შესაბამისი მითითება მიიღეს: — „ელიავამ თავისი მუქარა ვერ უნდა შეასრულოს, მან ეს ვერ უნდა გაბედოს“. პრეზიდენტმა ამავე დროს 17 აპრილს შესაძლო გართულების შემთხვევაში მთელი პასუხისმგებლობა სამართალდამცავ ორგანოებს დააკისრა.

შესაბამისად, ქუთაისში მიმავალ ჟურნალისტებს ეჭვიც კი გაგვიჩნდა, რომ შეიძლება აკაკი ელიავას შეპყრობის მოწმენი გავმხდარიყავით. ეს ეჭვი ნაწილობრივ გამართლდა: საბოლოოდ ქუთაისის ნაცვლად სენაკში ამოვყავით თავი, სადაც საქართველოს უშიშროების სამინისტროს ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის სამსახურის უფროსი ლევან კენჭაძე გველოდა. იმ დღეს აკაკი ელიავა ხელისუფლებას ნებაყოფლობით უნდა ჩაბარებოდა.

აღდგომა და ხვალეო, ანუ სენსაცია არ შედგა

როგორც გაირკვა, ერთი კვირის წინათ უშიშროების წარმომადგენელ ლევან კენჭაძესთან შეხვედრისას აკაკი ელიავამ უპირობო სიტყვა დადო, რომ აღდგომის დღესასწაულის შემდეგ იგი ხელისუფლებას ნებაყოფლობით ჩაბარდებოდა (მისი თხოვნით ამ პროცედურას აუცილებლად უნდა დასწრებოდნენ ჟურნალისტები). შეთანხმებისამებრ მის თანამებრძოლებს, რომლებსაც სისხლის სამართლის დანაშაული არ ჩაუდენიათ — იარაღი უნდა ჩაებარებინათ და სახლებში წასულიყვნენ. ხოლო თვით აკაკი ელიავას, ამ შეთანხმებით ერთი წელი (შეიძლება არც კი) ციხეში ჯდომა მოუწევდა. შემდეგ კი პრეზიდენტი მას შეიწყალებდა.

მაგრამ, აკაკი ელიავამ იმ დღეს მასთან სენაკის რაიონის მთიან სოფელ ეკში ასული ჟურნალისტები და უშიშროების სამინისტროს წარმომადგენლები გაგვაწბილა და ნებაყოფლობით ჩაბარება გადაიფიქრა. მან აღდგომის წინა დღეებში დადებული შეთანხმება დაარღვია და კვლავ ძველი პირობები წამოაყენა. ანუ, კვლავ მოითხოვა 19 ოქტომბრის სენაკის აჯანყების შემდეგ დაპატიმრებულ თანამებრძოლთა განთავისუფლება.

როგორც 12 აპრილს სოფელ ეკში აკაკი ელიავასა და ლევან კენჭაძის პირისპირ მოლაპარაკების შედეგად გადაწყდა, 17 აპრილამდე ყველა ვერა და 10 კაცი კი შეიძლება გაათავისუფლონ საპყრობილედან. ასეთ შემთხვევაში აკაკი ელიავა პირობას დებს, რომ სუფსის ნავთობტერმინალს თავს აღარ დაესხმება და ხელს არ შეუშლის იქ დაგეგმილ პრეზიდენტების შეხვედრას. საინტერესოა ამჯერად მაინც რამდენად მყარი აღმოჩნდება ამბოხებულთა მეთაურის მიერ მიცემული სიტყვა და, ასევე, რამდენად რეალურია 17 აპრილამდე მისი, თუნდაც 10 თანამებრძოლის ციხიდან განთავისუფლება? თვით უშიშროების პასუხისმგებელი პირის განცხადებით ამ 10 კაცის ბედი სამხედრო პროკურატურამ და სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს.

პრესკონფერენცია ტყეში. აკაკი ელიავა საქართველოსაგან სამეგრელოს გამოყოფას მომავალში არ გამორიცხავს, თუ...

არშემდგარი სენსაციის, ანუ მას შემდეგ, რაც ელიავამ უარი თქვა ნებაყოფლობით ჩაბარებაზე, ამბოხებულთა მეთაურმა ტყეში ასული ჟურნალისტებისათვის სახელდახელო პრესკონფერენციაც გამართა. იგი ალექსანდრე ჭაჭიას სამეგრელოში მოღვაწეობასაც შეეხო და მართლაც სენსაციური განცხადება გააკეთა. კერძოდ მან აღნიშნა, რომ ჭაჭიას იმ საკითხში ეთანხმება, რომ დღეს სამეგრელო ძალზე დაჩაგრულ მდგომარეობაში იმყოფება, რის ერთ-ერთ გამოხატულებად „სამეგრელოსთვის ფოთის წართმევა“ (მისი სიტყვებია) მიაჩნია (?!). სამაგიეროდ, როგორც გაირკვა, აკაკი ელიავა ჭაჭიას მიერ დაარსებულ მოძრაობაში ხედავს სეპარატიზმის საფრთხეს. ასეთი ტენდენციის მიმართ კი მას თავისი უკმაყოფილება არ დაუმალავს, რამაც სენაკის ტყეში შეკრებილი ჟურნალისტები ის გვაფიქრებინა, რომ აქამდე გავრცელებული ინფორმაცია — ელიავა სამეგრელოს საქართველოსგან მოწყვეტას ისახავს მიზნად, სინამდვილეს არ შეესაბამება. არადა, ამგვარმა ინფორმაციამ ქართულ მასმედიაში უკვე გაჟონა. თუმცა, როგორც ამბოხებულთა მეთაურთან შეხვედრის დროს გაირკვა, ჩვენი კოლეგების მიერ გავრცელებული ინფორმაცია თავის დროზე ან სიმართლე ყოფილა, ანდა ისინი წინასწარმეტყველების უნარით არიან დაჯილდოებული: აკაკი ელიავამ თავის სამფლობელოში, ანუ სოფელ ეკში ჟურნალისტებს საჯაროდ განუცხადა, თუ ხელისუფლება მოლაპარაკების პროცესში ჩემს წინააღმდეგ ძალას გამოიყენებს და სამეგრელოში ეგზეკუციებს დაიწყებს, მაშინ, რაღა თქმა უნდა, საქართველოს შემადგენლობიდან სამეგრელოს გამოყოფის საკითხიც დადგებაო.

მთაში ტანკი ჯართია

ერთია, რას ფიქრობს თვითონ ელიავა და, მეორეა, ის ხალხი, ვისი მეშვეობითაც აპირებს ამბოხებულთა მეთაური „სამეგრელოს გათავისუფლებას“. არადა, მაღალმთიან სოფელ ეკში ჟურნალისტებს საშუალება მოგვეცა გავსაუბრებოდით ახლა უკვე „შეიარაღებულ ოპოზიციად“ წოდებულ ახალგაზრდებს. ისინი ჩვეულებრივი ადამიანები არიან. მათი საშუალო ასაკი დაახლოებით 30 წელია, თუმცა რაზმში „პატარა ბიჭებიც“ ჰყავთ. იქ, სოფელ ეკში ელიავას ძირითადი დამრტყმელი ძალებია თავმოყრილი, რომელთა საერთო რაოდენობა დაახლოებით 50 კაცს არ აღემატება. დანარჩენები კი „არაყაზარმულ“ მდგომარეობაზე იმყოფებიან, ანუ თავიანთ სახლებში არიან და საჭიროების შემთხვევაში იარაღს აისხამენ. ამ უკანასკნელთა რაოდენობის დადგენა ჟურნალისტს არ ძალუძს. ეს უფრო სპეცსამსახურების კომპეტენციას განეკუთვნება.

რაც შეეხება ამბოხებულთა შეიარაღებას, იგი საკმაოდ შთამბეჭდავია. მართალია, მათ არსენალში დამრტყმელ-მოიერიშე შვეულმფრენები და ჯავშანსატანკო ტექნიკა არ არის, მაგრამ მთის პირობებში ბრძოლისათვის ისინი საკმაოდ კარგად არიან აღჭურვილი. მათ აქვთ კალაშნიკოვის ავტომატები თავისი ე. წ. „პოდსტვოლნიკებით“ (რაც ჩვენს ჯარშიც იშვიათობაა), ტყვიამფრქვევები და, რაც მთავარია, ყუმბარმტყორცნები. არადა, ასეთი შეიარაღება მთაში საკმარისია, რადგან ტანკს იმ ოღრო-ჩოღრო ადგილებში მაინც ვერ გამოიყენებ.

ასე რომ, ტანკი რომც ჰქონდეთ, იგი ტყეში მაინც ჯართია.

ელიავას ბანაკში ეროვნულ საკითხზე განხეთქილების ნიშნები იკვეთება?

და აი რას ფიქრობენ ამ შეიარაღების მქონე პირები თავიანთი და საქართველოს მომავალზე: ჩვენ არ გვსურს და არც არასდროს დაღვრით ქართველის სისხლს, საქართველო ყოველთვის ერთიანი უნდა იყოს (აფხაზეთში თუ სამაჩაბლოში ჩვენ სწორედ ამ ერთიანობისათვის ვიბრძოდითო).

19 ოქტომბერს სისხლისღვრა რომ გვდომებოდა, მართლა მეტი სისხლი დაიღვრებოდა. ჩვენ საამისოდ საკმაო შეიარაღება და ტექნიკა გვქონდა. მაგრამ ეს არ გავაკეთეთ და უკან დავიხიეთ. ამიტომაც აქ ტყეს შევაფარეთ თავი. დანებებას ჯერჯერობით არ ვაპირებთ, რადგან ციხეში ჯდომას, ასეთი თავისუფლება გვირჩევნია, — ამბობს ელიავას თანამებრძოლი ზურაბ გვაზავა. მეორე მისმა თანამებრძოლმა გია მესხმა კი ასევე კერძო საუბარში აღნიშნა, რომ ხელისუფლებას სოფელში სპეციალური დანიშნულების ჯგუფები ჰყავს შემოყვანილი, რომლებიც, მისი თქმით, პროვოკაციებს აწყობენ და მათი პოზიციების იერიშისათვის ემზადებიან. სხვათა შორის ეს ის გია მესხია, რომელიც ჯიხაშკარის „გმირის“ გოჩა ესებუას რაზმში იყო. ამიტომაც გასაკვირი ნამდვილად არ არის, რომ უშიშროება ასეთი „ტიტულოვანი“ ხალხით ინტერესდება. მაგრამ ამავე დროს დასანანი იქნება, თუ იგი და ელიავას რაზმში მყოფი სხვა ახალგაზრდები ვიღაცეების „სახიფათო თამაშებს“ შეეწირებიან, რადგან სოფელ ეკში თავშეფარებული მებრძოლების უმეტესობა (რომლებმაც საკუთარი გვარების დასახელება არ ისურვეს) საქართველოს ერთიანობაზე ოცნებობს და არც მაინცდამაინც თავგადაკლული „ზვიადისტია“.

ჯერ „სატურნი“, შემდეგ მარსი?

აკაკი ელიავა აცხადებს: მე რომ მოვინდომო, დღეს ავიღებ სენაკს, ხვალ ზუგდიდს, შემდეგ წალენჯიხას და ა. შ. სამწუხარო იქნება, თუ ამბოხებული პოლკოვნიკის (ეს ჩინი, სხვათა შორის, ამჟამინდელმა პრეზიდენტმა უბოძა და მასზე რატომღაც უარს არ ამბობს) ბოლო დანიშნულების წერტილი სამეგრელოს რომელიმე სასაფლაო იქნება. რადგან მისთვის „ბოლო წერტილში“, ანუ თბილისში (როგორც თვითონ აცხადებს) ტანკებით მას არავინ შეუშვებს, უტანკებოდ დედაქალაქში ჩამოსვლა კი ელიავას არ სურს. იგი საკუთარ ძალებში დარწმუნებულია. საკუთარ ძალებში რწმენას ალბათ მის მხარეზე გადასული აფხაზეთის უშიშროების სამსახურის სპეცრაზმ „სატურნის“ 11 წევრიც უნერგავს. მათ პარტიზანული ბრძოლებისა და დივერსიული მოქმედებების გამოცდილება აქვთ. სწორედ ამიტომ სურს ელიავას იმ 10 კაცის შერჩევით გათავისუფლება 17 აპრილამდე ხელისუფლებასთან შეთანხმების საფუძველზე რომ უნდა მოხდეს ამ ათ კაცში „სატურნის“ დაპატიმრებული წევრებიც უნდა იყვნენ. მაგრამ რა გარანტია არსებობს, ელიავა დღეს რომ „სატურნს“ ითხოვს, ხვალ მარსზე საგზურს არ მოინდომებს? ეს ხუმრობით, სერიოზულად კი...

აქვე ერთი დეტალიც: ელიავა აცხადებს, რომ, მართალია, მას ხელისუფლება არ „ევასება“ (სტილი დაცულია), მაგრამ თუ შემოთავაზება იქნება, იგი კვლავ მზად არის ოფიციალურ ფორმირებებში საქართველოსთვის იბრძოლოს.

ბექა ქიდია,
„სრ“ სპეც. კორ.
სენაკი — თბილისი.

საუკუნის მაგისტრალი. გახსნამდე დარჩა 3 დღე

პროფესიონალის გზა

დოქტორმა ტერი ადამსმა, წმინდა მიხეილისა და წმინდა გიორგის ორდენების კავალერმა, 1959 წელს პალეონტოლოგად დაიწყო მუშაობა „შელ რისერჩის" კომპანიაში, შემდეგ სამუშაოდ ირანში გაგზავნეს. მოგვიანებით იგი გადავიდა „ბრიტიშ პეტროლეუმში" და შემდგომი 30 წლის განმავლობაში მეტწილად მუშაობდა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, ახლო აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ ამერიკაში. სპარსეთის ყურეში ომის დროს იგი ხელმძღვანელობდა ნავთობის კონსორციუმს, რომელიც ამუშავებდა საბადოებს ხმელეთზე აბუ-დაბიში, რის შემდეგაც დანიშნეს ბაქოში ახლადშექმნილი ნავთობის კონსორციუმის პირველ პრეზიდენტად: 1998 წელს დოქტორი ადამსი წავიდა „ბრიტიშ პეტროლეუმიდან" და გახდა კომპანია „მონუმენტ ექსპლორეიშნ ენდ პროდაქშნ ლიმიტედის" აღმასრულებელი დირექტორი, რომლის ინტერესების სფეროში შედიან რუსეთი, კასპიის რეგიონი და ახლო აღმოსავლეთი.

ტერი ადამსი:
კასპიის ნავთობი

აზერბაიჯანის პირველი საერთაშორისო კონსორციუმის პირველი პრეზიდენტის თვალით

ალბათ საკმაოდ იშვიათი შემთხვევაა, როცა მენავთობეს შეუძლია თავისი მოსაზრებები გაუზიაროს ისეთ ფართო აუდიტორიას, სადაც შესაძლოა არიან დიპლომატები, აკადემიკოსები, პოლიტოლოგები, ეკონომისტები და მენავთობეები, რომელთა ცოდნა რეგიონის შესახებ გაცილებით ფართოა. მაგრამ იქნებ სიტუაციის ჩემეულმა ხედვამ რამდენადმე სხვა რაკურსით წარმოგიდგინოთ კავკასიის გეოპოლიტიკა და ახალი „დიდი თამაში".

დღეს მინდა გაგიზიაროთ ბაქოში ჩემი მუშაობის გამოცდილება, რომელიც ოთხი წლის განმავლობაში დამიგროვდა ნავთობის ახალი საერთაშორისო კონსორციუმის — აზერბაიჯანის საერთაშორისო საოპერაციო კომპანიის შექმნის შედეგად. მან სათავე დაუდო ნავთობის პროექტს, რომელსაც უმთავრესად კავკასიის კარი უნდა გაეღო დასავლეთის ინვესტიციებისათვის, და მნიშვნელოვანწილად შეეცვალა რეგიონში გეოპოლიტიკური ძალების განაწილება.

როცა პირველად ჩამოვედი ბაქოში 1993 წელს, დასავლეთში თითოოროლა ადამიანს თუ ნახავდით, ვისაც რაიმე სმენოდა აზერბაიჯანის შესახებ ან აინტერესებდა მაინც, რა ხდებოდა ამ ქვეყანაში. ეს პატარა სახელმწიფოა კავკასიაში, რომელმაც საბჭოთა კავშირიდან გამოყოფის შემდეგ საკმაოდ სუსტი დამოუკიდებლობა მიიღო. დღეს აზერბაიჯანი საერთაშორისო გამოცემების სათაურებში ფიგურირებს.

„ამოკის" — საერთაშორისო ნავთობის საოპერაციო კონსორციუმის შექმნამ დაუდო სათავე 1994 წელს ინვესტორების — უცხოეთის ნავთობის კომპანიებისა და აზერბაიჯანის მთავრობის ძლიერი სტრატეგიული ალიანსის შექმნას. ეს საერთაშორისო კომპანია ის ინსტრუმენტი გახდა, რომლის მეოხებითაც პრეზიდენტმა ალიევმა არათუ უზრუნველყო საშინაო პირობები, რომ დამყარებულიყო საშინაო პოლიტიკური სტაბილურობა ეკონომიკური გარდაქმნების გზით, არამედ ხელი შეუწყო ახალი საერთაშორისო ალიანსების შექმნას, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდათ დამოუკიდებლობის ხანგრძლივი პერსპექტივის თვალსაზრისით. როგორც ხედავთ, ნავთობის სფეროში თავისი შორსგამჭვრეტი სტრატეგიით, აზერბაიჯანის მეთაურმა გეოპოლიტიკური ძალების ახალი წონასწორობა შექმნა მთლიანად კავკასიაში.

მაშასადამე, რამ გააწევინა უცხოელ ინვესტორებს 1994 წელს იმ დროისათვის ასეთი მნიშვნელოვანი და უეჭველი რისკი? პასუხი მარტივია — ზღვის ნავთობის დაზვერილმა, მაგრამ დაუმუშავებელმა საბადოებმა, რომელთა მარაგი, შეფასებით, დაახლოებით 4 მილიარდი ბარელია და მისი მოპოვებისათვის თანამედროვე ტექნოლოგიებია საჭირო. ეს გიგანტური ნავთობის საბადოები ლონდონის რუკას რომ დავადოთ, დავინახავთ, რომ მ-25 სექტორის ერთი ბოლოდან მეორემდე გადაიჭიმება. კარგი გეოლოგიური მაჩვენებლები და მცირე ტექნოლოგიური რისკი ინვესტიციების მოზიდვის კიდევ ერთი ფაქტორი გახდა. 1994 წელს წინა პლანზე წამოწეული იყო პოლიტიკური რისკი, როგორც მთავრობისათვის, ისე უცხოელი ინვესტორებისთვისაც.

რამ შეუწყო ხელი აზერბაიჯანის ხელმძღვანელობის წინ წაწევას? უბრალოდ რომ ვთქვათ, საერთაშორისო გაერთიანების მხარდაჭერამ. ბაქო მიხვდა, რომ „დროშა ვაჭრობას უნდა მიჰყვებოდეს". „ამოკი" საერთაშორისო პოლიტიკის ღერძი გახდა, აქ მთავრობები ხელს უწყობდნენ თავიანთი მსხვილი ინვესტორების პოლიტიკურ საჭიროებებს; უცხოური ინვესტიციები ბაქოში ეროვნული ინტერესების სინონიმი გახდა. „ამოკის" საქმიანობაში მონაწილეობდა, არა მარტო დირექტორთა საბჭო, არამედ შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტიც.

1994 წლის სექტემბერში „ამოკი" შექმნა შვიდი სახელმწიფოს ათმა კომპანიამ. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ამ პროექტმა ვაშინგტონი და ლონდონი მოლაპარაკების მაგიდასთან მიიყვანა, მაგრამ ამავე დროს გათვალისწინებული იყო მოსკოვისა და ანკარის რეგიონული ინტერესები. 1996 წელს იაპონიის კონსორციუმთან შეერთებამ პოლიტიკური მოწონების ნიშნით ალბეჭდა ადრე მიღწეული და ახალი ალიანსის პოლიტიკური სტაბილურობა გამოხატა. 1994 წელს, რუსეთში ნავთობის კონტრაქტების დადებასთან დაკავშირებული ანალოგიური ინიციატივებისგან განსხვავებით, პრეზიდენტმა ალიევმა აღიარა, რომ ნავთობის მყარი სტრატეგიისათვის საჭიროა პროდუქციის გაყოფის შესახებ შეთანხმებების დადება, რომლებიც ითვალისწინებენ და იცავენ ინვესტორთა ინტერესებს. მიიღეს გადაწყვეტილება, რომ ნავთობის ყოველი კონტრაქტი უნდა შეიცავდეს ოთხ ძირითად ელემენტს:

1. სამართლიანი, მაგრამ მკაცრი კომერციული პირობები, რომლებიც უზრუნველყოფენ ინვესტორებისა და სახელმწიფოს ინტერესების ბალანსს. კონტრაქტები არ უნდა შეიცავდნენ დებულებებს, რომლებიც გამოიწვევენ ადრეულ სტადიაში პირობების გადასინჯვის სურვილს;
2. ნავთობის ყველა კონტრაქტი მაქსიმალურად დეტალური უნდა იყოს, რათა არც ერთ მხარეს არ გაუჩნდეს ეჭვი მათი საკონტრაქტო ვალდებულებების მიმართ.
3. ყოველ კონტრაქტს ამტკიცებს პარლამენტი, და ამრიგად იგი აზერბაიჯანის კანონის ძალას იძენს.
4. ყოველი კონტრაქტი შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ ვალდებულებებს, რაც საერთოდ რესპუბლიკის ეკონომიკური აღორძინების საფუძველი უნდა გახდეს.

ამრიგად, აზერბაიჯანის სტრატეგია ნავთობის მრეწველობის სფეროში თავიდანვე კარგად იყო გააზრებული, როგორც გეოპოლიტიკური გავლენის საფუძველი.

სანამ ნავთობის სტრატეგია მთელი ძალით ამოქმედდებოდა, „ამოკს" წარმატებით უნდა შეესრულებინა ამოცანა, რომელიც ცნობილი გახდა სახელწოდებით „ნავთობის ადრეული მოპოვების პროექტი", რათა ეჩვენებინა უცხოელ ინვესტორთა „სიცოცხლისუნარიანობა" აზერბაიჯანში. რაც შეეხება კონცეფციას, პროექტი შედარებით მარტივი იყო. „ამოკს" უნდა განეახლებინა მოძველებული ნავთობმომპოვებელი პლატფორმა კასპიის ზღვაში, უზრუნველეყო დაახლოებით 120 000 ბარელი ნავთობის მოპოვება დღეღამეში და შეერთებინა იგი ნავთობის ახალ ტერმინალთან ხმელეთზე, რომლის მიერთებაც იყო დაგეგმილი შემდგომში შავი ზღვისაკენ გაყვანილი მილსადენების არსებულ, მართალია მოძველებულ სისტემასთან და მის ინფრასტრუქტურასთან, მაგრამ მათი რეკონსტრუქცია შეიძლებოდა. 1994 წელს დადგინდა, რომ „ამოკის" ნავთობის კონტრაქტის დადების დღიდან, სამი წლის ვადაში შექმნილიყო მუშაობისუნარიანი საექსპორტო სისტემა, რომელიც უზრუნველყოფდა ზღვაში მოპოვებული აზერბაიჯანის ნავთობის დასავლეთში გატანას.

პროექტი სამ ფაზად დაიყო. პირველი ექვსი თვის განმავლობაში გათვალისწინებული იყო ტექნიკური შეფასება და უნდა განსაზღვრულიყო, არის თუ არა პროექტი ეკონომიკურად რენტაბელური. იმავდროულად უნდა შეფასებულიყო მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის, ტრანსპორტირების რეგიონული სისტემები უმნიშვნელოვანესი მარშრუტების დასადგენად, რაც მნიშვნელოვან რისკს წარმოადგენდა წინასაპროექტო სტადიაში. აზერბაიჯანს რუსეთის რკინიგზებით ტვირთის გადაზიდვის შესაძლებლობა ფაქტობრივად არ ჰქონდა, ამრიგად, ტვირთის გადასაზიდად საქართველოზე გამავალი გზის გამოყენება, ანუ ისტორიული აბრეშუმის გზის აღდგენა გახდა საჭირო.

ამავე დროს უნდა ჩამოყალიბებულიყო მრავალეროვნული საერთაშორისო კონსორციუმი მრავალი დისციპლინის სპეციალისტებით, რომელიც იმუშავებდა შეუმოწმებელი საბჭოთა ეკონომიკური სისტემის პირობებში, და შეიძლება ვერც მოეხერხებინა უზრუნველეყო კოოპერაცია უცხოეთის ნავთობის კომპანიებთან პროექტის ეფექტიანი რეალიზაციისათვის. ეს იყო სრულიად ახალი და უაღრესად ნოვატორული ამოცანა. „ამოკმა" ბაქოში მუშაობა დაიწყო ოცი კაცით 1995 წლის იანვარში. 1998 წლის ნოემბერში, „ადრეული ნავთობის" ეტაპის დასრულებისათვის, პროექტის შესრულებაში მონაწილეობდა კონსორციუმისა და მოიჯარეთა 3 000 მოსამსახურე. ბაქო ნავთობის ბუმის ქალაქი გახდა.

ექვსთვიანი ტექნიკურ-ეკონომიკური გამოკვლევის შემდეგ, დაიწყო პროექტის მეორე ფაზა. ამ ფაზის ძირითადი მომენტი გახდა რუსეთთან და საქართველოსთან სამთავრობათაშორისო ხელშეკრულებების დადება, რომელთა მიზანი იყო ბაქოდან შავ ზღვამდე ნავთობის ტრანსპორტირება ამ ქვეყნების მილსადენთა სისტემებით. საკმარისი არ იქნება იმის თქმა, რომ ეს დიდ პოლიტიკურ და დიპლომატიურ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული, რადგან რეგიონული ინტერესები უპირისპირდებოდა თანამშრომლობის საჭიროებას. 1995 წლის ივლისიდან მოყოლებული 1996 წლის მარტის ჩათვლით მიმდინარეობდა უმაღლესი დონის მოლაპარაკება მოსკოვს, ვაშინგტონს, ანკარასა და თბილისს შორის. ეს ინიციატივები წარმატებით დაგვირგვინდა. 1996 წლის თებერვალსა და მარტში დაიდო კონტრაქტები რუსეთსა და საქართველოსთან ნავთობის ტრანსპორტირების შესახებ და სანქცირებული გახდა „ადრეული ნავთობის პროექტის" დაწყება. აზერბაიჯანის მთავრობამ აქტიური საქმიანობა გააჩაღა ნავთობის ახალი კონტრაქტების დასადებად.

მესამე ეტაპი გულისხმობს პროექტის უშუალო რეალიზაციას. „ადრეული ნავთობის პროექტი" მალე მრეწველობაში ცნობილი გახდა, როგორც „მილიარდ დოლარად ღირებული ექსპერიმენტი". დასახული იყო უზარმაზარი ამოცანები, რომლებიც უნდა გადაწყვეტილიყო პროექტის ფარგლებში. კიდევ უფრო რთული იყო პოლიტიკური პრობლემები. პრაქტიკულად „ამოკს" უნდა განეხორციელებინა მრავალმილიონიანი საზღვაო პროექტი ევროპული სტანდარტების მიხედვით უფრო მოკლე დროში, ვიდრე ეს შესაძლებელია კარგად შესწავლილ ისეთ რეგიონებშიც კი, როგორიც არის ჩრდილოეთის ზღვა ან მექსიკის ყურე.

დასასრულ, არ შემიძლია არ შევჩერდე კასპიის მილსადენის გარშემო წამოწყებულ „თამაშზე", რომელმაც შეცვალა წარსულის „დიდი თამაში". განიხილებოდა უამრავი ვარიანტი, მაგრამ ყველა შემთხვევაში შეიმჩნეოდა ინტერესთა დაპირისპირება მილსადენის მარშრუტის არჩევისას მოსკოვს, ანკარასა და თეირანს შორის.

შეერთებული შტატების მთავრობა სერიოზულად უჭერს მხარს მილსადენის იმ პროექტს, რომლის მიხედვით ახალი ხაზი გასაყვანი თურქეთის ჯეიჰანის ნავსადგურამდე, ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე რომ მდებარეობს. ეს, რა თქმა უნდა, არის ირანისადმი მისი სტრატეგიული დამოკიდებულებიდან გამომდინარე პოლიტიკური გადაწყვეტილება და იმავდროულად იმ ვალდებულებათა დაცვის საშუალება, რომლებიც უკვე იკისრეს შეერთებული შტატების კომპანიებმა. მაგრამ ჯერ არ გადაწყვეტილა ამ პროექტის არსებითი დახმარების ან მისი ძირითადი დაფინანსების საკითხი, რაზეც არის დამოკიდებული ჯეიჰანამდე მილსადენის გაყვანის ვადა. რუსეთი, თავის მხრივ, აქტიურ პროპაგანდას უწევს ნოვოროსიისკენ ჩრდილოეთის მარშრუტს, როგორც ძირითად საექსპორტო მილსადენს და ეკონომიკურ სტიმულებს იყენებს თავისი ვარიანტის გასამაგრებლად.

თბილისი
სუფსა
ბაქო

GIOC
საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია

17 აპრილს იხსნება
ბაქო-სუფსის ნავთობსადენი
და სუფსის ტერმინალი

მაშინ როცა ჩინეთი, თავის მხრივ, უკვე თანამშრომლობს თავის ტერიტორიაზე მილსადენის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ირანს სურს კასპიიდან სამხრეთში ნავთობის ექსპორტირება თავისი ნავთობგადამმუშავებელი საწარმოებისათვის მიწოდების მიზნით. კომპანია „მონუმენტი", რომელშიც მე ვმუშაობ, უკვე ახორციელებს თურქმენეთში მოპოვებული ნავთობის ოპერაციებს და გზავნის მას თეირანის ნავთობგადამმუშავებელ საწარმოებში, მაშინ როცა სპარსეთის ყურიდან ირანის ნავთობის ეკვივალენტური მოცულობა აღმოსავლეთში იყიდება.

საბოლოო ანგარიშით ნებისმიერი საექსპორტო მილსადენის ღირებულების ანაზღაურება მოუწევთ უცხოელ ინვესტორებს და ისინიც, ბუნებრივია, ეცდებიან აირჩიონ მინიმალური სატრანსპორტო დანახარჯების ვარიანტი, მაგრამ სულ ცოტა 10 წელი მაინც უნდა გავიდეს, სანამ კასპიის ზღვაში მიღწეული იქნება პიკი — 3-დან 4-მდე მილიონი ბარელი ნავთობი დღეში. თანამიმდევრულად იწარმოებს კასპიის ნავთობის საბადოების ექსპლოატაცია, რაც დამოკიდებული იქნება სათანადო ინფრასტრუქტურაზე. წარმატებულ დაზვერვასა და პოლიტიკურ სტაბილურობაზე. ჩემი აზრით, 2010 წლისათვის რამდენიმე მილსადენი იქნება კასპიის ნავთობისათვის. ჩრდილოეთში ტრანსპორტირებული ნავთობი რუსეთს გაივლის, დასავლეთში გასაგზავნი — საქართველოს, სამხრეთით — ირანში ექნება გზა. თუ ეს გააძლიერებს წონასწორობას რეგიონში, პრეზიდენტ ალიევის 1994 წელს ჩასახული გეოპოლიტიკური ხედვა მთლიანად დადასტურდება.

ვიმედოვნებ, შევძელი მეჩვენებინა, რომ უდავოდ ურთიერთდაკავშირებულია ნავთობი და გეოპოლიტიკა, რომლის მოწმენიც ვართ კასპიის რეგიონში. კავკასიაში ორი საერთაშორისო დონის ლიდერის — ბაქოში პრეზიდენტ ალიევისა და თბილისში პრეზიდენტ შევარდნაძის ერთდროულმა მოღვაწეობამ, მაშინ, როცა მოსკოვში, ანკარასა და თეირანში საშინაო პოლიტიკური პროცესებით არიან დაკავებული, ისტორიული და ფუნდამენტური ცვლილებები შეიტანა რეგიონში. გულწრფელად მწამს, რომ ჩვენ იმპერიების დასასრულისა და წარსულის „დიდი თამაშის" დამთავრების მოწმენი გავხდით, ახლა ეკონომიკური ინტერესები ჰეგემონიასა და რეგიონულ უპირატესობაზე მაღლა უნდა დადგეს. მთავარ პოლიტიკურ მოთამაშეთა თანამშრომლობა შემდგომში განვითარებისათვის ბიძგის მიმცემი იქნება. თუმცა ბევრი სერიოზული პრობლემაა გადასაჭრელი. კვლავ შეშფოთებას იწვევს გადაუჭრელი ყარაბაღის კონფლიქტი და სოციალურ-ეკონომიკური არასტაბილურობა ჩრდილოეთ კავკასიის მუსლიმანურ ანკლავში. მაგრამ, შესაძლოა, ეს დროებითი მოვლენა გახდეს რეგიონული ისტორიული ცვლილებების უფრო ფართო პროცესში. გვქონდეს ამის იმედი კავკასიისა და კასპიის რეგიონის ხალხების ინტერესების საკეთილდღეოდ.

სურათზე: ნავთობის სარეწები კასპიის ზღვაში.

მეზობლებთან

(მესამე გვერდიდან)

დაკრისტალებული შთაბეჭდილებები წარმოსახვის პრიზმაში

1. აგრემანი საქართველოს პარლამენტის დელეგაციისთვის

ვართან ოსკანიანმაც და ირაკლი მენაღარიშვილმაც ასევე სრულად გაიზიარეს მოსაზრება, რომ სამხრეთ კავკასიაში, რომელიც ფაქტობრივად ერთიან ორგანიზმს წარმოადგენს, საჭიროა, რაც შეიძლება მეტი დინამიზმი მიეცეს რეგიონის ქვეყნების ეკონომიკურ თანამშრომლობას, დაჩქარდეს ერთობლივი კოოპერირების პროცესი ფართომასშტაბიანი და რეგიონალური პროექტების განხორციელებაში, რაც საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივის — „მშვიდობიანი კავკასიისათვის" ხორცშესხმის უმთავრესი პირობაა.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის აზრით, რასაც სავსებით დაეთანხმა სომხეთის მხარე, პრიორიტეტული ამ მხრივ უნდა გახდეს თანამშრომლობა სატრანსპორტო კომუნიკაციებისა და ენერგეტიკის სფეროში ერთობლივი პროექტების შემუშავებისა და ხორცშესხმისათვის.

ერევანში გამართული მოლაპარაკების დროს ბუნებრივად დადგა დღის წესრიგში კავკასიის ქვეყნების კეთილმეზობლურ ურთიერთობაში არსებული ზოგიერთი პრობლემა და ნათლად დაფიქსირდა, რომ ამ მხრივ საქართველოს შეუძლია მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს მათს გადაწყვეტაში.

ამიტომაც არ დაგვჭირდა აგრემანი და ტრადიციული კეთილმეზობლური ურთიერთობის ნათელი დადასტურება იყო თვით პროტოკოლით განსაზღვრული ცერემონიალიც და პირველი დალოცვაც კი კომისიის სამდღიანი მუშაობის დაწყებისას.

* * *

სასტუმრო „რაზდანში" საპარლამენტთაშორისო კომისიის გახსნიდანვე საგრძნობი გახდა, რომ თანათავმჯდომარეები იური ბახშიანი და ვახტანგ ყოლბაია შესაშური სამუშაო განწყობით მიუსხდნენ მაგიდას; განსახილველი საკითხები ნათელყოფდა, რომ კომისიის სხდომაზეც და სამუშაო ჯგუფებშიც სერიოზული კამათი გაიმართებოდა ორი ქვეყნის ურთიერთობის კიდევ უფრო მეტად განმტკიცების, ბოლომდე გაურკვეველი საკითხების უფრო მეტად დაზუსტების, აზრთა შეჯერებისა და ორივე ქვეყნისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების მიღების მიზნით. ასევე, იგრძნობოდა, რომ სხდომა ტექნიკურად უზადოდ იყო მომზადებული, რაც საპარლამენტთაშორისო კომისიის მდივნების რობერტ ზახარიანისა და დავით ლაცუზბაიას დამსახურებაა.

კომისიის სხდომაზე განიხილეს ისეთი პრობლემები როგორიც არის ორი ქვეყნის საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობის ჰარმონიზაცია, სადახლოსა და ბაგრატაშენის ტერიტორიაზე სასაზღვრო ვაჭრობის მოწესრიგება, საზღვრის დემარკაცია-დელიმიტაცია, აგრეთვე, კავშირები ენერგეტიკის სფეროში, ტურიზმის განვითარების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდული ორგანიზაციების დაახლოების საკითხები. სხდომაზე კიდევ ერთხელ დაისვა სატრანზიტო ტვირთზიდვაზე ტარიფების შემცირების საკითხი. საგადასახადო კანონმდებლობასთან დაკავშირებით საუბარი შეეხო სააქციზო და საბაჟო გადასახადებს.

ვახტანგ ყოლბაიამ აღნიშნა, რომ საქართველო დაინტერესებულია საზღვრების დემარკაციის საკითხის უსწრაფესი გადაწყვეტით.

საპარლამენტთაშორისო კომისიის მეოთხე — თბილისის სხდომის დღის წესრიგის შეთანხმებისას.

— ჩვენ ვხელმძღვანელობთ იმ მოსაზრებით, რომ არ შეიძლება არსებობდეს კანონი საზღვრის კონკრეტულ მონაკვეთზე. მან საზღვრის მთელი მონაკვეთი უნდა მოიცვას. ვიდრე საზღვარი დაზუსტებული არ არის, კანონი ვერ მიიღება, — ხაზი გაუსვა მან და შესაბამის სამინისტროებს დემარკაციის პროცესების დაჩქარება სთხოვა.

საპარლამენტთაშორისო კომისიამ ორი ქვეყნის საზღვრის სადელიმიტაციო სამუშაოების დაჩქარების გადაწყვეტილება მიიღო. როგორც ვახტანგ ყოლბაიამ აღნიშნა, სადელიმიტაციო საკითხების მოგვარება სადახლოსა და ბაგრატაშენში სასაზღვრო-სავაჭრო ვითარებას მოაწესრიგებს.

საქართველოს პარლამენტის კავკასიის ხალხებთან ურთიერთობის ჯგუფის ხელმძღვანელმა მამუკა არეშიძემ თქვა, რომ სომხეთის ხელმძღვანელობა დაინტერესებულია სადემილიტაციო საკითხების მოგვარებით. თუმცა, სადემილიტაციო სამუშაოებს ისიც აფერხებს, რომ ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის პერიოდში, ორი რესპუბლიკის ადმინისტრაციული საზღვარი მკაფიოდ არ იყო დადგენილი.

როგორც მუდმივმოქმედი საპარლამენტთაშორისო დელეგაციის კოორდინატორმა ზაზა კანდელაკმა თქვა, ორ სახელმწიფოს შორის თანამშრომლობის ეკონომიკური საფუძვლის შექმნა ჯერ ვერ ხერხდება, რადგან გაჭირდა განსაზღვრულ ვადებში ზუსტი საზღვრის დადგენა, რაც, თავისთავად, შეუძლებელს ხდის კონტრაბანდის თავიდან აცილებას და აღკვეთას.

სომხეთის რესპუბლიკის ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო მეთოდოლოგიის სამმართველოს უფროსის სურენ კარაიანის პრეტენზიას — ოფიციალური შეხვედრების დროს სომხეთ-საქართველოს სამთავრობათაშორისო კომისიაზე ქართულმა მხარემ წარმოადგინა ახალი პროექტი, რომელიც ეწინააღმდეგება ჩვენს მიერ ადრე ხელმოწერილ ოქმსო, — პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ თემურ კოპალეიშვილმა იქვე შეაგება, იქნებ ეს საკითხი სამუშაო ჯგუფში განეხილოთო. სამუშაო ჯგუფებში განსახილველი კი მართლაც ბევრი საკითხი იყო, მათ შორის, სომხეთის ეროვნული კრების საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკური საკითხების მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარის მოადგილის ავეტ გრიგორიანის მიერ შემოთავაზებული — სომხეთში ბევრი ქართულნომრიანი ავტომანქანა დადის. ეს იმის მანიშნებელია, რომ ჩვენი მოქალაქეების ავტომანქანების განბაჟება საქართველოში ხდება, რაც სომხეთის ბიუჯეტს აზარალებსო.

სხვათა შორის, უნდა აღინიშნოს, რომ ფრიად მომზადებულ მასპინძლებს, სტუმრებიც ჩინებულად მომზადებული ეწვივნენ და კომისიის საქმიანი ტონი კიდევ უფრო გაამძაფრა კონკრეტულმა წინადადებებმა ორივე მხრიდან.

თემურ კოპალეიშვილის აზრით, სომხეთთან შედარებით უფრო მაღალი გადასახადი სიგარეტზე, იწვევს ტვირთის ტრანზიტად გაფორმებას, რომელიც სინამდვილეში საქართველოში რჩება. თუმცა, თემურ კოპალეიშვილს აუცილებლად არ მიაჩნია სომხეთმაც გაზარდოს ეს გადასახადი.

ისევე, როგორც ავტომანქანების განბაჟებასთან დაკავშირებით, ალბათ უმჯობესი იქნება გარკვეული საგადასახადო ბალანსის მიღწევა. ამიტომაც მოითხოვა ქართულმა მხარემ ისეთი საკანონმდებლო ბაზის შექმნას, რომელიც არ აზარალებს არც ერთი ქვეყნის ბიუჯეტს და ხელს შეუწყობს ეკონომიკური ურთიერთობის გაღრმავებასა და განვითარებას.

სხდომაზე სომხეთის მხარემ კიდევ ერთხელ გამოთქვა პრეტენზია საქართველოს საგზაო პოლიციის მიმართ. კერძოდ, საქართველო-სომხეთის საზღვარზე სომხეთისნომრებიან თითქმის ყველა ავტომანქანას აჩერებენ, რისი მიზეზიც, ძირითადად, ფულის გამოძალვაა. მიუხედავად იმისა, რომ ორი ქვეყნის საგზაო პოლიციის სამმართველოს უფროსები საზღვარზე შეხვედრის დროს სიტყვიერად შეთანხმდნენ, საქართველოს საგზაო პოლიცია, სომეხი კოლეგებისაგან განსხვავებით, თავის საქმიანობას განაგრძობს. ამდენად, საზღვრის გადაკვეთის საკითხი კვლავ პრობლემურია.

რაც შეეხება ენერგეტიკას, მიუხედავად ვალისა, რომელიც საქართველოს მართებს, სხდომაზე ორივე მხარე შეთანხმდა, რომ სომხეთი მეზობელ ქვეყანას ელექტროენერგიას 200 მეგავატის ფარგლებში მიაწოდებს, რომელსაც საქართველო თვითონ გაანაწილებს ამა თუ იმ რეგიონში. საქართველოდან კი სომხეთს უახლოეს მომავალში ბუნებრივი აირი მიეწოდება. თუმცა, ეს საკითხი, უპირველესად, თურქმენეთის უნდა შეუთანხმონ. ამასთან დაკავშირებით შეიქმნება სპეციალური სამუშაო ჯგუფი.

სომხეთისა და საქართველოს საგარეო-სავაჭრო ბრუნვა შარშან, წინა წელთან შედარებით, 15 მილიონი დოლარით შემცირდა. საქართველოს ვაჭრობისა და საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობის მინისტრის მოადგილემ ვილენ ალავიძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს შემცირება ფორმალურია. საქმე ის არის, რომ შარშან სომხეთი რუსეთის აირის ტრანზიტისათვის საფასურს იხდიდა არა ფულით, არამედ გაზით. ამრიგად, დაახლოებით 11 მილიონი დოლარის ღირებულების გაზის ნაწილი საქართველოში რჩებოდა, რამაც ფორმალურად გავლენა მოახდინა საგარეო სავაჭრო ბრუნვაზე.

— ჩვენ გვჭირდება უფრო მეტი აქტიურობა, შინაგანი რესურსების მეტად მობილიზება და მეტი პასუხისმგებლობაც ყველა საკითხთან დაკავშირებით. არის პრობლემები, რომლებიც ჩვენთვის სასარგებლოდ არ იმართება და ეს პროცესები ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთაც მიმდინარეობს, — ქართული დელეგაციის ხელმძღვანელი ამ სიტყვებით ერთგვარად ეხმიანება საქართველოს პრეზიდენტის ზემოთქმულს.

სხდომაზე შეიქმნა პოლიტიკური კონსულტაციებისა და ეკონომიკურ საკითხთა ორი ძირითადი სამუშაო ჯგუფი. შემდგომი მუშაობაც ამ ჯგუფებში გაგრძელდა.

კომისია დადებითად აფასებს სტრასბურგში სამმხრივი შეხვედრის შედეგებს და მიიჩნევს, რომ უნდა შეიქმნას მექანიზმი ხელმოწერილი ერთობლივი დეკლარაციის დებულებების რეალიზაციისათვის.

— სტრასბურგის შეხვედრა სამივე ქვეყნის წარმატებაა და შესაძლებელია, ერთი წლის შემდეგ საპარლამენტთაშორისო კომისიას ჰყავდეს არა ორი, არამედ სამი თავმჯდომარე, — განაცხადა სომხეთის რესპუბლიკის ეროვნული კრების თავმჯდომარემ ხოსროვ არუთიუნიანმა საქართველოს დელეგაციასთან შეხვედრისას.

საპარლამენტთაშორისო კომისიის მუშაობის დასასრულ საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერმა ვახტანგ ყოლბაიამ აღნიშნა, რომ კომისიამ შესაძლებლობის ფარგლებში შეძლო ბაგრატაშენ-სადახლოში არსებული მდგომარეობის განხილვა. შეიქმნა სპეციალური ეკონომიკური ჯგუფი. — ვფიქრობ, შევძელით ორივე მხარისთვის ხელსაყრელი ფორმულირების მიღება და სამთავრობათაშორისო კომისიის სხდომაზე, ბრძანებულების ან სხვა ნორმატიული აქტის დონეზე გადაწყდება ეს საკითხი. მე არ ველაპარაკობ მთლიანად სასაზღვრო ზოლზე და ვაჭრობაზე, რადგან ის საჭიროებს სპეციალურ კანონს. ჩვენი პრინციპია ნაბიჯ-ნაბიჯ დავამუშავოთ საკითხები და მთელი ძალები მოვახმაროთ პრობლემების გადაჭრას, — თქვა მან.

კომისიის სხდომაზე სწორედ ამისათვის დამტკიცდა ორივე მხარისთვის მისაღები ფორმა — მოუსმინონ აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებს (სხვათა შორის, სომხეთში გამართულ შეხვედრებში საქართველოს წარმომადგენლობითი დელეგაცია მონაწილეობდა. პარლამენტართა გარდა, იყვნენ აღმასრულებელი ხელისუფლებიდანაც. სამწუხაროდ, — არა პირველი პირები), რაც გარკვეულად აამაღლებს ორივე მხარის პასუხისმგებლობის დონეს.

იური ბახშიანმა ხაზი გაუსვა პარლამენტის მაკონტროლებელ ფუნქციას. — ეს სამუშაო შეხვედრები გაგრძელდება, რადგან ყოველი ასეთი შეხვედრა იძლევა დამატებით ინფორმაციას, თუ როგორი ხედვაა ჩვენი მეზობელი ქვეყნის პარლამენტში რეგიონალური თანამშრომლობის, უშიშროების, პარლამენტის მაკონტროლებელი ფუნქციის თვალსაზრისით. ჩვენი კომისიის მუშაობის ერთ-ერთი მიმართულება ისიც არის, რომ პარლამენტი ახორციელებს მაკონტროლებელ ფუნქციას აღმასრულებელი სტრუქტურების ინფორმაციის მოსმენების სახით, — დასძინა სომხეთის ეროვნული კრების თავმჯდომარის მოადგილემ.

საპარლამენტთაშორისო კომისიის რიგით მესამე სხდომის ბოლოს ხელი მოაწერეს შეთანხმებას რეგიონალური ეკონომიკური პროექტების შემუშავებისა და განხორციელების შესახებ, რომელშიც ამიერკავკასიის სამივე ქვეყანა მიიღებს მონაწილეობას. როგორც აღინიშნა, პროექტები უნდა დააფინანსონ საერთაშორისო სტრუქტურებმა. ხელი მოაწერეს, აგრეთვე, დოკუმენტს სასაზღვრო ვაჭრობის შესახებ. შემდეგი სხდომა თბილისში სექტემბრისათვის დაიგეგმა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ პერიოდისთვის სომხეთის საპარლამენტთაშორისო კომისია ახალი შემადგენლობით იქნება, რასაც 30 მაისის არჩევნები გადაწყვეტს.

— კავკასიის სახელმწიფოებს თავთავიანთი პლუსები აქვთ: საქართველოს — შავ ზღვაზე გასასვლელი, აზერბაიჯანს — ნავთობი, სომხეთს — ძლიერი დიასპორა. თუ ჩვენი სახელმწიფოები ერთად იქნებიან, ყველა მოგებული დარჩება, — პარლამენტარ გივი შულაროვის ეს სიტყვები არ მშორდებოდა ერევნიდან მომავალს. ამ სიტყვებს ბატონი გივი თბილისშიც იტყვის, მანამდე კი რამდენიმე საათს ერთად გავატარებთ გზაში და ბევრ საინტერესოს მოგვითხრობს თანამგზავრებს. ელჩი — ნიკო ნიკოლოზიშვილი პროტოკოლის მიხედვით დაწინაურებულია ავტოკოლონაში. ზურაბ ჩიკვილაძე — საქართველოს ერევნელი დესპანი გვაცილებს საზღვრამდე. ბუნებრიობითა და ამავდროულად ხასიათის უდიდესი სისადავით გამორჩეული ეს ახალგაზრდა კაცი წუხს საქართველო-სომხეთის საზღვარზე შექმნილ ვითარებაზე. იმაზე, რომ, რასაც ელჩთან ერთად ის და მისი კოლეგა თემურ გორგილაძე პირადი ურთიერთობებით დიდი ძალისხმევით აგვარებენ, მავანი მებაჟისა თუ ავტოინსპექტორის უვიცობით (ასე ვიტყვი, რადგან მათთვის არ არსებობს თვით დიპლომატიური ფოსტაც კი — ყველაფრის ნახვასა და შემოწმებას მოითხოვენ) ფუჭდება. ეს უკვე მარტო საპარლამენტთაშორისო კომისიის განსახილველი პრობლემა როდია. უფრო მეტად არის საჭირო ამ საკითხით დაინტერესება. თვით ამ უწყებების პირველი პირების დონეზეც კი. ანდა, იქნებ, თვით ქვეყნის უმაღლესი ხელისუფალის ჩარევაც კი გახდეს საჭირო?!

ემოციურ, მაგრამ საქმეში ღრმად ჩახედული კაცის შთაბეჭდილებას ტოვებს საზღვრისპირა ვაჭრობის ცენტრის გენერალური დირექტორი თამაზ სუპატაშვილი. ჰკითხეთ მას, რა ხდება საზღვარზე. და — დაუჯერეთ.

მე კი ისევ გივი შულაროვს დავუბრუნდები. — რაც მთავარია, ურთიერთნდობას მივაღწიეთ, ჩვენში დახურული თემა არ არსებობს, — მისი სიტყვებია. სარწმუნო კაცია იუმორით სავსე გივი შულაროვი, რადგან მართლაც დიდი ხანია ითქვა ის სიტყვები, ახალგაცნობილთა შორის სიფრთხილის უკანასკნელ ყინულს რომ ალღობს.

მე ვირწმუნე, რომ ეს ასეა. ნახავთ და, — თქვენც დარწმუნდებით.

ბონდო მძინარაშვილი,
„სრ" სპეც. კორ.
ერევანი — თბილისი. 26-28 მარტი.
ავტორის ფოტო.


RAM-ით დაფარული პანელები (დამზადებულია ფისების, კაუჩუკის მასალებისა და ნახშირშემავსებლიანი პოლიურეთანების საფუძველზე, მავი ლითონების გამოყენებით)
ვიწრო ფრქვევანა, რომელსაც ფოროვანი საფარი აქვს
სიმაღლის საჭე
ძრავის ნაკვეთურის ვენტილაცია
გამოსაწევი ანტენა
კვებაწყობის ხვრელი
მონაცემთა შეგროვების ინფრაწითელი სისტემა
კონტროლის სისტემა
კატაპულტირების სისტემა ACES II
ტურბორეაქტიული ძრავის ჰაერსაღების ეკრანი
პიდროამძრავი, მცირე სიმაღლეზე ფრენის კონტროლის ოთხზვისი სისტემა
შეიარაღება
„ჰაერი-ჰაერის“ სისტემის რაკეტა, „AIM-9 SIDEWINDER“
GBU-10 PAVEWAY II ლაზერით მიზანმიმართული რაკეტა
AGM-88 HARM და AGM-65 MAVERICK რადარსაწინააღმდეგო რაკეტები
900 კგ-იანი ბომბები
BLU-119 ლაზერით მართვადი ბომბი
GBU-27 PAVEWAY III ლაზერით მიზანმიმართული რაკეტა
ვოევოდინა
0 კმ 100
ბელგრადი
დაცემის რაიონი
სერბეთი
ჩერნოგორია
კოსოვო
ИТАР ТАСС

F-117A „ნაითჰოუკი“

„სტელს“ ტიპის ავიაგამანადგურებელი F-117A ნატოს პირველი სამხედრო თვითმფრინავია, რომელიც შაბათს ჩამოაგდეს იუგოსლავიის საჰაერო თავდაცვის ძალებმა. ეს არის ერთ-ერთი ყველაზე მომაკვდინებელი სახეობა ნატოს არსენალში შემავალი საბრძოლო ტექნიკისა.

ლაპლაპა შავმა თვითმფრინავმა, რომელიც მტრის რადარებისათვის გაუჩინარების ტექნოლოგიით შეიქმნა, კარგი სახელი მოიხვეჭა 1991 წლის სპარსეთის ყურის ომის დროს, და ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ მისი ჩამოგდება ერთობ უსიამო სიურპრიზია ნატოსათვის.

F-117A „ნაითჰოუკის“ ტექნოლოგია საშუალებას აძლევს გამანადგურებელს, ღამით შეუმჩნევლად იფრინოს, აირეკლოს და შთანთქას რადარის სხივები სპეციალური შთანმთქმელი მასალისაგან (RAM) დამზადებული პანელების მეოხებით.

ჩამოგდებული თვითმფრინავის პილოტის გადარჩენის ოპერაცია

ჩამოგდებული თვითმფრინავების პილოტთა გადასარჩენად ნატოს სრულ საბრძოლო მზადყოფნაში ჰყავს რამდენიმე მაშველი ბრიგადა, რომლებიც დაკომპლექტებულია საგანგებოდ მომზადებული აშშ საზღვაო-ქვეითი ჯარისკაცებითა და „ზღვის წავებით“. სწორედ ერთ-ერთმა ასეთმა რაზმმა გადაარჩინა ჩამოგდებული F-117A-ს პილოტი. ოპერაციაში შეიძლება მონაწილეობდეს 40-მდე თვითმფრინავი


AWACS თვითმფრინავის ეკიპაჟი ჩამოგდებული პილოტის ავარიული „მუქურას“ სიგნალებზე იღებს ორიენტირს და გადასცემს მაშველ რაზმებს კოორდინატებს
გამადგურებლები ჰაერიდან იცავენ ობიექტს და დაბრკოლებებს უქმნიან მოწინააღმდეგის კომუნიკაციებს
შვეულმფრენი სპეცდანიშნულების რაზმს გადასხამს ძიების ზონაში
საბრძოლო შვეულმფრენები უზრუნველყოფენ საცეცხლე დაცვას ძებნის რაიონში
სპეცრაზმი ჩხრეკს რაიონს, პოულობს პილოტს და მასთან ერთად ბრუნდება შვეულმფრენზე
აშშ პილოტის სამაშველო ჟილეტი
ავარიული „მუქურა“
კომპასი
ავარიული „მუქურა“
ბატარეებიანი რადიო
ბუდეში ჩადებული პისტოლეტი
დანა
პირველადი დახმარების კომპლექტი
სხვა აღჭურვილობა
სხივოსანი მუქურა
სასიგნალო კომპლექტი
წყლის მათარა
თევზსაჭერი აღჭურვილობა
სასიგნალო სარკე
სამაშხალე
ბეჭა-წამალი
„სინათლის ჩხირები“
ИТАР ТАСС

შეიძლება, 2000 წელს ბირთვული კატასტროფა არ მოხდეს

ამ რამდენიმე დღის წინათ ასოშიეიტედ პრესის სააგენტომ გამოაქვეყნა კომენტარი, რომელშიც, იმოწმებს რა „ინტერფაქსს“, ამტკიცებს: რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტრომ გამოაცხადა, რომ წყვეტს აშშ ძალისმიერ უწყებებთან თანამშრომლობას „2000 წლის პრობლემის“ გადაჭრის საკითხებზე. ასეთი გადაწყვეტილება ვითომდა რუსეთის სამხედრო უწყებამ მიიღო კოსოვოს დაბომბვის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად. ამ და ამერიკის მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა სხვა ანალოგიურ კომენტარებში გაიჟღერა დაახლოებით ასეთმა აზრმა: „თავდაცვის სამინისტროს კომპიუტერებში „ათასწლეულის შეცდომის“ დამოუკიდებელი აღმოფხვრისათვის რუსეთს, უბრალოდ, არ ეყოფა ფული. ამიტომ ამ დარგში შეერთებულ შტატებთან თანამშრომლობის შეწყვეტა ბირთვულ კატასტროფას გვიქადისო“. სენატორმა რობერტ ბენეტმა, რომელიც სათავეში უდგას ამერიკის „2000 წლის პრობლემის“ კომიტეტს, იმავე დღეს გააკეთა განცხადება, რომელშიც „უაღრესად წინდაუხედავი და საშიში საქციელი“ უწოდა რუსი სამხედროების გადაწყვეტილებას, უარი თქვან პენტაგონთან თანამშრომლობაზე.

მაგრამ რუსეთის ფედერაციის კავშირგაბმულობის სახელმწიფო კომიტეტში საინფორმაციო სააგენტო „ალგორითმს“ განუცხადეს, რომ მრავალი საინფორმაციო არხით გადაცემული ინფორმაცია „2000 წლის პრობლემასთან დაკავშირებით ამერიკის შეერთებულ შტატებთან თანამშრომლობის შეწყვეტის შესახებ თავიდან ბოლომდე სრული სიცრუეა. წინა კვირის მიწურულს გაიმართა სამთავრობო კომისიის მორიგი სხდომა (ეს კომისია, კერძოდ, კოორდინაციას უწევს სხვადასხვა უწყება-სამინისტროების, მათ შორის, ძალისმიერების, საქმიანობას „2000 წლის პრობლემის“ გადასაჭრელად), რომელზეც „ნატოს ქვეყნების სამხედრო უწყებებთან რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლობის შეწყვეტასთან დაკავშირებული არავითარი საკითხი არ აღძრულა და, მით უმეტეს, მასთან დაკავშირებით არავითარი გადაწყვეტილება არ მიღებულა“. ეს ოფიციალურად განაცხადა კავშირგაბმულობის კომიტეტის თავმჯდომარემ ალექსანდრე კრუპნოვმა.

თუ რუსეთი უარს იტყვის „2000 წლის პრობლემასთან“ დაკავშირებით ამერიკის შეერთებულ შტატებთან თანამშრომლობაზე, გლობალური ბირთვული კატასტროფის რისკი აბსოლუტურად რეალურია.

უფრო მეტიც, „2000 წლის პრობლემის“ სამთავრობო კომისიის სხდომაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება რუსეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების ძალისმიერ უწყებათა თანამოქმედების გაფართოების შესახებ. გაფართოება მოიცავს სპეციალური სამუშაო ჯგუფის შექმნას, რომელიც შეიმუშავებს წინადადებებს „2000 წლის პრობლემის“ გადაჭრის საკითხში რუსეთისა და ნატოს ქვეყნების თანამოქმედების თაობაზე.

თავდაცვის სამინისტროში „ალგორითმს“ აცნობეს, რომ „დღესდღეობით არავითარი ოფიციალური განცხადება 2000 წლის პრობლემის გადაჭრის საკითხში რუსეთის სამხედრო უწყებისა და ნატოს თანამშრომლობის შეწყვეტის გამო არ ყოფილა“ (თუმცა უნდა ითქვას ისიც, რომ „ინტერფაქსის“ ცნობებზე თავდაცვის სამინისტროს არ გამოუქვეყნებია ოფიციალური უარყოფა).

რაც შეეხება ამერიკის ოფიციალურ პირთა რეაქციას სტრატეგიულ ობიექტებში საუკუნის პრობლემის გადაჭრის დარგში შეერთებული შტატებისა და რუსეთის თანამშრომლობის შეწყვეტასთან დაკავშირებით, მას შეიძლება თავშეკავებული ეწოდოს. შეერთებული შტატების სენატის სპეციალური კომიტეტის წარმომადგენელთა თქმით, „შესაძლოა, რუსეთმა შეწყვიტოს კიდეც ნატოსთან თანამშრომლობა, სანამ კოსოვოში საბრძოლო მოქმედება მიმდინარეობს. მაგრამ, როგორც კი იუგოსლავიის კრიზისი მოგვარდება, ერთობლივი მუშაობა განახლდება“.

„GAZETA.RU“-ს კომენტარი: „კომპიუტერ უიორლდის“ კორესპონდენტმა ჯეიმს ნიკოლაიმ, რომელიც შეეცადა მიეღო რუსეთის თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელთა ოფიციალური პასუხი საუკუნის პრობლემის გადაჭრაში პენტაგონთან თანამშრომლობის შესაძლო შეწყვეტის შესახებ, ასევე ვერ იპოვა იმ ინფორმაციის დასტური, რომელიც წინა პარასკევს გადასცეს „ინტერფაქსმა“ და „ასოშიეიტედ პრესმა“. ამავე დროს, თავდაცვის სამინისტროს წყარომ ამერიკელ ჟურნალისტს დაუდასტურა, რომ „2000 წლის პრობლემაზე“ თანამშრომლობის განვითარება დამოკიდებული იქნება კოსოვოს ირგლივ შექმნილი სიტუაციის განვითარებაზე“.

უცხო თვალისათვის ძალზე ძნელია ჩასწვდეს იმ ინტრიგის არსს, რომელიც რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ დაატრიალა „2000 წლის პრობლემის“ გადაჭრასთან დაკავშირებით. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ამ უწყებაში მიმდინარეობს ურთულესი კულისსმიღმა თამაში, ერთი მხრივ, პრობლემის გადაჭრით (და მაშასადამე — პენტაგონთან არსებული თანამშრომლობის გაფართოებით) დაინტერესებულ პროფესიონალებსა და, მეორე მხრივ, ნაციონალ-პატრიოტული ყაიდის პოლიტიკანებს შორის, რომლებიც სერიოზულად განიხილავენ შესაძლებლობას, მიატმასნონ კოსოვოს ახლანდელ კრიზისს „2000 წლის პრობლემის“ გადაჭრა. უკანასკნელი ფრაქცია აშკარად აგებს პასუხს როგორც თანამშრომლობის შეწყვეტის შესახებ ხმების გავრცელებისათვის, ისე თავდაცვის სამინისტროს მხრივ მათი ოფიციალური უარყოფის არარსებობისათვის.

ამასთან დაკავშირებით, მკაფიოდ უნდა გავიცნობიეროთ ერთი რამ: თუ რუსეთი უარს იტყვის „2000 წლის პრობლემასთან“ დაკავშირებით ამერიკის შეერთებულ შტატებთან თანამშრომლობაზე, **გლობალური ბირთვული კატასტროფის რისკი აბსოლუტურად რეალურია.** რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროს არ გააჩნია არავითარი შანსი, გადაჭრას „2000 წლის პრობლემა“ საკუთარი ძალებით და უზრუნველყოს რუსეთის არმიის მაუწყებლობის ყველა კომპიუტერული სისტემის შეუფერხებელი მუშაობა 2000 წლის 1 იანვრის შემდეგ. კავშირგაბმულობის კომიტეტის წარმომადგენლის შეფასებით, აღნიშნული საქმის ახლანდელი მდგომარეობა თავდაცვის სამინისტროში „სავალალოა“. რუსი სამხედროები არც მიაქცევდნენ ყურადღებას ამ პრობლემატიკას, რომ არა პენტაგონის დაჟინებული მოწოდებები, ვინაიდან სწორედ პენტაგონმა დააყენა ეს თემა რუსეთის დღის წესრიგში. ადამიანები, რომლებიც დღეს სერიოზულად ბჭობენ, რომ რუსეთი შეიძლება გამოვიდეს საუკუნის პრობლემასთან დაკავშირებით შეერთებულ შტატებთან ერთობლივი პროგრამებიდან, ვულგარულ ბირთვულ შანტაჟს ეწევიან. სამწუხაროდ, უმწვავესი ცაიტნოტის პირობებში, როდესაც რუსეთის მხარემ ხელიდან გაუშვა მთელი დრო და მთელი შესაძლებლობანი ამ პრობლემის გადასაჭრელად, ეს შანტაჟი გვევლინება არა იმდენად ხარკად აგრესიული რიტორიკისადმი, ანდა ატლანტიკისგაღმელთა დაშინების ცდად, რამდენადაც სრულიად სერიოზულ მითითებად ბირთვული კატასტროფის პროვოცირებისათვის. იმ წრეებში, რომლებსაც უგუნურად უწოდებენ პატრიოტულს, გავრცელებულია აზრი, რომ უმჯობესია რუსეთი დიად ბირთვულ სახელმწიფოდ დაიღუპოს და მთელ მსოფლიოს დაატეხოს თავს ბირთვული ჯოჯოხეთი, ვიდრე დასავლეთის უბადრუკი სანედლეულო დანამატის სახით იარსებოს. ჩვენი აზრით, უკიდურესად აუცილებელია, რომ ამგვარი არჩევანის მომხრენი ერთხელ და სამუდამოდ ჩამოაშორონ რუსეთ-ამერიკის ერთობლივი სამუშაოების ბედის გადაწყვეტას.

ალგორითმის ცნობა: რუსეთის თავდაცვის სამინისტროსა და ნატოს ქვეყნების სამხედრო უწყებების თანამშრომლობა „2000 წლის პრობლემასთან“ დაკავშირებით მიმდინარე წლის იანვრის დამლევს დაიწყო ნატოს შტაბბინაში კავშირგაბმულობისა და ინფორმატიზაციის სახელმწიფო კომიტეტის ინიციატივით. ამას მოჰყვა მოსკოვში გამართული მოლაპარაკება და მთელ რიგ შეთანხმებათა დადება. კერძოდ, მიღწეულია მორიგება, რომ 2000 წლის დადგომისას, ეგრეთ წოდებულ „X“ საათზე შეერთებული შტატების ზოგიერთ სამხედრო ობიექტში უშტატო სიტუაციების შემთხვევისათვის საგანგებო კავშირისა და კონსულტაციების მიზნით იქნებიან რუ- [illegible]

„GAZETA.RU“.

უმჯობესია, რუსეთი დიად ბირთვულ სახელმწიფოდ დაიღუპოს და მთელ მსოფლიოს დაატეხოს თავს ბირთვული ჯოჯოხეთი, ვიდრე დასავლეთის უბადრუკი სანედლეულო დანამატის სახით იარსებოს.

ვირტუალური ღმერთი

უფლის კომპლექსი მოსვენებას არ აძლევს პროგრამისტებს. იაპონელმა მკვლევარმა ტომას რეიმ შექმნა განსაკუთრებული პროგრამა — „კომპიუტერული ტერა“, რომელშიც ცხოვრობენ, ურთიერთობენ და გათვალისწინებული პროგრამით ვითარდებიან პატარა, სულ 160 ბაიტი სიდიდის პროგრამები. შემოქმედის მიერ ტერასთვის მიცემული კანონები ძალზე წააგავს დედამიწაზე მოქმედ ბუნებრივი გადარჩევის კანონებს: განუწყვეტლივ მიმდინარეობს პრო- [illegible] ფორმა, ისინი თავიანთ ნიშას იკავებენ კომპიუტერის მეხსიერებაში და გამუდმებით მრავლდებიან, წარმოშობენ ახალ-ახალ სახეობებს, რეის სურს, თავისი ექსპერიმენტის საფუ- [illegible] ახსნას დედამიწის ევოლუცია. საინტერესოა, რას იზამს რეი, როდესაც კომპიუტერში ვირტუალური სოკრატე გაჩნდება და იტყვის, ღმერთი არ არისო?!

სიტყვა „ბრიტანელი“ სახიფათოა, გადაწყვიტა ბი-ბი-სიმ

ტელე-რადიოსამაუწყებლო კორპორაცია **ბი-ბი-სიმ** გადაწყვიტა, რომ სიტყვა „ბრიტანელი“ სახიფათოა. თუმცა 65 წლიწადს მაუწყებლობაში უმთავრეს ყურადღებას აპყრობდა სახელმწიფოს ერთიანობას და აცხადებდა, რომ ყოველი ერი, ეს ერთი მთლიანის განუყრელი ნაწილია, **ბი-ბი-სი** ახლა უარს ამბობს ამ საყოველთაოდ აღიარებულ ცნებაზე.

ახალი ამბების წამყვანებისა და კორპორაციის კორესპონდენტებისათვის გამართული მთელი რიგი სემინარებისა და გასაუბრების დროს, როგორც აქ გახდა ცნობილი, იძლევიან განმარტებას, რომ სიტყვა „ბრიტანელი“ უკვე ველარ იქნება გამოყენებული ბრიტანეთის კუნძულებზე მცხოვრებ ადამიანთა მიმართ. ამან შეიძლება შოტლანდიელებისა და უელსელების წყენა გამოიწვიოს, რომლებიც წელს საკუთარ საკანონმდებლო ორგანოებს „მიიღებენ“!

უკვე შეუძლებელია ლაპარაკი „მთელი სახელმწიფოს“ ტერიტორიაზე არსებული ამინდის შესახებ, ანდა იმის განცხადება, რომ შემდეგი „საერთო ეროვნული“ ახალი ამბები საღამოს ცხრა საათზე გავა ეთერში.

„როცა ვლაპარაკობთ „მთელ სახელმწიფოსთან“ დაკავშირებულ ცნებებზე, ასეთი ფრაზები შეიძლება სხვადასხვაგვარად აღიქვას ჩვენმა აუდიტორიამ ინგლისში, შოტლანდიაში, უელსსა და ჩრდილოეთ ირლანდიაში“, — განმარტავენ ავტორები წიგნისა „შეცვლილი შეერთებული სამეფო“. სწორედ იგი გახდა ბი-ბი-სის სემინარებზე დისკუსიების საფუძველი.

სიტყვა „სახელმწიფოს“ ნაცვლად რეკომენდებულია სიტყვათშეთანხმების „შეერთებული სამეფოს“ გამოყენება.

ცნება „ბრიტანელის“ გამოყენება შეიძლება მხოლოდ საქმიანი, სავაჭრო ინტერესების კონტექსტით. მაგალითად, ბრიტანეთის რადიოსამაუწყებლო კორპორაცია ან ბრიტანეთის შეიარაღებული ძალები, იმის მიუხედავად, შედიან თუ არა მათში შოტლანდიელები და უელსელები.

როგორც **ბი-ბი-სის** იდეოლოგები ამტკიცებენ, შოტლანდიელები შეწუხებული არიან იმის გამო, ფეხბურთის ხულიგნებს ხშირად ახალი ამბების პროგრამებში „ბრიტანელ“ ხულიგნებად მოიხსენიებენ. წიგნის „შეცვლილი შეერთებულ სამეფოს“ თანახმად, არიან მხოლოდ „ინგლისელი“ ხულიგნები.

ტელეგადაცემებში აღარასოდეს არ გამოჩნდება სუბტიტრები შოტლანდიის მცხოვრებთა ინგლისურ ენაზე „თარგმანით“, თუნდაც მათი სიტყვები სრულიად გაუგებარი იყოს.

კორპორაციის წამყვანი სამსახურის თანამშრომელთა სამწუხაროდ, ცვლილებები შეეხო მის სახელწოდებასაც. ოლდვიჩში კორპორაციის შტაბბინაზე ადრინდელი წარწერის **„ბი-ბი-სის** მსოფლიო სამსახურის“ ნაცვლად გაჩნდება დაფა, რომ აქ მდებარეობს **„ბი-ბი-სი ბუშ ჰაუსი“**.

მოსკოვ- [illegible]

RADIO LIBERTY, BBC, CNN და სხვანი

აშშ სახელმწიფო მდივანი მადლენ ოლბრაიტი გუშინ ოსლოში შეხვდა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრს იგორ ივანოვს ნატოს კამპანიის განსახილველად. პრეზიდენტმა ელცინმა განაცხადა, რომ ნატოს მოქმედებას შეიძლება მსოფლიო ომი მოჰყვეს და გააფრთხილა დასავლეთი, რომ რუსეთი არ დაანებებს ელცინს, თავის პროტექტორატად გამოაცხადოს კოსოვო. ელცინი კატეგორიული წინააღმდეგია კოსოვოში ნატოს სახმელეთო ძალების გაგზავნის იდეისა, რომელიც ვაშინგტონმა კვლავ უარყო, თუმცა, კონგრესის ლიდერები კლინტონისაგან მოითხოვენ, დაუყოვნებლივ დაიწყოს ასეთი ოპერაციის დაგეგმვა.

ნატოს ავიაციამ კვლავ დაბომბა სხვადასხვა ობიექტები იუგოსლავიის მთელ ტერიტორიაზე. ავიათავდასხმების ძირითადი სამიზნეები იყო ნავთობგადასამუშავებელი საწარმოები და სათბობის საცავები, აგრეთვე რკინიგზის ხიდი. როგორც უცხოელი კორესპონდენტები იუწყებიან, დაიღუპა აფეთქებულ ხიდზე გამავალი მატარებლის 10 მგზავრი. საზღვრისპირა რაიონებში მიმდინარეობს ბრძოლები სერბთა ძალებსა და კოსოველ მეამბოხეებს შორის.

ჩერნოგორიამ არალეგიტიმური უწოდა იუგოსლავიის პარლამენტის სესიას, რომელზეც დეპუტატებმა ხმა მისცეს რუსეთ-ბელორუსიის კავშირთან შეერთებას. კორესპონდენტთა თქმით, ეს კიდევ უფრო მეტად აშორებს ჩერნოგორიას სერბეთს. სკუპშჩინის ჩერნოგორიელ დეპუტატებს კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღიათ. ჩერნოგორიის პრეზიდენტი მილო ჯუკანოვიჩი გამიჯნა მილოშევიჩის კოსოვოს პოლიტიკას და მოუწოდა, პროვინციაში ძალაუფლება გადასცენ ალბანელთა თემს.

არკანზასელმა მოსამართლე სიუზან ვებერ რაიტმა პრეზიდენტ კლინტონს ბრალად დასდო სასამართლოს უპატივცემულობა, ვინაიდან განზრახ არ დაემორჩილა მის მრავალგზის მითითებას ალალმართალ ჩვენებათა მიცემის შესახებ. ეს დადგენილება უკავშირდება კლინტონის ჩვენებებს, რომლებიც პრეზიდენტმა ფიცქვეშ მისცა პოლა ჯონსთან ურთიერთობის საქმე-ბით. მოსამართლემ გა- პრეზიდენტი განზრახ სთან დაკავშირე- ნაცხადა, რომ იძლეოდა ცრუ ჩვენებებს, როდესაც უარყოფდა სექსუალურ ურთიერთობას მონიკა ლევინსკისთან, ანდა იმ ფაქტს, რომ მარტოდმარტო რჩებოდა მასთან ერთად. თუ ამ აპელაციას მხარს დაუჭერს არკანზასის უზენაესი სასამართლო, კლინტონი შეიძლება დააჯარიმონ, ანდა აუკრძალონ საადვოკატო პრაქტიკა მომავალში.

გერმანიის კანცლერი გერჰარდ შრედერი სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყრილობაზე თავისი პარტიის ლიდერად აირჩიეს. ყრილობაზე მემარცხენეები და პაციფისტები ამაოდ ცდილობდნენ გაეტანათ რეზოლუცია, რომელიც იუგოსლავიის დაბომბვის შეწყვეტას მოუწოდებდა. ყრილობა მოწვეულ იქნა იმ მიზნით, რომ შრედერი დაემტკიცებინათ სოციალ-დემოკრატთა ლიდერის პოსტზე, რომელიც მარტში დატოვა ოსკარ ლაფონტენმა.

იტალიის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა რომანო პროდიმ, რომელიც ევროპის კომისიის მომავალ პრეზიდენტად არის დასახელებული, ბრიტანეთის პრემიერთან ტონი ბლერთან შეხვედრისას დასახა თავისი რეფორმების გეგმა. მისი წინამორბედი ჟაკ სანტერი უკვე გადადგა ევროკომისიის დანარჩენ წევრებთან ერთად მექრთამეობასთან დაკავშირებული სკანდალის გამო. პარლამენტარები უკმაყოფილებას გამოთქვამენ იმასთან დაკავშირებით, რომ გაკრიტიკებული კომისიის მრავალი წევრი, მაგალითად, ფრანგი ედიტ კრესონი კვლავინდებურად არ ტოვებს თავის პოსტს.

ბუშინ განახლდა მოლაპარაკება ჩრდილოეთ ირლანდიის ხელისუფლების ახალი ორგანოს ფორმირების საკითხებზე. ბრიტანეთის ჩრდილოეთ ირლანდიის საქმეთა მინისტრი მო მოულენი და ირლანდიის საგარეო საქმეთა მინისტრი დევიდ ენდრიუსი თანათავმჯდომარეობდნენ პროტესტანტებისა და კათოლიკების ლიდერთა შეხვედრას, რომლის მიზანი იყო, ბოლო მოეღოთ დაპირისპირებისათვის.

კოლუმბიაში გატაცებულია 50 კაცი. თვითმფრინავი, რომლითაც ისინი ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთიდან მიფრინავდნენ ქვეყნის დედაქალაქ ბოგოტაში, მეამბოხეებმა ჩაიგდეს ხელთ. მგზავრთა შორის იყვნენ სახელმწიფო გაზის კომპანიის მეთაური, მოსამართლე, მერი და კონგრესმენი. გამტაცებლებმა პილოტები აიძულეს, ლაინერი მოყრეულ აეროდრომზე დაესვათ, შემდეგ კი მგზავრები კანოეებში გადასხეს და მდინარით სადღაც წაიყვანეს. კოლუმბიაში მძევლების მეპყრობა გამოსასყიდის მიღების მიზნით გავრცელებული მოვლენაა, მაგრამ ამ თვითმფრინავის მგზავრთა გატაცების აზრი ჯერჯერობით გაურკვეველია.

ბუშინ სიქებმა აღნიშნეს თავიანთი ისტორიის უმნიშვნელოვანესი წლისთავი. ამ დღეს 300 წლის წინათ ჰურუ გობინდ სინგჰმა გამოაცხადა სიქთა რელიგიის ძირითადი პრინციპები. მისი ასიათასობით მიმდევარი ჩამოვიდა მსოფლიოს ყველა კუთხიდან პატარა ქალაქ ანანდპურში საიუბილეო ზეიმში მონაწილეობის მისაღებად.

უცხოეთის სააგენტოებისა და ჟურნალ-გაზეთების მიხედვით უძღვებიან
არჩილ მანჯგალაძე, ლევან ბოჭორიშვილი.

ისტორია

დავით აღმაშენებლის გალობანი

და თქვენ, შემდგომად,
მომავალნო მეფენო!..
მოიხსენეთ ვედრი ჩემი
და ნუ ოდეს დამივიწყებთ დავითს.
დავით აღმაშენებელი.

„მეგვიპტური გულმძიმობა“

აბრამის ისტორიის გარდა, „დაბადებაში“ მოთხრობილია აბრამის შვილის ისააკისა და შვილიშვილის იაკობის (ისრაელის) ისტორიები. იაკობის შვილის იოსების წყალობით იაკობის სხვა შვილები და მათი ხალხი ქანაანელთა მიწიდან ეგვიპტეში გადასახლდნენ, რითაც შიმშილს გადაურჩნენ.

ბიბლიის მეორე წიგნი „გამოსვლა“ მოგვითხრობს ისრაელელთა ბედზე ეგვიპტეში. იოსების სიკვდილის შემდეგ, დროთა განმავლობაში, ეგვიპტელებმა შეცვალეს თავისი დამოკიდებულება ისრაელელთა მიმართ. ეგვიპტელებს ეშინოდათ ებრაელთა გამრავლებისა და ამიტომ „უწყალოდ ამუშავებდნენ, სიცოცხლე გაუმწარეს მძიმე შრომით“ (II, 1.13-14). „მაგრამ რაც უფრო ჩაგრავდნენ, მით უფრო მრავალრიცხოვანი ხდებოდა და ვრცელდებოდა ხალხი“ (II, 1.12). მაშინ ეგვიპტელებმა გადაწყვიტეს ებრაელთა ჩვილი ვაჟების მოსპობა. ძველი აღთქმის მთავარი პერსონაჟი მოსე სიკვდილს გადარჩენილი და ეგვიპტის ფარაონის ქალიშვილის მიერ აღზრდილი ბავშვია. მან ღმერთის შეგონებითა და დახმარებით გამოიყვანა თავისი ხალხი ეგვიპტიდან და წაუძღვა მათ ქანაანელთა მიწისკენ, სადაც „მიედინება თაფლი და რძე“. ეს მიწა აღუთქვა უფალმა ისრაელის მოდგმას. ამ მოგზაურობისას ითვისებდა ხალხი მოსეს მიერ დაწერილ კანონებს (მათ შორის ათ მცნებას) და სწავლობდა ღვთის მორჩილებას – კანონის დაცვას.

„მეგვიპტური გულმძიმობა“ მძიმე შრომით დაჩაგვრას, ხალხის ამოწყვეტას – გენოციდს ნიშნავს.

„ქანაანელთა ჩვეულებანი“

უფალმა გადაწყვიტა მოესპო ქანაანელები მათი ჩვეულებების გამო. ეს ჩვეულებები ჩამოთვლილია ბიბლიის მესამე წიგნის („ლევიანნის“) მე-18 თავში.

„ნუ მოიქცევით ისე, როგორც იქცევიან ქანაანის ქვეყანაში. სადაც მიმყავხართ, ნუ მიჰყვებით მათ წესებს“ (III, 18.3). „არავინ დაუახლოვდეს თავისი ხორცით ნათესავს მისი სიშიშვლის ასახდელად“ (III, 18.6). შემდეგ ჩამოთვლილია ნათესავები, რომელთაც ეს ეხება. აქვეა ასეთი აკრძალვები: „წიდლოვნების დროს არ მიეკარო ცოლს“, „არ შეეხო თესლით ახლობლის ცოლს, გაგაუწმინდურებს“, შენი თესლიდან არავინ მისცე მოლოქის ცეცხლში გასატარებლად“ (III, 19.19-21). (ბოლო აკრძალვა განმარტებას მოითხოვს. მოლოქი ფინიკიელებისა და კართაგენელების რელიგიებში მზის ღმერთია. ამ კერპს თაყვანსა სცემდნენ ისრაელისა და იუდეველთა სახელმწიფოებშიც. 622 წელს ქრისტეს შობამდე ებრაელთა მეფემ იოსიამ ოფიციალურად აკრძალა ყველა კულტი, კერძოდ, მოლოქი. მოლოქის კერპს სწირავდნენ – წვავდნენ – დიდებულთა შვილებს. ზოგჯერ მათ ცვლიდნენ მონებით). ამას მოსდევს „არ დაწვე მამაკაცთან დედაკაცური წოლით. ეს სისაძაგლეა. არანაირ ცხოველთან არ იქონიო კავშირი, რათა არ გაუწმინდურდე მისგან“ (III, 18.22-23).

ამ ცოდვების გამო უფალი ებრაელთა ხელით სპობს და სდევნის ქანაანელებს. უფრო მეტიც, კატეგორიულად მოითხოვს მათ განადგურებას.

„ლევიანნის“ მე-20 თავში ბიბლია უბრუნდება ქანაანელთა ჩვეულებებს და აწესებს სასტიკ სასჯელს ყოველი ცოდვისთვის ცალკე.

ესაა „ქანაანელთა ჩვეულებანი“.

ახლა დაგვრჩა ისეთი სიტყვები, როგორიცაა „მსხვერპლვაი ნაგებათაი“, რაც ჩამოსხმული კერპებისადმი მსხვერპლის შეწირვას უნდა ნიშნავდეს. „ნუ გაიჩენთ ჩამოსხმულ კერპებს“ (III, 19.4), ან: „არ შეიქმნათ კერპები და ქანდაკებები, არ აღმართოთ სვეტები, არ ჩადგათ თქვენს ქვეყანაში მოხატული ქვები სათაყვანოდ, რადგან მე ვარ უფალი, თქვენი ღმერთი“.

„ზმნაი და სახვრაი“ მისნობას, მარჩიელობას, ჯადოსნობას ნიშნავს.

„კოწოლი თმითა“ – თმის დაწნაა (ეტყობა, მარჩიელობისათვის, ან ავი თვალისაგან). ეს ცრურწმენის ელემენტებია, რომელიც ბიბლიის სხვადასხვა ადგილებშია აკრძალული: „ნუ შეჭამთ სისხლთან ერთად, ნუ იჯადოქრებთ, ნუ იმკითხავებთ“. (III, 19.26) ან „ნუ მოიკრეჭთ თმის კიდეებს თავზე, ნუ მოისპობთ წვერის კიდეებს, ... ნაკაწრებს ნუ გაიკეთებთ ტანზე თქვენი მკვდრისათვის და წარწერებს ნუ გაიკეთებთ. მე ვარ უფალი“ (III, 19.27-28).

ასეთ ქმედებებს „შენ (დავითი მიმართავს უფალს) ბრძანებ არამსგავსებად“. და ამაში „უწარმდესებად“ (თავხედურად) „მოვიგენ“ (ვაჭარბებდი) „თვით მათ პირმშოთა სახეთასაცა“ (პირველი ადამიანების მიერ მოცემულ მაგალითებს). ლაპარაკია ბიბლიაში აღწერილი მოსემდელი პატრიარქების ცხოვრებაზე.

ასე თავდება მეორე სტროფი.

არ შემიძლია არ შევჩერდე მესამე გალობის ფინალზე – ჩემი ღრმა რწმენით, პოეზიის შედევრზე. ამ სტროფის გააზრებისას ნათელი ხდება, რომ თანამედროვე ტრადიციისაგან განსხვავებით, პოეზია აზროვნებისაგან, ზნეობისაგან არ უნდა განირჩეოდეს. სამწუხაროდ, დღეს სიტყვების უაზრო წყობა, რომელიც გაუთვითცნობიერებელ ემოციებს იწვევს, ჩვენში „პოეტურ სახედაა“ მონათლული. მე მგონია, რომ ეს აბრკოლებს აზროვნების პროცესს (რეფლექსიას).

აი, ეს სტროფიც:

„ამისთვის იყო ქალწული
და ხორცქმნაი სიტყვისაი,
რათა დედობრივთა
ოხათა მიერ
ცხონდნენ ცოდვილნი,
რომელთა პირველი
საშუალი და დასასრული
მე ვარ, ვითარცა უფსკრული,
მესაკრებელთა
ბილწებისა ღვართაი“.

ამ სტროფის შინაარსის გასაგებად გავიხსენოთ იოანეს სახარების დასაწყისი: „დასაბამიდან იყო სიტყვა და სიტყვა იყო ღმერთთან და ღმერთი იყო სიტყვა. ის იყო დასაბამიდან ღმერთთან“ (1.1-2). „და სიტყვა ხორციელ იქცა, და დამკვიდრდა ჩვენს შორის მადლითა და ჭეშმარიტებით სავსე“ (1.14). შემდეგ ვკითხულობთ: „რჯული მოსეს მიერ მოგვეცა, ხოლო მადლი და ჭეშმარიტება იესო ქრისტეს მიერ იქმნა“ (1.17).

ამრიგად, დავით აღმაშენებელი წერს, რომ წმინდა მარიამის საშუალებით განსხეულებული – მატერიად ქმნილი – სიტყვა (ღმერთი – იესო ქრისტე) მოევლინა ქვეყანას. მას სწამს, რომ ამ მოვლენის მთავარი მიზანი ღვთისმშობლის შუამდგომლობით (ოხებით) ცოდვილთა ცხონებაა (შეწყნარებაა), რაც მიიღწევა საკუთარი ცოდვების განცდით და გულწრფელი მონანიებით. მეფე დავითს მიაჩნია, რომ ცოდვილთა შორის „პირველიცაა, საშუალიც და დასასრულიც“, და თავს ადარებს ბილწების ღვართა შესაკრებელ უფსკრულს.

ამ უდიდეს ნაწარმოებში მთავარი მონანიების ფაქტია – ქრისტიანობისა და ქრისტიანული ზნეობის უმთავრესი ნიშანი. ადამიანის მაგალითი, რომელიც განიცდის საკუთარ ცოდვებს და მათზე ღიად ლაპარაკობს, ღრმა ზემოქმედების საშუალებად წარმოგვიდგება. ჩემთვის უდავოა, რომ დავით აღმაშენებლისათვის „გალობანის“ შექმნისას მნიშვნელოვანი იყო მონანიების ურთულესი პროცესის დამკვიდრება თავის ერში – გადარჩენის გზის ჩვენება. ის ათვითცნობიერებდა თავისი ზემოქმედების ძალას ხალხზე:

„სახეთა მიერ ბოროტთა
მიცემითა ვაცოდვე ერი ჩემი“.

აშკარაა, რომ თავისი მონანიებით მას ამ დანაშაულის გამოსყიდვაც უნდა. ჩვენც ვალდებულები ვართ შევეცადოთ გავიგოთ, რას გვეუბნება ცოდვილი მეფე დავით აღმაშენებელი.

ეს არა მარტო დავით აღმაშენებლის პატივისცემამ უნდა გაკეთდეს, ეს ჩვენთვისაც აუცილებელია.

ამ მონანიებით და ღვთისმშობლის „ოხებით“ (შუამდგომლობით) დავით აღმაშენებელის იმედი აქვს გახდეს ღირსი

„ხილვად ნათელსა
მისა შენისასა
და ნათელსა ზეშთა
საუკუნეთასა“

გია მაჩაბელი.

დასასრული. დასაწყისი იხ. „სრ“ № 94-95.

ბოლო წერილი

ნაშრომი კოლხეთის მიკროტოპონიმიაზე

უკანასკნელ ხანებში ქართველური ენების მიკროტოპონიმიას რამდენიმე კარგი შრომა შეეძინა. ცოდნის ამ დარგის განვითარებაში ძველი თაობის მოღვაწეებთან ერთად, რაც მთავარია, თვალსაჩინო წვლილი აქვთ შეტანილი ახალი თაობის წარმომადგენლებსაც. სიამოვნებით უნდა აღინიშნოს, რომ ქართველური ენების ტოპონიმიური ლიტერატურა სისტემატურად მდიდრდება ახალი მონოგრაფია-გამოკვლევებით, რომლებიც ტოპონიმიკის ზოგადსა და რეგიონულ საკითხებს ეხებიან.

ამ ლიტერატურას შემატა **პაატა ცხადაიას „ძიებანი კოლხეთის ტოპონიმიიდან“** (I, თბ., 1999). წიგნი გამოცემულია ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ (გამომცემლობა „ინტელექტი“), რედაქტორია პროფ. ზურაბ ჭუმბურიძე, რეცენზენტები პროფ. თედო უთურგაიძე და ოთარ ურიდია.

წიგნში მრავალი აქტუალური საჭირბოროტო საკითხია პირველად აღძრული და გაშუქებული და მისი ინტერესი სწორედ ამითაა განპირობებული. რაც განსაკუთრებით ხაზგასასმელია, აქ საანალიზოდ მოხმობილია სამეგრელოს მთის რაიონების, სამურზაყანოსა და მთელი ისტორიული კოლხეთის ყველა რეგიონის მიკროტოპონიმიური მასალა, რომელიც შეპირისპირებულ-შედარებულია ძველ და ახალ ჩანაწერებთან, აფხაზური ენისა და მისი დიალექტების მონაცემებთან, ნაცადია კოლხურში აფხაზური ნასესხობის გამოვლენა და ახალი თვალსაზრისით კვალიფიკაცია. შრომა ამ მხრივ ორიგინალურია, ამისთანა სახის დაკვირვებანი კოლხურ მიკროტოპონიმიაზე აქამომდის არ გვქონია და ის მნიშვნელოვნად ავსებს ჩვენს ცოდნას როგორც ზოგადად მიკროტოპონიმიის და მისი პარამეტრების, ისე, რაც საგულისხმოა, კოლხური მიკროტოპონიმიის სტრუქტურული მოდელების საკითხებზე. მთავარ ყურადღებას იქცევს აფხაზურიდან მეგრულში შესული მასალის ისტორიულ-ეტიმოლოგიური ანალიზი და ამ მასალის მოდელირება წერილობითი და ზეპირი მონაცემების მიხედვით. ეტიმოლოგიური დაკვირვებანი ეყრდნობა მდიდარ ცნობებს და გამოირჩევა დასაბუთებებით. აი, საილუსტრაციოდ ავიღოთ მიკროტოპონიმები აფხაზური წარმომავლობისა: აფთურა, ახკარა, ახრა და მათი [illegible]. ავტორი სწორად აღნიშნავს, რომ სხაპუა ფუძეს მეგრულში ორი ძირითადი მნიშვნელობა აქვს: ხტომა და ცეკვა. ოსხაპუე ცეკვა-თამაშობის ადგილია, მიკროტოპონიმია, რომლის ეტიმოლოგიზება, ი. ყიფშიძის და პ. ჭარაიას ცნობების საფუძველზე, ავტორს მართებულად აქვს მოცემული. მისი დასკვნა გასაზიარებელია. აქედან ნაოსხაპუ ლეგადილიესა და ზოგიერთ სხვა სოფელშიც ნიშნავს მინდორს, ბორცვს. სწორია მკვლევარის მსჯელობა ამასთან დაკავშირებული ეტიმოლოგიური ველის ანალიზზე, კერძოდ, გასხაპალი, გასხაპუ, გიოსხაპაია, გოსხაპურე, ოსხაპუე, ოსხაპური, ოსხაპუ სუკი, ოსხაპუეში, ნაოსხაპუე, ნაოსხაპუ, ნასხაპუ, ხაგიმ ნასხაპა და სხვ. **სხაპ** – ფუძე ფართო არეალის ლექსემაა მეგრულში და აქედან ჩანს შესული გურულ დიალექტშიც. გურულში სხაპი ჩიტის მახეა. ცნობილია ხალხური მყარი გამოთქმა „სხაპში გავები“, რაც ნიშნავს „მახეში გავებიო“.

შრომაში სწორადაა მითითებული, რომ ადრე კოლხი მეჯოგე-მესაქონლეები მთის საძოვრებისაკენ საქონლის გარეკვის წინ გზადაგზა ქმნიდნენ სეზონურ გაერთიანებებს, ერთგვარ დროებით სადგომებს, რომელთაც სამურზაყანოში ფანიას უწოდებდნენ. ფანია ლექსები სამეცნიერო ლიტერატურაში პირველადაა აღწერილი და ეტიმოლოგიაც ეფარდება ფაქტობრივი მასალის მონაცემებს.

გასაზიარებელია ავტორის მსჯელობა ერისწყლისა და მისი ტოპონიმიური ვარიანტების ეტიმოლოგიური ძიების საფუძველთა მესახებ. ამასთან დაკავშირებით არაერთი საყურადღებო ვარიანტია წარმოდგენილი ცალკე მიკროელემენტთა საანალიზოდ. **ვე** ელემენტიდან მიღებულადაა მიჩნეული ვედიდი, ვერჩე, ვემკუდელი და სხვ. **ვე** კი ქართული ველის ტოლფარდია. ახალი მიკროტოპონიმიური მასალის მოშველიებითაა განმარტებული თაია (პატარა მთა), ინწირა, რწულე, წუთურე, წკვიპი და მისთანა ერთეულები. „რწვილეს“ ავტორისეული ახსნა „ვიწრო“ – ადასტურებს ამ სახელით არსებული ვიწრო ხიდი ფოცხოვეში.

შრომაში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა სვანური ნაკვალევის ძიებას მეგრულში. ამის დასტურად მართებულადაა მიჩნეული ლა-პრეფიქსიანი ტოპონიმები: ლაბარაში, ლახენწარა, ლამარჯია, ლაყორია და სხვები. ყველა მაგალითის აღნიშვნა შორს წაგვიყვანდა, გამოვლენილი კი ბევრია.

როგორც ვხედავთ, გამოვლენილია სვანური, მეგრული და აფხაზური სუბსტრატი და სუპერსტრატი წყაროთა მიხედვით. უადრესად მწვავე და ხშირად სადავო საკითხებზე ავტორს გამოთქმული აქვს დასაბუთებული შეხედულება. მართალია, ყველა მისი მსჯელობა თუ ეტიმოლოგია ერთნაირი სიღრმისა არ არის, მაგრამ გამოირჩევა სიახლეებით, ძიებ[illegible] ახალი მასალების მოშველიებით და დასკვნებით, რომელთა ძირითადი ნაწილი საყოველთაოდ მისაღები და გასაზიარებელია.

პაატა ცხადაიას ახალი გამოკვლევა ქართული მიკროტოპონიმიის დარგში კვლევა-ძიების წინ გადადგმული ნაბიჯია. ახლად გამოვლენილი მასალის ანალიზით, მეცნიერული მსჯელობით შრომა, მჯერა, სპეციალისტთა და საქმით დაინტერესებულ პირთა ინტერესს გამოიწვევს.

მიკროტოპონიმიკა ცოდნის შედარებით ახალი დარგია. მიკროტოპონიმიის სამყარო შეუზღუდავია, ადგილის სახელწოდებათა ყველა სფეროს მოიცავს. მიკროტოპონიმიის განვითარების მერიდიანების დამორება ტოპონიმიის სხვა სფეროებისაგან შეუძლებელია, რადგან მათი საერთოსთან ერთად განმასხვავებელი ნიშანთვისებებიც ეძებნება, ამიტომ მათი კომპლექსური კვლევა აქტუალურ საკითხთა რიგს განეკუთვნება. ცნობილია, რომ ტოპონიმი, როგორც ენის ლექსიკური ერთეული, სამი განზო[illegible] მაკროტოპონიმია – საყოველთაო [illegible] ობიექტების სახელები (აჭარა, ქუთაისი, ბერლინი, რომი), საკუთრივ ტოპონიმია – შედარებით ფართო ხმარებით ადგილთა სახელები (დიდი დასახლებული პუნქტების სახელწოდებები) და მიკროტოპონიმია – უმცირესი დასახლებული პუნქტების, ხეობების, გორაკების... სახელწოდებები. რაოდენობით ყოველი ენის ლექსიკურ საგანძურში უკანასკნელი ყველაზე მეტია, თანაც ისტორიულად ცვალებადი. ამიტომ მათი კომპლექსურად შესწავლა-შეჯერება საშური საქმეა.

ჩვენი ავტორი, პაატა ცხადაია, კარგა ხანია ემსახურება სწორედ მიკროტოპონიმიის შესწავლას და მჯერა, მისი შრომებიდან ერთ-ერთ გამორჩეულ ადგილს დაიკავებს „ძიებანი კოლხეთის ტოპონიმიიდან“, რომლის პირველი მონაკვეთი ეს-ესაა უკვე მიიღო მკითხველმა. ველოდებით შრომის მომდევნო მონაკვეთებს, რომლებიც გამოსაცემად მზადდება.

ალექსანდრე ღლონტი
პროფესორი.

ეს წერილი გამოჩენილმა ქართველმა მეცნიერმა, ბრწყინვალე ფილოლოგმა, ჩვენი გაზეთის ძველმა და ერთგულმა მეგობარმა ბატონმა ალექსანდრე ღლონტმა სიკვდილის წინადღეს გამოგზავნა რედაქციაში.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია გულწრფელ სამძიმარს უცხადებს ალექსანდრე ღლონტის დამწუხრებულ ოჯახს.

ახალი რაკურსი

მედეა კახიძე

პატრიოტები

– გული გამისკდება, ვინმეს ჩემი დარდი თუ არ შევჩივლე, ამოიოხრა კაჭკაჭმა და თანაგრძნობის მოლოდინში თვალებში შეაცქერდა ქორს.

– მომეშვი, უჭირველ-უტკივარი არავინ არის, თავი მტკივდება, როცა ვინმე შემომწუწუნებს, – აიმზირა ქორი.

– მაშ, შენ, არც ცულის ხმა გაგიგონია და არც წამოქცეული ხის ჭრიალი! – არ ეშვებოდა კაჭკაჭი.

– იწილო-ბიწილოს მოსმენის ხასიათზე სულაც არა ვარ, შენი საქმე თავადვე უნდა მოაგვარო, ჩემგან შველას ნუ ელი, – თქვა ქორმა და ზურგი შეაქცია.

– უსახლკაროდ დავრჩი, შემისმჭრელებმა ხე ძირში მომიჭრეს, ხვალ მოვლენ ცულებით და ნაჯახებით, ტყეს ძირისძირობამდე გადაკაფავენ და შენც უბინაოდ დაგტოვებენ, – ნიშნის მოგებით ჩაიბუტბუტა კაჭკაჭმა.

ქორს ბუდის დანგრევამ თავზარი დასცა და მოუბოდიშა: – დღეს უგუნებოდ [illegible], აბა, წვრილად მიამბე რაშია საქმე! კაჭკაჭს რაკი ლაპარაკის ნება დართეს, რაც იცოდა და არ იცოდა ჩამოარაკრაკა, მერე რაღაც გაახსენდა და აჩქარდა.

– სად გეჩქარება, – ჰკითხა ქორმა! – ცოტახანს კიდევ დარჩი, შენთან საუბარი მსიამოვნებს!

– არა, – მტკიცედ თქვა კაჭკაჭმა, – ფუჭ ლაილაიში დროს ვერ დავკარგავ, საქმეები მაქვს მოსაგვარებელი!

– რას საქმიანობ? – ჰკითხა ცნობისმოყვარეობაშეპყრობილმა ქორმა!

– პატრიოტი ვარ!

– პატრიოტი? გაიკვირვა ქორმა, რა არის პატრიოტი, ეს სიტყვა პირველად მესმის!

– არ გადამრიო! მთელი ქვეყანა გაპატრიოტდა და შენ, ისიც, არ იცი, რას ნიშნავს პატრიოტი!

– არა არ გამიგონია, მითხარი გეთაყვა, საჭმელია თუ სასმელი!

– ორივე ერთად – თქვა კაჭკაჭმა და თავმომწონედ გადახედა ქორს: – პატრიოტი ვარ, დიახ, მერე და რად გიკვირს, პატრიოტობაზე სარფიანი საქმე მეორე არ მეგულება, ხელის განძრევა არ დაგჭირდება, მაძღრისად დალევ, მაძღრისად შეჭამ, ფეხს ფეხზე გადაიდებ და პატივდადებულიც იქნები, ოღონდ იმ პირობით, ხალხის გულს თუ მოიგებ.

ქორმა კისერი დაიგრძელა მოსასმენად! მაგრამ, კაჭკაჭმა მოკლედ მოჭრა: – უნდა წავიდე, ხომ გითხარი მეჩქარება, ამაღამ მოიფიქრე და თუ პატრიოტობა გადაწყვიტე, ხვალ მოდი და მოვითათბიროთ.

– აუცილებლად მოვალ, ოღონდ, ეს მაინც მითხარი, სად გეჩქარება!

– აი, იმ ხის ძირას, ცისფერი ფურისულები მთელი ღამე ჩურჩულებენ და არ მაძინებენ, უნდა მივიდე და თავზე ჩამოვასკლინტო!

– შენ ნამდვილი პატრიოტი ყოფილხარ, – აღმუკდა ქორი, – მომწონს, როდესაც ვიღაცას აბუჩად იგდებენ – პატრიოტობა ეგ არის, ვინმეს თავზე ლაფი უნდა დაადო.

– გადასარევია, – თქვა კაჭკაჭმა, – მაგრამ, ლაფის დადებას ხომ ჩამოსკლინტება სჯობს.

– რა თქმა უნდა, მაგრამ, ჩამოსკლინტება ხომ ყველას არ შეუძლია!

– მოიცა, კიდევ რაღაც მინდა გკითხო.

მაგრამ კაჭკაჭმა ქორის შეკითხვას ყური არ ათხოვა, ფრთა ფრთას შემოკრა და გაფრინდა.

კაჭკაჭი მთელი დღე სკლინტვაში იყო გართული და ვერ გაიგო, ისე დაღამდა.

– რა გატირებთო! – გულშემატკივრად ჩამოსძახა ფურისულებს ტოროლამ!

– კაჭკაჭმა კოპწია კაბები სკორეში ამოგვითხუპნა, – წამოიცრემლეს ყვავილებმა.

ტოროლამ დრო არ დაკარგა, მაშინვე ცაში ღრუბლის დედასთან აიჭრა და სათქმელი უთხრა. ცოტა ხანში მხაპუნა წვიმა წამოვიდა, დიდ მინდორს გადაუარა და მდელოდან სკლინტი გადარეცხა.

– ...რა გადაწყვიტე, გინდა პატრიოტი გახდე? – ჰკითხა პაემანზე მოსულ ქორს კაჭკაჭმა.

– არა, მე ორი კლასი მაქვს დამთავრებული, ლექსებმა თავი შემაძულეს და სკოლა მივატოვე.

– პოდა პატრიოტობა შენთვის ალალია, არაფრის ცოდნა არ დაგჭირდება. არც რაიმე გექნება სასწავლი, ოღონდ ლაპარაკი უნდა გეხერხებოდეს და რაც შეიძლება ბევრი უნდა ილაქლაქო. პო, კიდევ, ტაშის ცემაში უნდა ივარჯიშო, აი ასე, – და კაჭკაჭმა ისეთი ტაში დასცხო, შეშინებულმა მგალობლებმა გალობა შეწყვიტეს. ქორს ტაშის ტყაპა-ტყუპი მოეწონა და თვითონაც აყვა.

– ყოჩაღ, შენგან დიდი პატრიოტი დადგება, გადასარევად უკრავ ტაშს.

– იცი რა, რამდენიც გინდა მამუშავე, ოღონდ ყბედობა არ მეხერხება, არც საამისო ცოდნა მაქვს და არც გამოცდილება.

– სისულელეა, რაც უფრო გაუგებარი ხარ, მით უფრო მეტი ფასი დაგედება.

– რაღაცის ცოდნა მაინც დამჭირდება, ცოტა ხელოვნება, ცოტა ლიტერატურა, ცოტა მათემატიკაც...

– ხომ გითხარი, მხოლოდ სიტყვების რახა-რუხს გასწავლი, ოღონდ შნო და მარიფათი უნდა გამოიჩინო, ეცადო აბდა-უბდას მოყვე, აი ისე, სიცხიანი ავადმყოფი რომ ბოდავს.

– ეგ როგორ, გეთაყვა?

– შენი ნალაპარაკევიდან აზრი ვერავინ უნდა გამოიტანოს, მორჩა და გათავდა, ეს არის მთელი ფილოსოფია!

– დიდებულია, მაგრამ კამათს ხომ ნიჭი უნდა.

– ხვალ მოდი და გაკვეთილს ჩაგიტარებ! პარტიის წესდებასაც გაგაცნობ!

– რაო, წესდება რაღა დოზანაა, რა განათლებული ყოფილხარ ჭირიმე, ასეთ ბრძენ ადამიანს პირველად შევხვდი, იქნებ ახლავე ამიხსნა, ხვალამდე ნუ დამალოდინებ, – შეეხვეწა ქორი.

– წესდება არც მე წამიკითხავს, ხომ გითხარი, წერა-კითხვის უცოდინარი ვარ, მაგრამ კრებებზე ორატორების გამოსვლას ვიზეპირებ და ვიმეორებ.

– მოთმინება არ მყოფნის, ძალიან დაგიმადლებ, თუ გამანდობ რას ამბობენ.

კაჭკაჭი გაიფოფრა, წელში გასწორდა, კენწეროზე შეხტა და შთაგონებით წარმოთქვა: – დემოკრატია, თავისუფლება, თანხმობა და, რაც მთავარია, რევოლუცია!

ქორმა თვალები ჭყიტა და თუმცა კაჭკაჭის ქადაგებას ვერა გაუგო რა, და ვერც მის თავმოუბმელ წინადადებას მიხვდა, მაინც მოუწონა: – რა ბრძნული აფორიზმებია, აბა კიდევ გაიმეორე.

ქებით შეგულიანებულმა კაჭკაჭმა ისეთი ყვირილი მორთო, გეგონებოდა ვირმა საწიხლე ქუსლი ფერდში ჩასცხოო. როცა ჭყივილით და შეძახილებით ქანცი გასძვრა ორივეს, დაოსებული კაჭკაჭი ბალახებში გადაესვენა და ჩაიბუტბუტა: – დღეს ვიკმაროთ მეცადინეობა, ახლა წავალ, პარტიული დავალება მაქვს შესასრულებელი.

– ახლა, რა საქმეზე მიდიხარ; გეთაყვანე!

კაჭკაჭმა ჯიბიდან ბრძანების ქაღალდი დააძრო და ქორს მიაჩეჩა.

– მაგას რას წამაკითხებს, ხელი აუქნია ქორმა, მითხარი შიგ რა წერია!

– ბულბულს ბუდიდან კვერცხები უნდა ამოვუყარო, რომ მათი სახსენებელი ამოვაგდო.

– ეგ რა მითხარი, მგალობლები არც მე მეპიტნავებიან, მეც მინდა შური ვიძიო.

– მაგათ ასე ადვილად ვერ მოატყუილებ, ძალიან ნიჭიერები არიან, ერთი მოსმენით ყვავილების ჩურჩულს იზეპირებენ, ლექსებად გადათქვავენ და ტყეში ჰანგებად მიმოფანტავენ. არწივი ამბობს, ეგენი ბუნებას ალამაზებენო, ღმერთმა მომღერლებად გააჩინა და გაუშვი, იმღერონო. ახლა წავედი, ხვალ გაკვეთილზე მოსვლა არ დაგავიწყდეს!

– ...თანახმა ვარ, პატრიოტი გავხდე, – თქვა პაემანზე მოსულმა ქორმა თავდაჯერებით: – ლოზუნგები თავში ჩავიბეჭდე, მაგრამ გამომსარჩლებელი არავინ მყავს და ვაითუ, ვინმე შემეკითხოს რაიმეს და მეშინია არ შევრცხვე!

– მიქარვაა, პარტიამ სირცხვილი რა არის, არ იცის. ეს სიტყვები მათი სალაპარაკო ლექსიკონიდან ამოღებულია.

– შენს პირს თაფლი და შაქარი, – ახტა-დახტა წახალისებული ქორი: – კიდევ რა წერია წესდებაში!

კაჭკაჭი ყბედობას მოყვა და აღარ გაჩერდა.

– რაღაც, მინდა გითხრა, – შეაწყვეტინა უცებ ქორმა, – და თვალები დაკვესა: – არა სჯობია საკუთარი პარტია შევქმნათ, ვიდრე სხვისი ბრძანებები შევასრულოთ, ეს უფრო სასეირო იქნება.

კაჭკაჭი მოულოდნელობისაგან ისე დაიბნა, რომ სლოკინი აუტყდა და ვიდრე საპასუხოდ პირს გააღებდა, ქორი შორიახლოს ჩამომჯდარ წიწვივას დააცხრა, წამში გაბდღვნა და სისხლიანი ტუჩები ენით გაილოკა. კაჭკაჭს ელდისაგან გული საგულედან ამოუვარდა და ქვეშ გაუვიდა, მერე ხმის კანკალით ამოიკნავლა: – პარტიის ჩამოსაყალიბებლად სამი კაცი საკმარისია. ამ ფუღუროში ბუ ცხოვრობს, გავაღვიძოთ და ახლავე გავაპარტიულოთ!

– მაგრამ რომ არ დაგვეთანხმდეს?

– ეს მე მომანდე, აუცილებლად შეგვიამხანაგდება, ტკბილი ცხოვრება ყველას უყვარს! – თქვა შეშინებულმა კაჭკაჭმა და ფუღუროში შეყო თავი.

– საქმე მოვაკვარახჭინე, ბუ თანახმაა პატრიოტი გახდეს, სასწრაფოდ კრება უნდა ჩავატაროთ და ოქმი გავაფორმოთ!

– წინ წაძღოლილი საქმე მიყვარს, რაღას ვაყოვნებ, – აფაციფუცდა ქორი.

– შენთან მეგობრობა მეძვირფასება, თუ კაცი ვარ, ამას დაგიფასებ, – და გულაჩუყებულმა ქორმა კაჭკაჭს მაგრად ჩამოართვა ხელი! – ვისი ჯავრიც გჭირს, ამოგყრი, ჩვენი კითხულის გარეშე, ხეზე ფოთოლიც ვერ გაიფაჩუნებს, მაგრაკვეცა ფრინველების სეირს მალე გაყურებინებ, ყველას დავიჭერთ და ცხრაკრიტულში გამოვამწყვდევთ.

– [illegible], მზის სინათლეს რომ ველარ დაინახავენ, ჭიკჭიკის ხალისი დაეკარგებათ! – კაჭკაჭი გამარჯვებული კაცის იერით ბელადს წინ გამოეჭიმა: – თუ ნებას დამრთავთ, ჩვენთან თანამშრომლობას ჭილყვავებს შევთავაზებ!

ქორს სახე გაებადრა: – საუცხოო არჩევანია, ყვავებს უდიდეს პატივს ვცემ, არც შავი ფრთები მჭრის თვალებს და არც მათი ჩხავილი მშურს.

– ასეა, ასე, – კვერს უკრავდა თანამებრძოლი, – რაც უფრო მეტი მტაცებლები შემოგვიერთდებიან, მით უფრო ძლიერ პარტიას შევქმნით. თქვენი ნებართვით, იქნებ, ღამურები და ჭრიჭინები პარტიაში გავაწევრიანოთ, – წამოტორღლა ახალი აღმოჩენით აფოფინებულმა კაჭკაჭმა.

– წინადადება მიღებულია, ოღონდ, თუ უარს გეტყვიან, ნუ დაეჯაჯგურები, წყენა არ შეიმჩნიო, სიცილით დაემშვიდობე, ბოდიში შეწუხებისთვის-თქო, ესეც უთხარი, მერე, მე ვიცი, ერთმანეთს როგორ შემოვანარცხებ!

კაჭკაჭს მღელვარებისგან ენა ებმოდა: – გვარებს შავ სიაში ჩამოვაწიკწიკებ და როცა ვიღროვებთ, გავუსწორდებით, ხომ ასეა, – კუჭკუჭებდა მოულოდნელი ბედნიერებით გაბრუებული და ნეტარებისგან სახეზე სისხლის ძარღვები ებერებოდა.

– დღეს თავისუფალი ხარ, – მიმტევებლურად თქვა ქორმა და ფეხზე წამოდგა, – ახლა წადი და ფურისულებს თავზე ჩამოასკლინტე, ეს შენი პირველი პარტიული დავალებაა!

ყელში ბოლმა წაჭერილი და ხვალინდელი დღის გამარჯვებით აფოფინებულმა კაჭკაჭმა ქორს მდაბლად დაუკრა თავი და ნეკერჩხლის ხეს მიაშურა.

– ...თანამზრახველები ბლომად მოვაგროვე, მხოლოდ კრების დანიშვნაა საჭირო, – უპატაკა ბელადს კაჭკაჭმა და ბატიფეხურად ნაჯღაბნი სია წინ დაუდო.

– ეს რა არის? – იკითხა ასოების დანახვაზე გუნებაგაფუჭებულმა ლიდერმა.

– პარტიაში შესასვლელი ამხანაგების გვარ-სახელია ჩამოწერილი, – თქვა კაჭკაჭმა და ქების მოლოდინში გაისუსა.

– კიდევ კარგი, – შვებით ამოისუნთქა ბელადმა, – მე ლექსი მეგონა. მაგის ხსენებაზე ტანში მზურძგლავს, ლექსის მოსმენას ოყნის გაკეთება მირჩევნია.

– მეც ჭირივით მძულს, – შეემშველა ლექსის ძაგებაში კაჭკაჭი.

– ძლივს არ შევხვდი ჩემი გუნების ადამიანს. ერთადერთი ლექსი ვიცი ზეპირად, ისიც სკოლაში ძალით დამაზეპირებინა მასწავლებელმა.

– ეს როგორ, ძალადობა ჩვენში ხომ კანონით ისჯება!

– როგორ და აი, ასე, პირი გამალებინეს და საფალარათო აბივით ძალით გადამაყლაპეს. აგერ რამდენი წელია, ვცდილობ თავიდან მოვიწყვიტო, მაგრამ უკან ველარ ამომისაქმებია.

– აბა თქვი, ძალიან მინდა გავიგო, რა არის ლექსი, ალბათ სასაცილო რამ იქნება, უკვე სიცილის გუნებაზე მოვედი,– წინასწარ ახითხითდა კაჭკაჭი.

– კარგად აღარ მახსოვს!

– სწორედაც რომ კარგია, თუ შიგადაშიგ გავიწყდება, ძალიან მინდა ლექსი მასხარად ავიგდოთ და დავამახინჯოთ.

ქორმა ტუჩების ცმაცუნი დაიწყო: – ვიტყვი, მაგრამ აბდაუბდათ მახსოვს.

– ძალიანაც კარგი, ისე გამაწვალეს სკოლაში ლექსების სწავლით, მაგაზე დაუძინებელი მტერი მე სხვა არ მეგულება, არწივი ამბობს – ერთადერთი სრულყოფილი და წმინდათაწმინდა, რაც მზისქვეშეთში არსებობს ეს პოეზიააო.

– პოდა, მართლაც და, გამიხარდება მე და შენ ლექსს თუ დავასახიჩრებთ. თქვი შემოგევლე, სული ნუ დამალევინე, ამ დილით საქმეზე ვიყავი წასული, ტყეში არავისგან არაფერი გამიგონია, რომ ენა ვაჭარტალო! ამ სტრიქონებს ერთი მოსმენისთანავე დავიმახსოვრებ და დაღამებამდე დამახინჯებით ვილექსავებ.

– კარგი ვიტყვი, მოემზადე საცინლად!

კაჭკაჭს თუმცა სიცილის სადღეღელი უკვე აშლილი ჰქონდა, სიფრთხილე მაინც გამოიჩინა: – მოიცა მივიხედ-მოვიხედავ, აქ სადმე შაშვი ან მოლაღური არ გვისმენდეს, თორემ, მაშინვე აიტაცებენ და მშვიდობით შურისძიებავ. საკმარისია, რაღაც ისეთი წამოგცდეს, ისე დაგცინებენ, გარეთ თავს ველარ გამოყოფ. მაგათი დაბრიყვება არც ისე იოლია, ტყის ბინადრები აგვიმხედრდებიან, თუ ჭკვიანურად არ მოვიქცევით.

ქორმა ლექსი კოჭლობით ჩაიკითხა და ორივენი სიცილით ჩაბჟირდნენ.

– დაიმახსოვრე ზეპირად? – უხალისოდ ჰკითხა ქორმა.

– დაზუთხვაში ბადალი არ მომეპოვება, ახლავე ჩამოვივლი კარდაკარ და მაგ ლექსის სიგონჯით ყველას ვახითხითებ.

– ახლავე გაფრინდი, ძალიან მეჩქარება ლექსის დასჯა, მერე დაივიწყე, კარგი!

– დავივიწყებ, აბა, რას ვიზამ, მაშ მონად ხომ არ გავუხდები.

– ეცალე გულიდან ამოიგდო, ოღონდ, აგერ რამდენი წელიწადია მეც ვცდილობ, მაგრამ ვერ დამივიწყებია!

– ჯანდაბას მაგისი თავი, არც მე ვაპირებ ტყვედ ჩავუვარდე ხელში, ახლავე წავალ და კისერს მოვუგრეხ.

– ხომ გითხარი, ცოტა რაღაცის ცოდნა მაინც დაგვჭირდებოდა, პოდა, პოეზიას უკვე ვეზიარეთ, ახლა წადი და დავალება პირნათლად შეასრულე!

... ქორი მცირე ხანში თავადაც აღზევდა და სხვებიც აღაზევა. დროს თვალის წასატყუებლადაც არ კარგავდა, ისეთი სახელი დაიგდო, რომ მისი მოხსენიების მოსასმენად ლეშიჭამიები კრებებზე ქუდმოგლეჯით გამორბოდნენ. კაჭკაჭმაც შრომა გაათკეცა და შურისძიების ფიქრს აყოლილი ბელადთან ცინცხალი ცნობებით მიქროდ-მოქროდა. ბეჭედტვიფარით ხელში, სკამზე გადაღმერთილი ქორი ირგვლივ დიდი ხნის დაგუბებულ მხამ-ცოფს ანთხევდა: – რევოლუცია უნდა დაჩქარდეს! გადატრიალების გარეშე ჰაერი, მზე, მთვარე და ვარსკვლავები მასების საკუთრება ვერ გახდება. ამბოხების დაყოვნება ჩვენს დამარცხებას ნიშნავს, ლადგა დრო მტერს საკადრისად გავუსწორდეთ!

– რევოლუცია, რევოლუცია! – სისხლისმღვრელ თვალებს ატრიალებდნენ ყვავები და ღამურები და არემარეს ჩხავილით იკლებდნენ.

ტყე გულდახურული გახდა, ქორის გამოჩენაზე ჩიტებს გულისფეთქება ემართებოდათ, ტანწვრილი ხეები წელში ორად ილუნებოდნენ, ფოთლები ტოტებზე მოუსვენრობდნენ.

– ცოფიანი ამინდი დგება, რა ემართებათ ჩვენს შვილებს, უდანაშაულო სისხლი დაიღვრება, რევოლუცია იწყება! – თავში ხელებს იცემდნენ მგალობლები.

– რა არის რევოლუცია? – კითხულობდნენ ფურისულები და შიშით გულები ჩქარ-ჩქარა უცემდათ.

კაჭკაჭი კი შურისძიების მოლოდინში ბელადთან ენატანიობდა: – ფრინველები თავს წავიდნენ, თავისთავიანთ ნებაზე დაფრინავენ, სადაც მოეპრიანებათ იმ ტოტზე სხდებიან და ჭიკჭიკებენო, კუდაბზიკა მერცხლები მალემსრბოლელებად არ მეგზავნებიანო, გუგულები საომარი ბუკ-ნაღარის ჩაბერვაზე უარზე დგანანო, ვერც ჩურჩუტი კოდალები დავითანხმე მოსაწვევების დარიგებაზეო! აჯაგრული და მუშტებშემართული ბელადი იმუქრებოდა: – პარტიის წევრების ნებართვით ხვალვე საგანგებო კრებას მოვიწვევ და მტრებს დანაშაულს ერთი ასად ვაზღვევინებო.

ყელში ბოლმა წაჭერილი და ხვალინდელი დღის გამარჯვებით აფოფინებული კაჭკაჭი ხეზე ესკუპა, ძირს გოროზად ჩამოიცქირებოდა, ფურისულებს თავზე ასკლინტებდა და ოცნებაში წასულს ტუჩებში ღიმებოდა.

– ვაიმე! – წამოიძახა ყვავილებთან ჩაცუცქულმა გოგონამ, – ჩიტმა ახალთახალ კაბაზე ჩამომასკლინტა, დღეს პირველად ჩავიცვი, ამ საშინელ ლაქას რა ამოიყვანს, – და ტირილი მორთო.

– მაგის ჯავრს არ შევაჭმევ, – თქვა შეშისმჭრელმა და ხეს ირგვლივ შემოუარა, – ეხლავ სადაც ზის, ახლავე ჩამოვაგდებ!

გულმოსულმა შეშისმჭრელმა სატკიტკუცო ხის დუდგულას წამოავლო ხელი და ჩიტს დაუმიზნა. კაჭკაჭს კენჭი შიგ შუბლში მოხვდა, დაკვნესებაც ვერ მოასწრო, დაბზრიალდა, გრიალ-გრიალით წამოვიდა ხიდან და თავისსავე ნასკორებ უწმინდურებაში უსულოდ ჩაეცა.

– საწყალი, მგონი მოკვდა. – აკვნესდნენ ფურისულები: – ვინ ჩაიდინა ასეთი უღმერთობა!

ლობიდან თრითინა გამოძვრა, კაჭკაჭს პირი დასტაცა და უკანვე შეძვრა.

– ალბათ, დედაა, გულწასულს წყალს მიაპკურებს და მოაცოცხლებს. – გაიხარეს ფურისულებმა.

– ახია, ადრე იყო ჩასაძაღლებელი! – თქვა ტოროლამ, – ამდენი სკლინტით წაბილწა აქაურობა, იქნებ, ახლა მაინც შვებით ამოვისუნთქოთ!

– კი, მაგრამ, რას გვერჩოდა? ჩვენ ხომ არაფერი დაგვიშავებია? – გაიოცეს ფურისულებმა.

კაჭკაჭის ტრაგიკულმა დაღუპვამ ელეთ-მელეთი მოგვარა ქორს, მაგრამ არ დაიბნა და თავი მოიყოჩაღიანა.

– ახლა საკუთარი ტყავის გადარჩენაზე უნდა ვიფიქრო! – თქვა და მძიმე ნაბიჯებით ტრიბუნაზე ავიდა. ბელადის გამოჩენაზე გადამავებული დარბაზი შექანშემოქანდა და გამაყრუებელი ტაშის ხმა ატყდა.

– რა, სასიამოვნო მოსასმენია. ასეთი მამებელი შეძახილები და მქუხარე ოვაციები, ცოცხალი თავით არავის დავუთმობ წინამძღოლობას! მოითავდაბლა, ხელი ასწია, ტაშის შეწყვეტა მოითხოვა და დამწუხრებული ხმით წამოიწყო: – ნება მომეცით, საკადრისად დავაფასო მისი თავდადება და სიკვდილის მერე გმირის ორდენით დავაჯილდოვო! ვფიცავ, არასოდეს გადავუხვევ სახელოვანი თანამებრძოლის გზიდან და მის უდანაშაულოდ დაღვრილ სისხლს არ ვაპატიებ მგალობლებს!

– წავიდეთ, გავილაშქროთ! – კიოდნენ საომრად აღტკინებული მტაცებლები და ირგვლივ ისეთი გუგუნი ტრიალებდა, თითქოს ცა ჩამოიქცაო. გამყინავმა ხმებმა ძველი ციხის კედლები გამოხეთქა და ბუდეებს შეასკდა. საჩიტეთი გაისუსა, ფოთლებმა გულისცემა შეწყვიტეს.

– რევოლუცია იწყება! – გადასძახოდნენ ხეები ხეებს და ტყე თავით ფეხებამდე კანკალებდა. ცაში მალემსრბოლელად წარგზავნილ ტოროლას კი ღრუბლის დედა ამშვიდებდა, – არხეინად იყავით, მაგ მუცელხარბებს მიწაზე არ გავაბატონებთო.

რიჟრაჟზე, თითქოს ლუსკუმი ღამე ჩამოწვაო, ლეშიჭამია ფრინველების უთვალავმა ლაშქარმა მზე მოგარენი ჩამოაბნელა და შემზარავმა ხმებმა ჩაგუბებული ჰაერი შუაზე გაკვეთა. საომარი ყიჟინით გამხნევებული ბელადი ადგილს მოსწყდა და ჰაერში აიჭრა.

– მომყევით, წინ გამარჯვებისკენ! რევოლუციის სახელით! – დასჭექა და ცამაც საზარლად დაიქუხა. ღამისფერი ღრუბლები მიწაზე დაეშვნენ, ელვა გაიკლაკნა, თვალის დამაბრმავებელმა სინათლემ მხედრებს გზაკვალი აურია და ვიდრე ბელადი საბრძოლო ტაქტიკას შეცვლიდა, კვერცხისოდენა ხოშკაკალამ წამოუშინა, წამში ფრთებდამსხვრეული რევოლუციონერები ჰაერში დაციბრუტდნენ და კისერწაწყვეტილები ზედიზედ მიწაზე მილაგდნენ. სეტყვას კოკისპირული თავსხმა მოჰყვა, – ალაფულ მიწაში აზინთული მეომრები ღვართქაფმა ჩარეცხა, და მდინარემ წაიღო!

– რევოლუციონერები გიჟები არიან, – თქვა ტოროლამ.

– რა საჭირო იყო რევოლუცია? ისინი ხომ ყველანი დაიხოცნენ, არასოდეს არ გავხდებით რევოლუციონერი, – ამოიოხრეს ფურისულებმა.

– რევოლუცია და სიკვდილი ერთი და იგივეა, ისინი სისხლისმსმელები და დაუნდობლები არიან, მაგრამ ყოველგვარი რევოლუცია კრახით მთავრდება! – პასუხობდა ტოროლა.

– არასოდეს არ მოვინდომებ პატრიოტობას.

– ისინი ცრუ პატრიოტები იყვნენ! – გაუბედავად ამბობდნენ ფურისულები. ღრუბლის დედა კი ცაზე მირონინებდა და, სინანულნარევი სახით თვალში ატარებდა ჭალა-კორდს და მოთქვამდა: – ვიდრე კაცობრიობა იარსებებს, არც მოძალადეები მოისპობიან და არც ბოროტების მსახურნი გადაშენდებიან. ზღვები და ოკეანეები რომ მიწაზე წარმოდგნენ, მაინც ვერ წარხოცავს ირგვლივ გამეფებულ უსამართლობას და ძალადობას. ერთხელაც იქნება, ველარავინ უშველის ცოდვა-ბრალით დამძიმებულ დედამიწას და უფსკრულში დაინთქმებაო.

... ტყე კი ძველებურად ხმაურობდა, ნეკერჩხლის ძირში კვლავინდებურად სულმოუთქმელად ჩურჩულებდნენ ფურისულები და მათ ჩურჩულს ისევ ლექსებად გადათქვავდნენ სიმღერის დილოსტატი მგალობლები!

ფეხბურთი

ევროპის სტადიონებზე

ინგლისი. ლიგის თასების პირველი ფინალისტი გახდა თემურ ქეცბაიას „ნიუკასლი". მან ნახევარფინალში დაამარცხა „ტოტენჰემი" – 2:0. ორივე გოლი შირერმა გაიტანა.

მეორე ნახევარფინალური მატჩი „მანჩესტერი" – „არსენალი" დამთავრდა უშედეგოდ 0:0. გადათამაშება მოგვიანებით მოეწყობა.

იტალია. გულშემატკიერები დიდი ინტერესით მოელოდნენ გათამაშების ლიდერის „ლაციოს" შეხვედრას „რომასთან". როგორც ჩანს, მოსკოვური მატჩის შემდეგ „ლაციომ" სათანადო წინააღმდეგობა ველარ გაუწია მეტოქეს და დამარცხდა 3:1. „მილანმა" სძლია „პარმას" 2:1, „ფიორენტინა" – „ბარი" კი დაზავდნენ – 2:2.

ლიდერთა ჯგუფი ასე გამოიყურება: **„ლაციო" – 56, „მილანი" – 52, „ფიორენტინა" – 51, „პარმა"** – 48 ქულა. ბომბარდირებს სათავეში უდგას ბატისტუტა (ფიორენტინა) – 19 ბურთი.

ესპანეთი „ტენერიკე" – „ბარსელონა" 2:3, „სელტა" – „რეალი" – 5:1, „ვალენსია" – „ესტრემადურა" – 1:1, „მალიორკა" – „ვალიადოლიდი" – 1:0.

ლიდერობენ **„ბარსელონა-59, სელტა – 52, ვალენსია, მალიორკა – 51-51 ქულა.**

ბომბარდირები არიან რივალდო („ბარსელონა") და რაული („რეალი") 19-19 ბურთი.

* * *

რუსული სპორტული პრესა კვლავ დიდ ყურადღებას ამახვილებს მოსკოვის „ლოკომოტივისა" და იტალიის „ლაციოს" შეხვედრაზე, განსაკუთრებით კი ზაზა ჯანაშიას ბრწყინვალე თამაშზე. აქვეყნებს მის ბევრ ფოტოს.

ერთ-ერთ მათგანს აქვე გთავაზობთ: ზაზა ჯანაშიას საფირმო „მაკრატელა".

ჩვენებურები

„ჰოლივუდი" ქართველი ფეხბურთელებისათვის?

რუსეთის უმაღლესი დივიზიონის 16 კლუბში (ჩემპიონატი 3 აპრილს დაიწყო) ბევრი ქართველი ფეხბურთელი თამაშობს.

მოსკოვის „ლოკომოტივში" უკვე მეოთხე სეზონია გამოდის თავდამსხმელი ზაზა ჯანაშია (1976) რომელსაც ამ გუნდში ამჟამად მოთამაშეთა შორის ქვეყნის ჩემპიონატებში ყველაზე მეტი – 20 გოლი აქვს გატანილი და მწვრთნელი იური სიომინიც მას მთავარ დამკვრელ ძალად თვლის.

ელისტის „ურალანში" ახლახან ჩაირიცხა მცველი ირაკლი ჯქმაშვილი (1977), რომელსაც მოუწევს ბრძოლა ძირითად შემადგენლობაში ადგილის მოპოვებისათვის.

ვლადიკავკაზის „ალანია" ტრადიციულად „ქართული გუნდია". აქ თამაშობენ იოსებ გრიშიკაშვილი (1978), რომელიც მეორე მეკარედ ითვლება თბილისის „დინამოს" ყოფილ გოლკიპერ ზაურ ხაპოვის შემდეგ, მცველები მამუკა წერეთელი (1979), და გია ჩხაიძე (1970). რაც შეეხება თავდამსხმელ გიორგი დემეტრაძეს (1976), მან შარშან ნამდვილი ფურორი მოახდინა, როცა „ალანიაში" შუა სეზონიდან ჩაირიცხა და მეორე წრის 15 მატჩში 14 (!) გოლი გაიტანა.

ნოვოროსიისკის „ჩერნომორეცს" გამოეთხოვა მცველი ბესიკ ბერაძე. შუა ხაზის მოთამაშე ბადრი სპანდერაშვილი (1969) კლუბში უკვე მესამე სეზონია ირიცხება და 11 გოლი აქვს გატანილი.

სამარის „კრილია სოვეტოვის" კაპიტანი, მცველი ზურაბ ფოფხაძე (1972) გუნდში მეორე სეზონია თამაშობს. იგი საქართველოს ნაკრების კანდიდატად ითვლება. თავდამსხმელი ზურაბ წიკლაური (1974) ყოველთვის ამ კლუბში გამოდიოდა. მას ძირითად შემადგენლობაში 19 გოლი აქვს გატანილი.

რაც შეეხება სოჭის „ჟემჩუჟინას", აქ იმდენი ქართველია, რომ ერთი გუნდი ჩამოყალიბდებოდა. დავიწყოთ იმით, რომ ამ გუნდში გამოდიან ახალგაზრდა მეკარეები დავით ხმელიძე (1979) და ქრისტიან ცხადაია (1981). დაცვაში – გენადი ბონდარუკი (1965), რომელიც საქართველოს სხვადასხვა გუნდში თამაშობდა, ალექსანდრე გულაძე (1972) – ყოფილი თბილისის დინამოელი – და კონსტანტინე ზამბახიძე (1971). შუა ხაზზე თამაშობს ჩვენი გულშემატკივრებისათვის კარგად ცნობილი გიორგი გოგიაშვილი (1971), რომელსაც დაემატა გიზო ჯელაძე (1975) და ჭაბუკი დავით მიქაძე (1981). რაც შეეხება თავდასხმას, აქ, როგორც ყოველთვის, წამყვან ფეხბურთელად ითვლება ვეტერანი გოჩა გოგრიჭიანი (1964), რომელსაც სოჭელთა კლუბში 29 გოლი აქვს გატანილი. მასზე მწვრთნელი ანატოლი ბაიდაჩნი ახლაც იმედებს ამყარებს: „როცა გოჩა არ თამაშობს, „ჟემჩუჟინას" უჭირს – ასეთია მისი აზრი.

როგორც ვხედავთ, რუსეთის უმაღლეს დივიზიონში ბევრი ჩვენებური გამოდის. პირველ დივიზიონში კი დიდ ინტერესს იწვევს სანკტ-პეტერბურგის „ლოკომოტივის" გამოსვლა, რომელსაც უკვე რამდენიმე წელია ცნობილი ქართველი სპეციალისტი გივი ნოდია წვრთნის.

გივი თხინვალელი.

ტაიბოქსი

ამას წინათ ტაილანდის დედაქალაქ ბანგკოკში გაიმართა IV მსოფლიო ჩემპიონატი ტაილანდურ კრივში (ტაიბოქსი). სპორტის ამ სახეობაში შერწყმულია კარატეს და კრივის ილეთები, ამასთან, დასაშვებია დარტყმები იდაყვითა და მუხლით. ტაიბოქსს მსოფლიოში ბევრი მიმდევარი ჰყავს, ჰმიტომ არც იყო გასაკვირი, ბანგკოკში 67 ქვეყნის სპორტსმენებმა რომ მოიყარეს თავი. შეჯიბრებაზე საქართველოს ოთხმა წარგზავნილმა სცადა ძალები და მონაგარიც ჩინებულია – თითო ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები. საქართველოს დელეგაციას ხელმძღვანელობდა ტაილანდური კრივისა და კიკბოქსინგის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი გოჩა ჯავახია, რომელიც ჩვენი გუნდის მწვრთნელის, ექიმისა და მასაჟისტის მოვალეობასაც ასრულებდა.

უსიამო სიურპრიზი – გამარჯვებულებს

– სხვა გამოსავალი არ იყო, რადგან უსახსრობის გამო, ექიმსა და მასაჟისტს ვინ ჩივის, ნახევარი გუნდის წაყვანაც ვერ შევძელით. სხვა ქვეყნებს თუ 10-13 წარმომადგენელი ჰყავდათ, ჩვენგან მხოლოდ ოთხი სპორტსმენი გამოვიდა.

– ამგვარ სიტუაციაში სამი სხვადასხვა სინჯის მედლის მოპოვება იოლი არ არის. გქონდათ ამგვარი წარმატების იმედი?

– ამ ათი წლის წინათ, სპორტული კლუბი „ჯიქი" რომ შევქმენით, მის შემადგენლობაში სულ რამდენიმე კაცი იყო. ამჟამად ჩვენთან ტაილანდურ კრივსა და კიკბოქსინგში ორი ათასამდე სპორტსმენი ვარჯიშობს. ჯგუფები გახსნილი გვაქვს როგორც თბილისში, ისე ქუთაისში, ბათუმში, რუსთავში, აბაშაში, ზესტაფონში, დუშეთში, დედოფლისწყაროსა და წნორში. ბოლო დროს თვალსაჩინო წარმატებებსაც ვაღწევთ. მაგალითად, შარშან ბარსელონაში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე ტაილანდურ კრივში გიგა კორძაძემ ოქროს მედალი მოიპოვა, გიორგი ჩაკვეტაძე და ზურაბ ესიაშვილი მესამე ადგილზე გავიდნენ. რაც შეეხება ბანგკოკურ ბატალიებს, მასპინძლებმა პირველი ორთაბრძოლები, რატომღაც, ღია ცის ქვეშ აუტანელ სიცხეში გამართეს. გიორგი ჩაკვეტაძე არც ხვატს შეუშინდა და არც მასზე გამოცდილ მეტოქეებს – დამაჯერებლად მოიგო წინასწარი შეხვედრები და ფინალში გავიდა. აქ მისი მეტოქე გახლდათ მექსიკელი ოსკარ ზამორა. გიომ ოკეანისგაღმელი სპორტსმენი ორჯერ ნოკდაუნში გაგზავნა, საბოლოოდ გაიმარჯვა აშკარა უპირატესობით – 5:0 და პირველად ტაილანდის რინგზე ქართველმა ათლეტმა ოქროს მედალი დაიმსახურა.

ჩემპიონობის აშკარა ფავორიტი იყო გიგა კორძაძეც. წინასწარი შეხვედრები ისე იოლად მოიგო, რომ მის წარმატებაში ეჭვიც არ გვეპარებოდა, მაგრამ ფინელ რიკუ იმონენთან ხუთრაუნდიანი პაექრობის შემდეგ მსაჯებმა სხვაგვარად გადაწყვიტეს – მინიმალური უპირატესობით (3:2) გამარჯვება ფინელს არგუნეს და გიგა ვერცხლის მედლით დაჯილდოვდა.

პირველი ორთაბრძოლები ჩინებულად წარმართა შოთა ლომიძემაც, მაგრამ ნახევარფინალში პორტუგალიელ ნუნო ნევესთან დამარცხდა და ბრინჯაოს პრიზიორი გახდა. რაც შეეხება გიორგი ამოევს, მას ტაილანდელმა ემილიტო პილეტამ სძლია და უმედლოდ დარჩა.

ტაილანდურ რინგზე მოპოვებული ნადავლი დიდ წარმატებად მიგვაჩნია, თუნდაც იმიტომ, რომ სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულმა უკრაინის 13-კაციანმა ნაკრებმა, რომელსაც ორი მწვრთნელი, ექიმი და მასაჟისტიც ახლდა, მხოლოდ ერთი ბრინჯაოს მედალი წაიღო შინ.

– თქვენ როგორღა მოახერხეთ ტაილანდში გამგზავრება, ვინ დაგაფინანსათ?

– სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტში გვითხრეს, ჯერ ბიუჯეტი არ არის დამტკიცებული, თავად იშოვეთ წასასვლელი ფული და დაბრუნების შემდეგ გაგისწორდებითო. ახლა ველით, როდის მოგვცემენ ვალების გასასტუმრებელ თანხას.

ტაილანდიდან ჩამოსულებს ერთი სიურპრიზიც დაგვახვედრეს. წელიწადზე მეტია თელასის შენობის მეორე სართულის ერთ პატარა ოთახში ვვარჯიშობთ. თბილისში რომ ჩამოვედით, დარბაზის კარი დაკეტილი დაგვხვდა – ასე მითხრეს, თელასის მეპატრონემ გვიბრძანაო. ბატონ მაიკლ სქოულს მივმართე. მან მხრები აიჩეჩა, პირველად მესმისო. მისგან ვარჯიშის განახლების ნებართვაც მივიღეთ, მაგრამ როდემდე ვიყოთ სხვის ნება-სურვილზე დამოკიდებული? ეს მაშინ, როცა ტაილანდური კრივიცა და კარატეც მთელ მსოფლიოში დიდ პოპულარობას იძენს. ბანგკოკში მსოფლიო ჩემპიონატს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ, რომლებმაც საგანგებოდ გამართულ შეკრებაზე სახალხოდ აღიარეს, რომ გამორიცხული არ არის, ტაიბოქსი 2004 წლის ზაფხულის ოლიმპიური თამაშების პროგრამაში ვიხილოთ.

ესაუბრა
ვაჟა დანელია.

სურათზე: (მარცხნიდან) შოთა ლომიძე, გიორგი ჩაკვეტაძე, გოჩა ჯავახია, გიგა კორძაძე, გიორგი ამოევი.

დღეს

ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე საზეიმოდ გაიხსნება დედაქალაქის

წვევამდელთა სპარტაკიადა

ასპარეზობაში მონაწილეობენ თბილისის 10-ვე რაიონის წვევამდელი სპორტსმენები.

დასაწყისი 13 საათზე.

ყოველი მხრიდან

სენსაციები „ორი ძმის" ქალაქიდან

ესპანეთის პატარა ქალაქ დოს-ერმანასში, რაც ნიშნავს „ორ ძმას", მიმდინარეობს მოჭადრაკეთა მეათე სუპერტურნირი, რომლის დონე განისაზღვრა მე-19 კატეგორიით.

ტურნირის წინ, ავადმყოფობის მომიზეზებით „თამაშგარე" დარჩა მსოფლიო კლასიფიკაციით მეხუთე ნომერი ალექსანდრ მოროზევიჩი (2723), რომელიც შეცვალა რუსეთიდან მოწვეულმა ბორის გელფანდმა (2691). მასპინძელთა ხათრით ტურნირზე დაუშვეს ესპანელი მიგელ ილიესკასი (2585). უკვე გათამაშებული 4 ტური ერთობ სენსაციური შედეგებით აღინიშნა. ჯერ იყო და, იუდით პოლგარმა პირწმინდად მოუგო ინდოელ ანანდს, მეორე ტურში ვეტერანმა კორჩნოიმ ასევე დამაჯერებლად დაამარცხა პოლგარი, მესამეში კელავ წააგო ანანდმა, ამჯერად კრამნიკთან. ოთხი ტურის შემდეგ ერთპიროვნულად ლიდერობს მაიკლ ადამსი, რომლის აქტივშია გამარჯვებები სვიდლერთან, კორჩნოისთან, აგრეთვე ორი ყაიმი ანანდთან და კორჩნოისთან. პოლგარს 1,5 ქულა აქვს, ანანდმა და სვიდლერმა მხოლოდ თითო-თითო ქულა მოაგროვეს.

გამარჯვება და საჩუქრები

ალბათ უკეთეს საჩუქარს არც ინატრებდა თავის დაბადების დღეზე მოსკოვის „დინამოს" მთავარი მწვრთნელი გიორგი იარცევი. ჯერ იყო და მატჩის წინ რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა სერგეი სტეპაშინმა მას საჩუქრად გადასცა ხმალი და საქვეყნოდ გამოაცხადა „გიორგი იარცევს– ვულოცავ დაბადების დღეს; „დინამო" – მხოლოდ წინ". არ ვიცით, რამ უფრო შეასხა ფრთები დინამოელებს: მთავარი მწვრთნელის დაბადების დღის სიხარულმა თუ მინისტრის მოწოდებამ. მათ მართლაც აღმაფრენით ითამაშეს „როსტსელმაშის" წინააღმდეგ. რომაშჩენკოს მიერ საჯარიმო დარტყმებით გატანილ ორ გოლს გუსევმა და პისარევმა კიდევ თითო ბურთი დაამატეს და მწვრთნელს დიდებული გამარჯვებით მოულოცეს იუბილე.

მართალია, იმ დღეს სარატოვის „სოკოლში" არავის ჰქონია დაბადების დღე, თანაც ტრავმების გამო სათუო იყო ლებედისა და ჯიშკარიანის, ავადმყოფ ტკაჩენკოს თამაში. მაგრამ 15 ათასმა მაყურებელმა მაინც „პირამდე" გაავსო სტადიონი. სარატოველები განუწყვეტლივ უტევდნენ. მაგრამ გოლი არა და არ გადიოდა. და მაინც, მეორე ტაიმში გამოსულმა ჯიშკარიანმა გაახარა გულშემატკივრები – ჯერ მე-60 წუთზე პენალტით გაიტანა გოლი. შემდეგ კი 85 წუთზე მარცხენა კუთხიდან ჩამოწოდებულა „ხმელმა ფოთოლმა" დააგვირგვინა „სოკოლის" გამარჯვება.

გამარჯვების სიხარულს ისიც დაემატა, რომ ოლქის გუბერნატორმა დიმიტრი აიაცკოვმა გუნდს საჩუქრად „მერსედესის" მარკის ავტობუსი გადასცა.

სურათზე: რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრი სერგეი სტეპაშინი დაბადების დღეს ულოცავს მოსკოვის „დინამოს" მთავარ მწვრთნელს გიორგი იარცევს.

უძღვება
ანზორ ბასილაია.

სიტუაცია

ხინკალი გიყვართ, მობრძანდით...

ბავშვთა სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრში

ჩიტაძის ქუჩაზე (№9) გაიყიდა ოთხსართულიანი შენობა მწვანე ეზოთი, საცურაო აუზით (7X11 მ), საუნათი, წყალქვეშა თუ ჩვეულებრივი მასაჟის, წყლის პროცედურებისთვის საჭირო ადგილ-მოწყობილობით, იქვე მდებარე კვების ბლოკითა და სასადილოთი, უამრავი სხვა სათავსოთი... 95 ათას აშშ დოლარად – ამ პრესტიჟულ უბანში 4-5-ოთახიანი ბინის ფასად!

თუმცა, ამ უნამუსო ყიდვა-გაყიდვას ჯერაც ებრძვის ჩვენი დროის ზოგიერთი დონ-კიხოტი – ის ადამიანები, ვინც ამ ცენტრში წლების მანძილზე მუშაობდნენ და ქვეყნისა და ხალხისათვის ფრიად საჭირო და კეთილშობილურ საქმეს ემსახურებოდნენ – ადრე აქ ხომ უნიკალური ბავშვთა პროფილაქტიკურ-სამკურნალო დაწესებულება იყო განთავსებული – **ბავშვთა სპორტული მედიცინისა და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრი!**

ჩალის ფასად გაიყიდა დაწესებულება, სადაც დღე-ღამეში 250 ავადმყოფ და ინვალიდ ბავშვს მკურნალობდნენ, სქოლიოზით დაავადებულებს, სპორტული მეცადინეობისას ტრავმირებულ მოზარდებს. „მონასტერი" აირია 1994 წლიდან: ცენტრმა, სხვადასხვა მიზეზის გამო, შეწყვიტა პირდაპირი დანიშნულებით მუშაობა. თანდათან განაგდა ძირითადი განყოფილებების ინვენტარი, გაუქმდა სპორტული მედიცინის, სამკურნალო ფიზკულტურის, ფუნქციური დიაგნოსტიკის, სპორტული რეაბილიტაციის და სკოლამდელი ასაკის ბავშვთა დღის სტაციონარის განყოფილებები.

ამის კვალობაზე, მოხერხებულმა ძიებმა და დეიდებმა შექმნეს და მთელი ძალით აამუშავეს... ხინკლის დასამზადებელი საამქრო, თონე, დღე-ღამის სტომატოლოგიური განყოფილებები, ფეხსაცმლის შეკეთების, აგრეთვე – საპარიკმახერო, პედიკურ-მანიკურის, სილამაზის სალონი, ქალთათვის შეიპინგი, გინეკოლოგიური კაბინეტი და სხვა ერთობ სარფიანი „განყოფილებები".

აქვე მკითხველს შევახსენებთ, რომ სქოლიოზით დაავადებული ბავშვების (მათი რიცხვი სამწუხაროდ, ძალიან დიდია) 99 პროცენტი ვერ მკურნალობს, რის შედეგადაც სქოლიოზი სწრაფად იკრებს ძალებს და ერთიდან მე-4 კატეგორიამდე, რომ იტყვიან, თვალის დახამხამებაში გადადის – 15 წლის მოზარდი ინვალიდია და მისი გასწორება თითქმის შეუძლებელია, თუნდაც, ძვირადღირებული, რთული და სარისკო ოპერაციის შემდეგაც.

ზემოთ რომ დონ-კიხოტები ვახსენეთ, მათ რიცხვში, სამწუხაროდ, ორი-სამი სპეციალისტიღა დარჩა, მოხერხებული ბიძებისა და დეიდების რიცხვი ბევრად მეტია, თანაც, როგორც საქართველოს სპორტული მედიცინის ასოციაციის ბავშვთა სპორტული კომისიის თავმჯდომარე, ბავშვთა სპორტული მედიცინისა და რეაბილიტაციის ცენტრის უკვე ყოფილი მთავარი ექიმი გვეუბნება, ისინი მშვენიერ „კრიშებს" ფლობენ და ძნელად თუ ვინმე დააჭრის ყურებზე ხახვს.

მაშ, რატომ იწერება ეს სტრიქონები? იმედს ვიტოვებთ, რომ ჩვენი ბავშვების ჯანმრთელობა, მათი მომავალი ყველასთვის არ არის სულ ერთი. თანაც ვიცით, რომ ამ ცენტრს თავის დროზე უშურველად მფარველობდა ჯანმრთელობის ყოფილი მინისტრი ირაკლი მენაღარიშვილი და ბევრი სხვა ჭეშმარიტი პატრიოტი.

ვიცით ისიც, რომ ჯანმრთელობის დაცვის ახლანდელი მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძეც არ განიცდის პატრიოტული გრძნობების დეფიციტს და იმედია, იგი მონახავს სხვა ჭეშმარიტ მამულიშვილებსაც, რომლებიც შეძლებენ გაუმკლავდნენ ხინკლისა და შეიპინგების მოყვარულთ, 4-ოთახიანი ბინის ფასად რომ შეიძინეს 4-სართულიანი ნაგებობა მთელი კომპლექსით.

ანზორ ბასილაია.

საქართველოს იუსტიციის საბჭო აცხადებს კონკურსს მოსამართლეთა შემდეგი ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად:

1. ბათუმის საქალაქო სასამართლო – 3 საშტატო ერთეული
2. რუსთავის საქალაქო სასამართლო – 4 საშტატო ერთეული
3. ფოთის საქალაქო სასამართლო – 3 საშტატო ერთეული
4. ქუთაისის საქალაქო სასამართლო – 5 საშტატო ერთეული

5. გლდანი-ნაძალადევის რაიონული სასამართლო – 5 საშტატო ერთეული
6. ისანი-სამგორის რაიონული სასმართლო – 2 საშტატო ერთეული
7. დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლო – 5 საშტატო ერთეული
8. კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლო – 2 საშტატო ერთეული
9. ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლო – 4 საშტატო ერთეული

1. აბაშის რაიონული სასამართლო – 2 საშტატო ერთეული
2. ადიგენის რაიონული სასამართლო – 2 საშტატო ერთეული
3. ამბროლაურის რაიონული სასამართლო – 1 საშტატო ერთეული
4. ახალგორის რაიონული სასამართლო – 2 საშტატო ერთეული
5. ახალქალაქის რაიონული სასამართლო – 2 საშტატო ერთეული
6. ახალციხის რაიონული სასამართლო – 1 საშტატო ერთეული
7. ასპინძის რაიონული სასამართლო – 2 საშტატო ერთეული
8. ახმეტის რაიონული სასამართლო – 2 საშტატო ერთეული
9. ბაღდათის რაიონული სასამართლო – 2 საშტატო ერთეული
10. ბოლნისის რაიონული სასამართლო – 1 საშტატო ერთეული
11. ბორჯომის რაიონული სასამართლო – 2 საშტატო ერთეული
12. გარდაბნის რაიონული სასამართლო – 2 საშტატო ერთეული
13. გორის რაიონული სასამართლო – 2 საშტატო ერთეული
14. გურჯაანის რაიონული სასამართლო – 1 საშტატო ერთეული
15. დედოფლისწყაროს რაიონული სასამართლო – 1 საშტატო ერთეული
16. დმანისის რაიონული სასამართლო – 2 საშტატო ერთეული
17. დუშეთის რაიონული სასამართლო – 2 საშტატო ერთეული
18. ვანის რაიონული სასამართლო – 2 საშტატო ერთეული
19. ზესტაფონის რაიონული სასამართლო – 2 საშტატო ერთეული
20. ზუგდიდის რაიონული სასამართლო – 4 საშტატო ერთეული
21. თეთრიწყაროს რაიონული სასამართლო – 2 საშტატო ერთეული
22. თელავის რაიონული სასამართლო – 2 საშტატო ერთეული
23. თერჯოლის რაიონული სასამართლო – 2 საშტატო ერთეული
24. თიანეთის რაიონული სასამართლო – 1 საშტატო ერთეული
25. კასპის რაიონული სასამართლო – 1 საშტატო ერთეული
26. ლაგოდეხის რაიონული სასამართლო – 1 საშტატო ერთეული
27. ლანჩხუთის რაიონული სასამართლო – 1 საშტატო ერთეული
28. ლენტეხის რაიონული სასამართლო – 2 საშტატო ერთეული
29. მარნეულის რაიონული სასამართლო – 2 საშტატო ერთეული
30. მარტვილის რაიონული სასამართლო – 2 საშტატო ერთეული
31. მესტიის რაიონული სასამართლო – 1 საშტატო ერთეული
32. მცხეთის რაიონული სასამართლო – 3 საშტატო ერთეული
33. ნინოწმინდის რაიონული სასამართლო – 2 საშტატო ერთეული
34. ოზურგეთის რაიონული სასამართლო – 1 საშტატო ერთეული
35. ონის რაიონული სასამართლო – 2 საშტატო ერთეული
36. საგარეჯოს რაიონული სასამართლო – 1 საშტატო ერთეული
37. საჩხერის რაიონული სასამართლო – 2 საშტატო ერთეული
38. სენაკის რაიონული სასამართლო – 1 საშტატო ერთეული
39. სიღნაღის რაიონული სასამართლო – 1 საშტატო ერთეული
40. ტყიბულის რაიონული სასამართლო – 2 საშტატო ერთეული
41. ყაზბეგის რაიონული სასამართლო – 2 საშტატო ერთეული
42. ყვარლის რაიონული სასამართლო – 1 საშტატო ერთეული
43. ჩოხატაურის რაიონული სასამართლო – 2 საშტატო ერთეული
44. ჩხოროწყუს რაიონული სასამართლო – 2 საშტატო ერთეული
45. ცაგერის რაიონული სასამართლო – 2 საშტატო ერთეული
46. წალენჯიხის რაიონული სასამართლო – 2 საშტატო ერთეული
47. წალკის რაიონული სასამართლო – 2 საშტატო ერთეული
48. წყალტუბოს რაიონული სასამართლო – 2 საშტატო ერთეული
49. ჭიათურის რაიონული სასამართლო – 2 საშტატო ერთეული
50. ხარაგაულის რაიონული სასამართლო – 1 საშტატო ერთეული
51. ხაშურის რაიონული სასამართლო – 2 საშტატო ერთეული
52. ხობის რაიონული სასამართლო – 2 საშტატო ერთეული
53. ხონის რაიონული სასამართლო – 1 საშტატო ერთეული
54. ჯავის რაიონული სასამართლო – 2 საშტატო ერთეული

55. ქობულეთის რაიონული სასამართლო – 4 საშტატო ერთეული
56. ხელვაჩაურის რაიონული სასამართლო – 4 საშტატო ერთეული
57. შუახევის რაიონული სასამართლო – 2 საშტატო ერთეული
58. ქედის რაიონული სასამართლო – 2 საშტატო ერთეული
59. ხულოს რაიონული სასამართლო – 2 საშტატო ერთეული.

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 46-ე მუხლის შესაბამისად, კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს საქართველოს ქმედუნარიან მოქალაქეს 30 წლის ასაკიდან, რომელსაც აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება, სპეციალობით მუშაობის სულ ცოტა 5 წლის გამოცდილება, ფლობს სახელმწიფო ენას, ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა.

მოსამართლეობის კანდიდატმა კონკურსის მომზადების სამდივნოში რეგისტრაციისას უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება იუსტიციის საბჭოს სახელზე კონკრეტულ ვაკანტურ ადგილზე კონკურსში მონაწილეობის შესახებ;

ბ) ცნობა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შევსებული ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შევსების შესახებ (იუსტიციის საბჭოს მიმართვის საფუძველზე);

გ) მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების მოწმობა და მისი ასლი;

დ) სამედიცინო დასკვნა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა №27);

ე) ცნობა სამედიცინო-ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ;

ვ) ცნობა სამედიცინო-ფსიქოლოგიური მდგომარეობის შესახებ (იუსტიციის საბჭოს მიმართვის საფუძველზე);

ზ) საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა და მისი ასლი;

თ) უმაღლესი იურიდიული განათლების დამადასტურებელი საბუთი (დიპლომის ასლი საგამოცდო წესით დადგენილი ჩაბარებული საგნების დანართითურთ);

ი) ამონაწერი შრომის წიგნაკიდან (ქსეროასლი არ მიიღება);

კ) ცნობა ნასამართლობის არქონის შესახებ;

კონკურსში მონაწილეობისათვის საბუთები მიიღება 1999 წლის 16 აპრილამდე, 10 საათიდან 16 საათამდე.

დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია საქართველოს იუსტიციის საბჭოში.

მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №80. ტელეფონი: 95-20-52, 95-81-74.

საწარმოთა გენერალური დირექტორებისა და მეთვალყურეთა საბჭოების თავმჯდომარეების საყურადღებოდ:

მომზადებული შეხვდით მომავალს!

დახმარება საქართველოს საწარმოთა რესტრუქტურიზაციის საქმეში

საბაზრო ეკონომიკის პირობებში საქართველოს საწარმოების სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნება დიდად არის დამოკიდებული საწარმოს მნიშვნელოვან და ხშირად მტკივნეულ გარდაქმნაზე. ამასთან ერთად ინვესტორები და საქმიანი პარტნიორები უპირატესობას მოქნილ საწარმოებს ანიჭებენ, რომლებიც მონდომებასა და ძალისხმევას არ იშურებენ აუცილებელი სარესტრუქტურიზაციო ღონისძიებების განსახორციელებლად. რესტრუქტურიზაცია არის საყოველთაოდ აღიარებული მეთოდი, რომელიც საშუალებას აძლევს საწარმოს გახდეს მომგებიანი, კონკურენტუნარიანი.

აღნიშნულ პროცესში თქვენ დიდად დაგეხმარებათ საწარმოთა რესტრუქტურიზაციისა და მენეჯმენტის დახმარების ცენტრი (**CERMA**), რომელიც დახმარებას უწევს საქართველოს კერძო და პრივატიზებულ საშუალო და მსხვილ საწარმოებს საბაზრო ეკონომიკის პირობებისათვის ადაპტაციის პროცესში.

ა/წ იანვარში საწარმოთა რესტრუქტურიზაციისა და მენეჯმენტის დახმარების ცენტრში **TACIS (Sodeteg**-საფრანგეთი)-ის ეგიდით დაიწყო ახალი პროექტის განხორციელება, რომელიც სარესტრუქტურიზაციო მომსახურებით და მენეჯმენტის საკითხებში პრაქტიკულ დახმარებას გაუწევს საქართველოს საშუალო და მსხვილ საწარმოებს. ამ პროექტის განსახორციელებლად საწარმოთა რესტრუქტურიზაციისა და მენეჯმენტის დახმარების ცენტრი შეარჩევს საქართველოს 4 საწარმოს.

ინტენსიური რესტრუქტურიზაციის პროექტში მონაწილეობის მისაღებად

საქართველოს საწარმოებს, რომლებიც დაინტერესებული და მონდომებული არიან გაიარონ ინტენსიური რესტრუქტურიზაციისა და გარდაქმნის პროცესი კონკურენტული მდგომარეობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესების მიზნით, შეუძლიათ შემოიტანონ განაცხადი პროექტში მონაწილეობისათვის.

საწარმო უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- კერძო მფლობელობაში მყოფი აქციების რაოდენობა – არანაკლებ 51 პროცენტისა.
- აქტიური მუშახელის რაოდენობა – 50 და მეტი.
- ხელმძღვანელი რგოლის მზადყოფნა ითანამშრომლონ ქართველ და უცხოელ კონსულტანტებთან პროექტის განხორციელების პერიოდში. საწარმოს ხელმძღვანელობისა და აქციონერთა მხარდაჭერა და ვალდებულების დაცვა განახორციელონ გარდაქმნები რესტრუქტურიზაციის გეგმის მიხედვით.

დაინტერესებულ საწარმოებს შეუძლიათ მოგვმართონ შემდეგ მისამართზე: თბილისი, ყაზბეგის გამზ. 42, ტელ: 30-77-01; 30-77-05; 30-77-08; ფაქსი: 30-77-03 (პროექტის მენეჯერი ბ-ნ მანფრედ შლააკი, ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი ნანა ადეიშვილი).

ავტოტრანსპორტი

გამონაბოლქვის შემოწმება უფასოა

თვალნათლივ ვხედავთ, თუ როგორი სწრაფი ტემპით იზრდება ავტომობილების რიცხვი. სპეციალისტების გაანგარიშებით, 2000 წლისათვის დედამიწის ყოველ 1000 მცხოვრებზე საშუალოდ 118 ავტომობილი მოვა; ასე რომ, XX საუკუნის მეორე ნახევარი მზარდი ავტომობილიზაციის ეპოქაა. სამწუხაროდ, მასობრივ ავტომობილიზაციას არასასურველი შედეგებიც მოსდევს, რომელიც საზოგადოებას დიდ ზიანს აყენებს. კერძოდ, დიდია საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევები და მისგან გამოწვეული ადამიანთა მსხვერპლიც. ყოველივე ამას ავტომობილების გამონაბოლქვში მავნე აირების არსებობაც ემატება.

საქართველოს მსხვილ სამრეწველო ცენტრებსა და დასახლებულ პუნქტებში, საწარმოო დაწესებულებათა სიმძლავრეების შემცირების მიუხედავად, კატასტროფულად იზრდება ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების კონცენტრაცია. ჰაერის დაბინძურების აღკვეთისა და მოსახლეობის ჯანმრთელობის ხელყოფის თავიდან აცილების მიზნით, ავტომობილების გამონაბოლქვში ტოქსიკური ნივთიერებების ზღვრულ ნორმამდე დაყვანისათვის მთელი რიგი ღონისძიებები ტარდება. სწორედ ასეთი ღონისძიებების განხორციელებისათვის მიიღო საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა ჯერ კიდევ 1995 წლის 5 ოქტომბერს №634 დადგენილება „ავტოსატრანსპორტო საშუალებებიდან გამონაბოლქვი აირებისაგან ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების თავიდან აცილების შესახებ“. ამ დადგენილების განხორციელებისათვის ავტოსატრანსპორტო საშუალებათა ყველა მფლობელი, იურიდიული თუ კერძო პირი, ვალდებულია მასზე კუთვნილი ავტომანქანის გამონაბოლქვში მავნე ნივთიერებების ზღვრულ დასაშვებ კონცენტრაციამდე დაყვანის მიზნით ავტომობილი ყოველწლიურად ტექნიკური დათვალიერების წინ შეამოწმოს და საჭიროების შემთხვევაში მისი კვებისა და ანთების სისტემები სრულ წესრიგში მოიყვანოს.

საქართველოს ყველა რეგიონშია შექმნილი დიაგნოსტიკური სადგურები, სადაც „ავტოეკოცენტრის“ კონტროლიორ-მარეგულირებლები საგზაო პოლიციასთან ერთად აწარმოებენ ავტომობილების გამონაბოლქვში მავნე ნივთიერებების განსაზღვრას. თუკი მასში მავნე ნივთიერებები ნორმის ფარგლებშია, მაშინ გაიცემა ტოქსიკურობის ტალონი, რომელიც ძალაშია ერთი წელიწადი. თუკი ავტომობილი ტექნიკურად გაუმართავია, კვებისა და ანთების სისტემების მოწესრიგება ადგილზეა შესაძლებელი: მძღოლის თანხმობით კონტროლიორ-მარეგულირებელი მას ადგილზე დაურეგულირებს.

შემოწმებისა და რეგულირების საფასური პრეისკურანტით არის განსაზღვრული, რაც მკაცრად უნდა იქნას დაცული.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროების 1996 წლის 6 ოქტომბრის №38 ერთობლივი ბრძანების შესაბამისად და საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს წერილობითი მიმართვის საფუძველზე, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სახდელების მიზნით „ავტოეკოცენტრმა“ დამატებით გამოყო შტატები. ამით შესაძლებელი გახდა ავტომაგისტრალებზე, მსხვილ ქალაქებში და რაიონებში საგზაო პოლიციის მუშაკებთან ერთად არანაკლებ თითო ჯგუფის არსებობის უზრუნველყოფა. კარბურატორიანი თუ დიზელის ძრავიანი ავტომობილების გამონაბოლქვი მავნე ნივთიერებების განსაზღვრისთვის როგორც დიაგნოსტიკური სადგურები, ისე მოძრავი საკონტროლო პუნქტები, ავტოტრანსპორტით და თანამედროვე გამზომი აპარატურით არის აღჭურვილი.

გამონაბოლქვში აირების მავნე კომპონენტები მიწისპირა ფენებში გამოიყოფა, ე.ი. ადამიანთა ადგილსამყოფელში და დასახლებულ ტერიტორიაზე, სადაც მოსახლეობის სიმჭიდროვის გამო ჰაერი ცუდად ნიავდება. დადგენილია ისიც, რომ ავტომობილის გამონაბოლქვში ტოქსიკური კომპონენტების კონცენტრაციები ავტომობილის კაბინასა და სალონშიც აღწევს და მაღალი დაბინძურება მძღოლის შრომისუნარიანობაზეც მოქმედებს, რაც უარყოფით გავლენას ახდენს მძღოლის პროფესიულ საიმედოობაზე.

საგზაო პოლიციის რეგიონული განყოფილებები კოორდინაციას უწევენ საკონტროლო პუნქტების მუშაობას, რაც სპეციალური სამუშაო გეგმა-გრაფიკის მეშვეობით ხორციელდება და საგზაო პოლიციის მთავარ სამმართველოში მტკიცდება.

ავტოტრანსპორტის უმიზეზოდ გაჩერების თავიდან აცილების მიზნით საგზაო პოლიციისა და „ავტოეკოცენტრის“ წარმომადგენლები ერთობლივი ღონისძიებების გატარებისას მხოლოდ იმ ავტომანქანებს ამოწმებენ, რომელთა გამონაბოლქვში აშკარად არის გამოსახული გამაჭუჭყიანებელი ნივთიერებების შემცველობა, ან მოძრაობის წესების სხვა დარღვევისათვის გააჩერებს.

კონტროლის მიერ ავტომობილის გამონაბოლქვის შემოწმება უფასო გახლავთ. როცა მძღოლს ხელზე აქვს ტოქსიკურობის ტალონი, კონტროლიორს კატეგორიულად ეკრძალება შემოწმებულ ავტომობილს კვებისა და ანთების სისტემის რეგულირება ჩაუტაროს ან ტოქსიკურობის ტალონში რაიმე აღნიშნოს.

მძღოლმა, რომელმაც ავტომობილი წლიურ ტექნიკურ დათვალიერებაზე გაატარა, უფლება ეძლევა ყოველ თვეში უფასოდ შეამოწმოს ავტომანქანის გამონაბოლქვში მავნე ნივთიერებების კონცენტრაცია საქართველოს ნებისმიერ საკონტროლო მარეგულირებელ პუნქტში.

იმ ავტომობილებს, რომელთა გამონაბოლქვშიც მავნე აირების შემცველობა დასაშვებზე მეტი აღმოჩნდება, საგზაო პოლიციელი მძღოლს ადმინისტრაციული დარღვევის ოქმს უდგენს, ჩამოართმევს მართვის უფლების მოწმობას და საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 133-ე მუხლის პირველი ნაწილით და 81-ე მუხლის შესაბამისად იმოქმედებს.

ის ავტოსატრანსპორტო საშუალება, რომლის ტოქსიკურობის ტალონში მიმდინარე თვის შემოწმების დამადასტურებელი აღნიშვნაა, კონტროლს არ ექვემდებარება და მისი რეგისტრაცია სპეციალურ ჟურნალში ხდება.

ავტომობილებიდან გამონაბოლქვი მავნე ნივთიერებების ზღვრულ დონემდე დაყვანისათვის ყველამ ერთად უნდა ვიზრუნოთ. ეს მარტო ორი თუ სამი ორგანიზაციის პრეროგატივა როდია. მეცნიერთა აზრით აუცილებელია ისეთი კონსტრუქციების შექმნა, რაც ტოქსიკურ ნივთიერებებს მინიმუმამდე დაიყვანს.

ავტომფლობელებსა და საკონტროლო-მარეგულირებელი პუნქტების თანამშრომლებს შორის გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით ყველას, როგორც სტაციონარების, ასევე მოძრავი საკონტროლო პუნქტების თანამშრომლებს, აქვთ დებულება, სადაც განსაზღვრულია მათი უფლება-მოვალეობანი, მისი მოთხოვნა კი ყველა ავტომფლობელს შეუძლია.

გენადი არჩაია.

საქართველოს პროფკავშირებისა და შრომის ფედერაციის კონფედერაციის

განცხადება

საქართველოს საზოგადოებრიობისათვის საინფორმაციო საშუალებებით ცნობილი გახდა იმის შესახებ, რომ ქალაქ თბილისის მთაწმინდის რაიონის სასამართლომ თავისი 1999 წლის 10 მარტის გადაწყვეტილებით აღადგინა საქართველოს თავისუფალი პროფესიული კავშირების რესპუბლიკური ცენტრი და ცნო იგი საქართველოს პროფსაბჭოსა და საქართველოს დამოუკიდებელი პროფკავშირების კონფედერაციის ერთადერთ კანონიერ სამართალმემკვიდრედ.

ვინაიდან თანამონაწილე და მოწმენი ვართ საქართველოს პროფკავშირებში მიმდინარე პროცესებისა, მთაწმინდის რაიონის სასამართლოს გადაწყვეტილება მიგვაჩნია სრულიად სამართლიანად და ვაცხადებთ, რომ:

არ არსებობს მისი შეცვლის საფუძველი, რადგან საქართველოს თავისუფალი პროფკავშირების რესპუბლიკური ცენტრის გაუქმება 1992 წლის 28 იანვარს მოხდა არაუფლებამოსილი ორგანოს მიერ და სასამართლოს გადაწყვეტილება არის ქვეყანაში დემოკრატიისა და სამართლიანობის აღდგენის, წარსულის შეცდომების გამოსწორების ერთერთი გამოვლინება, რაც უდავოდ დღეს მიმდინარე სასამართლო რეფორმის შედეგიც არის.

მიუხედავად სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილებისა, საქართველოს პროფკავშირების გაერთიანების ხელმძღვანელობა დღესაც ზეწოლის სხვადასხვა მეთოდებით, საინფორმაციო საშუალებებით აგრძელებს უკანონო, არაეთიკურ ქმედებებს, რაც პროფკავშირებს როგორც მსოფლიოში აღიარებულ ჭეშმარიტად დემოკრატიულ ინსტიტუტს — ჩანასახშივე სპობს და, რაც მთავარია, საზოგადოება და ქვეყნის ხელისუფლება შეჰყავს შეცდომაში, ვინაიდან არსებული ფაქტები და დოკუმენტები სრულიად საპირისპიროს ამტკიცებს.

საინფორმაციო საშუალებებით გავრცელებული არასწორი ინფორმაციები არის სასამართლო ხელისუფლებაზე ზეწოლის მცდელობის ნათელი გამოვლინება, რითაც საქართველოს პროფკავშირების გაერთიანების ხელმძღვანელობამ საბოლოოდ ჩამოიხსნა ნიღაბი და გამოაჩინა თავისი ნამდვილი სახე და მიზნები.

კიდევ ერთხელ კატეგორიულად ვაცხადებთ, რომ საქართველოს პროფკავშირების გაერთიანებას არა აქვს არავითარი უფლება განაცხადოს პრეტენზია ქონებაზე, ვინაიდან იგი ეკუთვნის სრულიად საქართველოს პროფკავშირებს, რაც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომაც დაადასტურა თავისი 1998 წლის 15 ივლისის ცნობილი გადაწყვეტილებით.

მ. ბასიშვილი — გლდანის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე, **რ. ბარამიძე** — დიდუბის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე, **მ. დარსაძე** — კონფედერაციის საბჭოს წევრი, **მ. ერქომაიშვილი** — ქვემო ქართლის სამხარეო კომიტეტის თავმჯდომარე, **ჰ. ვეფხვაძე** — პროფკავშირის რწმუნებული სამცხე-ჯავახეთის მხარეში, **ნ. თათარაშვილი** — მცხეთა-მთიანეთის სამხარეო კომიტეტის თავმჯდომარე, **გ. ლომთაძე** — შინაგან საქმეთა სამინისტროს პროფკავშირის გაერთიანებული კომიტეტის თავმჯდომარე, **მ. მაზმიშვილი** — გორის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარე, **პ. მაისურაძე** — ახმეტის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე, **ნ. მეგრელაძე** — აჭარის საოლქო კომიტეტის თავმჯდომარე, **შ. მუშკუდიანი** — ბოლნისის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე, **ე. ურთმელიძე** — ვაკისა და საბურთალოს რაიონების ტერიტორიული კომიტეტის თავმჯდომარე, **გ. ურიდონაშვილი** — შრომის ფედერაციის თავმჯდომარე, **ძ. ყარაულაშვილი** — თელავის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარე, **პ. მარამიძე** — გურიის სამხარეო კომიტეტის თავმჯდომარე, **მ. მენაბდია** — პროფკავშირის რწმუნებული იმერეთის მხარეში, **შ. მერაბადიშვილი** — ქ. თბილისის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარე, **გ. ციტნიაშვილი** — დარგობრივი პროფკავშირის თავმჯდომარის მოადგილე, **ს. ხატიაშვილი** — საქართველოს პროფკავშირებისა და შრომის ფედერაციის კონფედერაციის თავმჯდომარე, **თ. ხმალაძე** — საქართველოს სახელმწიფო, საჯარო სამსახურის, მუნიციპალური დაწესებულებებისა და საზოგადოებრივი მომსახურების მუშაკთა პროფკავშირის თავმჯდომარე, **ს. ჯმუხაძე** — საქართველოს კულტურის, სპორტისა და ტურიზმის მუშაკთა დამოუკიდებელი პროფკავშირის თავმჯდომარის მოადგილე.

ღიმილის დოზა

მებაჟე გემზე ადის შესამოწმებლად.

— ნარკოტიკი გაქვთ?

გემის მფლობელი:

— გვაქვს. აი, ინებეთ (იღებს ჩემოდანს). აი, ჰეროინი, აი კოკაინი. აი შპრიციც.

მებაჟე გაოცებული ეკითხება:

— იქნებ, იარაღიც გაქვთ?

გემის მფლობელი (იღებს მეორე ჩემოდანს):

— აი, მაკაროვი, აი, კალაშნიკოვი, აი, ვაზნები:

მებაჟეს ულვაშებში ეცინება:

— ალბათ, ვალუტაც გაქვთ...

გემთმფლობელი იღებს მესამე ჩემოდანს:

— აი, მილიონი დოლარი, ინებეთ.

მებაჟე დაბნეული ეკითხება:

— და ეს ყველაფერი თქვენია?

— არა, თქვენია... ჩემი — ტრიუმშია.

* * *

სამუშაოდ მოწყობის მსურველი ფირმის დირექტორს ეკითხება:

— გავიგე, ახალ მოლარეს ეძებთ, მართალია?

— ჰო, ისე, ძველსაც ვეძებ.

ყურადღება!
საალდგომო ფასდაკლება 10–15%

შპს „ნოვამენეჯმენტჯორჯია“ წარმოადგენს გერმანიის საავტომობილო კომპანია „ფოლქსვაგენის“ ოფიციალურ დილერს საქართველოში.

სადემონსტრაციო დარბაზი, ავტოსალონი, ავტოსერვისი, სათადარიგო ნაწილები, ყველაფერი ეს თქვენ შეგიქმნით მომსახურების საუკეთესო დონეს.

ჩვენი კომპანია გთავაზობთ:
- „ფოლქსვაგენის“ ნებისმიერი მარკის, მათ შორის, ჯავშნიან და სპეცდანიშნულების ავტომანქანებს
- გარანტია — 1 წელი
- ნებისმიერ სათადარიგო ნაწილებს მათ შორის, შეკვეთით
- თქვენთვის სასურველი მანქანის შეკვეთას (ჩამოყვანის ვადა 1 თვე).



აირჩიეთ „ფოლქსვაგენი“!!!
თბილისი, გულიას ქ. №1 ტელ: (99532) 72-51-83;
ტელ/ფაქსი: (99532) 75-51-82.

ხსოვნა

სერგო იმედაშვილი

გარდაიცვალა პროკურატურის ორგანოების დამსახურებული მუშაკი სერგო აკაკის ძე იმედაშვილი.

ქართველ იურისტთა ამქარს იგი იმ დროს შეუერთდა, როცა ქვეყანაში წიგნიერებით, ფართო ერუდიციითა და ზნეობით გამორჩეული პიროვნებები შეუმჩნეველი არ რჩებოდათ.

ს. იმედაშვილი დაიბადა 1928 წელს ქუთაისში. საშუალო სკოლა თბილისში დაამთავრა. თბილისის პირველმა საშუალო სკოლამ მას უამრავი მეგობარი შესძინა ცხოვრების ასპარეზზე გასვლის წინ. უმაღლესი იურიდიული განათლება მოსკოვში მიიღო — 1951 წელს დაამთავრა საკავშირო იურიდიული ინსტიტუტი და მაშინვე თბილისის ოლქის პროკურატურაში დაიწყო მუშაობა. იქიდან მოყოლებული სხვადასხვა დროს იყო ქალაქების ქლუხორის, გაგრის, რუსთავის პროკურორი, ტყვარჩელის, გარდაბნის პროკურორის თანაშემწე, რამდენიმე წელი იმუშავა სტავროპოლის მხარეში — იყო კოჩუბეის პროკურორის თანაშემწე, მინვოდის რაიონის პროკურორი. შემდეგ ისევ საქართველოში დაბრუნდა და 1994 წლის მაისამდე ცენტრალურ აპარატში პასუხსაგებ თანამდებობებზე იმუშავა.

თავისი მრავალმხრივი ცხოვრების მანძილზე ბატონ სერგოს უამრავ ადამიანთან მოუხდა მუშაობა. იგი ყველგან გამორჩეული იყო მაღალი ერუდიციით, მდიდარი შინაგანი კულტურით, ორგანიზატორული უნარით, სახელმწიფოებრივი ხედვით. ამასთან, ბატონ სერგოს ჰქონდა მეტად საშური თვისება — საკმაოდ ადვილებოდა კონტაქტი უცნობ ადამიანებთანაც კი. ამიტომაც დიდი სამეგობრო წრე ჰყავდა — ყველგან იცნობდნენ, ყველგან უყვარდათ და ეიმედებოდათ.

ბატონი სერგო მართლაც რომ იშვიათი დონის პროფესიონალი იყო. იგი ბოლომდე უშურველად გაიხარჯა თავისი საყვარელი საქმისთვის, მეგობრებისთვის, ოჯახისთვის უპირველესად. მამის გზას ერთ ხანს მისი ვაჟი მიხეილი აგრძელებდა. მაგრამ შემდეგ დროებით სხვა სფეროში გადაინაცვლა.

წავიდა ჩვენგან ცხოვრების მრავალ ქარტეხილში გამოვლილი ადამიანი, ღირსეული მოქალაქე და დიდი პრაქტიკოსი, სამაგალითო მეოჯახე — ერთგული მეუღლე და მზრუნველი მამა, ბაბუა. მისი სიკვდილი დიდი დანაკლისია პირველ რიგში, ოჯახისთვის, ახლობლებისთვის, შემდეგ კი მისი კოლეგებისთვის. ნუგეშად ისღა რჩება, რომ ბატონი სერგო ვალმოხდილი მიდის ამ საწუთროდან.

ნათელში ამყოფოს მისი სული უფალმა.

საქართველოს გენერალური პროკურატურა.

შვილი ომარ ღლონტი, რძალი ქეთევან გოდერძიშვილი, დები ფატი, ზინა ოჯახებით, რძალი მაყვალა ღლონტი, შვილიშვილები რუსუდან, ხათუნა ღლონტები, სიძე თემურ ჩლაიძე, შვილთაშვილები ნიკოლოზ, ალექსანდრე ჩლაიძეები, ძმისწულები, დისწულები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ალექსანდრე ღლონტი

პანაშვიდი 14 IV, 5 სთ. კ. კეკელიძის ქუჩა 18. III სადარბაზო, III სართული. გამოსვენება 15 IV, 3 სთ. სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის შენობიდან.

სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის რექტორატი, ფილოლოგიის ფაკულტეტი და ქართული ენის კათედრა ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ცნობილი მეცნიერი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ღირსების ორდენის კავალერი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ალექსანდრე ანდრიას ძე ღლონტი

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ალბათურ-სტატისტიკური მეთოდების სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ამავე ლაბორატორიის გამგეს, პროფესორ ომარ ღლონტს მამის

ალექსანდრე ღლონტის

გარდაცვალების გამო.

საქართველოს ლიტერატურათმცოდნეობის აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა უხუცესი წევრი, გამოჩენილი მეცნიერი

ალექსანდრე ღლონტი

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს უზენაესი სასამართლო ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს იურისტთა კავშირის თავმჯდომარე, ჟურნალ „სამართლის“ მთავარი რედაქტორი, საქართველოს დამსახურებული იურისტი

ზურაბ რატიანი

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

მეუღლე თამაზ ადამია, შვილი მანუჩარი, რძალი ნანა ტაბატაძე, შვილიშვილები გიორგი, დათო, თაზო, მძახალი მერი ტაბატაძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

თამილა რაზმაძე-ადამია

პანაშვიდი 15, 16 IV, 4 სთ. გამოსვენება 17 IV, 3 სთ. ლვოვის ქ. № 1.

მეუღლე გოგოლა, შვილები ლალი, თამაზ ჭანტურიები, რძალი მარიკა ანდღულაძე, სიძე ანზორ მარგიანი, შვილიშვილები გიორგი, გოგა, ლევანი, ლაშა, შვილთაშვილი სალომე, დები, ძმები, ახლო ნათესავები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გივი სილოვანის ძე ჭანტურია

პანაშვიდი 14, IV, 4 სთ. დაკრძალვა 15 IV, 2 სთ. დიღმის მასივი II კვარტ. XI კორპ.

შვილი ოთარ თოიძე, რძალი ქეთევან ტატიშვილი, შვილიშვილები დავით ქურიძე, ირინე, ნინო თოიძეები, შვილთაშვილი ოთარ ჩხაიძე, სიძეები მურმან ქურიძე, ნიკოლოზ ჩხაიძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მარგარიტა რაჟდენის ასული გეგეჭკორი

პანაშვიდი 14, IV, 4 სთ. გამოსვენება 15 IV, 3 სთ. გამსახურდიას გამზირი 33 ა, I სადარბაზო.

გაზეთ „ვრასტანის“ კოლექტივი თანაუგრძნობს გაზეთის კულტურისა და ლიტერატურის განყოფილების გამგეს, საქართველოს მწერალთა კავშირის სომხური ასოციაციის თავმჯდომარეს ბენიკ სეირანიანს მეუღლის

ოლღა არშაკის ასულ ელილიან-სეირანიანის

გარდაცვალების გამო.

მეუღლე ბენიკ სეირანიანი, შვილები ვალერი, გაგიკ, რძლები მარინა, ნარინე, შვილიშვილები ბენიკ, არჩილ, ოლღა, აშოტ, შვილთაშვილები ნაირა, ნანა, ნინა სეირანიანები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ოლღა არშაკის ასული ელილიან-სეირანიანი

პანაშვიდი 14 IV — 4 სთ. დაკრძალვა 15 IV ქ. ერევანში. სომხეთის რესპუბლიკა.

ხსოვნა

მურად ცარციძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა დიდი დანაკლისი განიცადა — მოულოდნელად გარდაიცვალა ცნობილი მეცნიერი, ბიოლოგიისა და მედიცინის ფაკულტეტის დეკანი, უჯრედული და მოლეკულური ბიოლოგიის შემქმნელი და შეუცვლელი გამგე, ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი მურად ალექსანდრეს ძე ცარციძე.

მურად ცარციძე დაიბადა 1941 წელს ქ. თბილისში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, მან წარჩინებით დაამთავრა თბილისის უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტი და ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგია-ნიადაგმცოდნეობის ფაკულტეტის ასპირანტურა.

1969 წლიდან მურად ცარციძემ მუშაობა დაიწყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახლადდაარსებულ ბიოფიზიკის კათედრაზე, ბიოლოგიის ფაკულტეტზე მან 30 წელი უანგაროდ იმსახურა და გაიარა გზა ასისტენტიდან პროფესორამდე, კათედრის გამგემდე და ფაკულტეტის დეკანამდე. სწორედ აქ, საქართველოს უპირველეს უმაღლეს სასწავლებელში სრულად გამოვლინდა მისი, როგორც მეცნიერის, პოტენციალი და განსწავლულობა; მისი ძალისხმევითა და დამსახურებით შეიქმნა და გაღრმავდა სამეცნიერო კვლევის ახალი მიმართულებანი: 1991 წელს მან დააარსა უჯრედული და მოლეკულური ბიოლოგიის კათედრა, მომდევნო წლებში მისი უშუალო მეცადინეობით გაიხსნა ჯერ ბიო-სამედიცინო ეკოლოგიური გენეტიკის, შემდეგ მედიცინის, ბიოფარმაკოლოგიის სპეციალობები, გაფართოებული პროფილის ბაზაზე ფაკულტეტი გადაკეთდა ბიოლოგიისა და მედიცინის ფაკულტეტად. მურად ცარციძის ფაკულტეტის დეკანად მოღვაწეობის პერიოდში გაიხსნა ბიოლოგიური პროფილის ორი და სამედიცინო პროფილის რვა კათედრა. მისი დამსახურებაა, ბიოლოგიური პროცესების კომპიუტერული მოდელირების სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის შექმნაც.

დიდია მურად ცარციძის ღვაწლი ქართულ ბიოლოგიურ მეცნიერებასა და ახალგაზრდა სამეცნიერო კადრების, სპეციალისტების აღზრდის საქმეში. მარტო უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში ქართული უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისთვის დაწერა და გამოსცა ათამდე უაღრესად საჭირო, თანამედროვე მეცნიერულ დონეზე შექმნილი სახელმძღვანელო; მის კალამს ეკუთვნის აქტუალურ პრობლემებზე დაწერილი 150-მდე სამეცნიერო შრომა; ამასთან, იგი აქტიურად მონაწილეობდა სხვადასხვა სამეცნიერო კრებულების შედგენაში. ბიოლოგიისა და მედიცინის დარგების თვალსაჩინო მეცნიერებისა და პედაგოგების სასწავლო-სამეცნიერო პროცესში აქტიური ჩართვით მიაღწია ფაკულტეტის, როგორც სამეცნიერო კერისა და სტუდენტთა აღზრდის როლის მნიშვნელოვან ამაღლებას. მისი მეცადინეობის შედეგად ფაკულტეტზე იკითხება ისეთი თანამედროვე სალექციო კურსები, როგორიცაა — უჯრედული ბიოლოგია, მოლეკულური ბიოლოგია, ბიოსამედიცინო ინფორმატიკა, ქცევის ბიოსოციალური საფუძვლები, უჯრედული ბიოტექნოლოგია, უჯრედის ფიზიოლოგია, გენომის სტრუქტურა და ფუნქციები, გენური ინჟინერია და სხვ. მისი უშუალო ხელმძღვანელობით მომზადდა მრავალი დისერტაცია. მურად ცარციძის მრავალრიცხოვანი მოწაფეები ნაყოფიერად მუშაობენ საქართველოსა და საზღვარგარეთის მრავალ სამეცნიერო და სასწავლო ცენტრებში.

პროფესორი მურად ცარციძე იყო გამორჩეულად თავმდაბალი, კაცთმოყვარე, კეთილშობილი, მეგობრული და სიკეთით სავსე ადამიანი, მშვენიერი პედაგოგი და ჩინებული მეცნიერი. არჩეული იყო მრავალი სამეცნიერო საზოგადოებისა თუ ასოციაციის წევრად.

ხელისუფლებამ ღირსეულად დააფასა მისი მრავალმხრივი მოღვაწეობა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების 80 წლისთავთან დაკავშირებით დააჯილდოვა ღირსების ორდენით.

შესანიშნავი მოქალაქის, მეცნიერის, პედაგოგის, ორგანიზატორის — პროფესორ მურად ცარციძის სახელი მუდამ დარჩება მისი კოლეგების, მეგობრებისა და მრავალრიცხოვანი მოწაფეების გულში.

**ივ. ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
რექტორატი, ბიოლოგიისა და მედიცინის ფაკულტეტი.**

ცაცა, ლერი, რობერტ და ლევან დევდარიანები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა პროფესორი

მურად ცარციძე

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

მ. ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, აკადემიკოს ა. ზურაბაშვილის სახელობის ფსიქიატრთა საზოგადოება, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქიატრიისა და სამედიცინო ფსიქოლოგიის კათედრა ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგია-მედიცინის ფაკულტეტის დეკანი, უჯრედული, მოლეკულური, მიკრობიოლოგიისა და ვირუსულ მეცნიერებათა კათედრის გამგე, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

მურად ცარციძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

და ქეთევანი, რძლები ცირა თაქთაქიშვილი, ციცინო კობიძე, ძმისწულები ლია, ზურაბ კიკნაძეები, დისწულები ნანა, დათო, ირაკლი თავამაიშვილები, მარინე, ილია, კოტე თავზარაშვილები ოჯახებით, ცოლისდა ციცინო ხუციშვილი ოჯახით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მიხეილ იასონის ძე კიკნაძე

პანაშვიდი 14, IV, 5 სთ. დაკრძალვა 15 IV, 3 სთ. ქურდიანის ქ. (ყოფილი გლდანის ქ.) №7.

მეუღლე ნინა, ძმა კოტე, შვილები მიშა, მარინა, სიძე მალხაზ ხუხუნაშვილი, რძალი გალინა, შვილიშვილები ალექსანდრე, ნატო, ძმისწულები, ზიძაშვილები, მამიდაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

სერგო აკაკის ძე იმედაშვილი

პანაშვიდი 14, IV, 4 სთ. დაკრძალვა 15 IV, 3 სთ. საბურთალოს ქ. 30 ა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა პროკურატურის ორგანოების ღვაწლმოსილი მუშაკი

სერგო იმედაშვილი

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

საბურთალოს რაიონის ომის, შრომისა და სამხედრო ძალების საბჭოს პრეზიდიუმი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა დიდი სამამულო ომის აქტიური მონაწილე, გადამდგარი პოლკოვნიკი, პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე

სერგო ივანეს ძე ცირამუა

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს. გამოსვენება 15. IV. 3 სთ. ბუდაპეშტის ქ. № 5 ა.

თბილისის მერიის ვაჭრობის, მომსახურებისა და სამომხმარებლო ბაზრის რეგულირების საქალაქო სამსახური თანაგრძნობას უცხადებს ვაჟა ჯანჯღავას მამის

პოლიკარპე ჯანჯღავას

გარდაცვალების გამო.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალების პუბლიკაციისთვის ჰონორარი არ გაიცემა.

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამომცემელი - შპს „პრესა-98“

სარედაქციო კოლეგია: არმაზ სანებლიძე (მთავარი რედაქტორი), ვახტანგ აბაშიძე, ალეკო ასლანიშვილი, ნანული ბარათაშვილი, ანზორ ბასილაია, ზურამ გოგიაშვილი, რუსუდან ლორთქიფანიძე, არჩილ მანჯგალაძე, ბონდო მძინარაშვილი, დავით ონოფრიშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, ბადრი ხატიძე, ოთარ ხუციშვილი.

დამფუძნებლები — „საქართველოს რესპუბლიკის“ ჟურნალისტები

ნომრის მორიგე რედაქტორი
ოთარ ხუციშვილი.

ინდექსი 66434

რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14.
ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება — ტელ: 93-28-13.

იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოს“ საგაზეთო კორპუსში, ხომარაულის 29.